პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

29 აგვისტო **ორშაბათი** 2011
№ 202 (13 499) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცოდვას ნუ ვიტყვით, მაგრამ დინამოც რომ ცოდოა!




ტელეფოტო

↳ 2-4



ბრძოლა მესამე ადგილისთვის: ირაკლი ცირეკიძე (თეთრ კიმონოში) და რამადან დარვიში

# ბრინჯაო, ისიც ერთი

## არადა, ერთი წლის თავზე ლონდონია ↳ 11

## ბატონო მსაჯებო, არ დაკარგოთ

# კონ ცენ ტრა ცია !

### დინამოს პოზიცია ზესტაფონთან მატჩის შემდეგ:

“ამ პრინციპული შეხვედრის მთავარი მსაჯის ლევან კვარაცხელიასა და ლაინსმენ ზაზა ფიფიას გადაწყვეტილებამ, ჩაეთვალათ გოლი “დინამოს” კარში თორნიკე გორგიაშვილის დარტყმის შემდეგ, პირდაპირი ზეგავლენა იქონია მატჩის შედეგზე. ჩვენს კარში დაფიქსირდა გოლი, რომელიც არ გასულა – ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია.
მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი გადაიცემოდა „პირველი არხით“. სხვადასხვა რაკურსით მომენტის გამეორებისას ეჭვს აღარ იწვევდა, რომ მსაჯები უხეშად შეცდნენ.
ამ გოლს დინამოელების, გიორგი ლორიასა და ლევან კაკუბავას გაფრთხილებებიც მოჰყვა, რადგან მათ ეს უსამართლო გადაწყვეტილება გააპროტესტეს.
ეჭვს ბადებს მსაჯის ყოყმანიც გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც “დინამომ” გოლი წესების სრული დაცვით გაიტანა.
სამწუხაროა, რომ ჩემპიონატის სტარტზევე გვიწევს არბიტრთა გამოუსწორებელ შეცდომებზე ლაპარაკი” - განაცხადა „დინამოს“ პრესატაშე გიგა გვენცაძემ.



# ლიტვასთან ცოტა დაგვაკლდა

↳ 10




# გრანდები, როგორც გრადები

## მანჩესტერმა არსენალი ააფეთქა, თუმცა ის თითქმის ცარიელი იყო ↳ 8



## რეალი უკვე თუხთუხებს, დღეს ბარსასაც ვნახავთ



# იყოო. არადა, არ იყო

## დაღლილთა მატჩში მსაჯებიც დაღლილები ჩანდნენ

28.08. თბილისი. ბ. პაიჭაძე.
3 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 2 |
| ზესტაფონი | 2 |

0:1 გორგიაშვილი (19), 0:2 დვალი (61. აფციაურის პასით), 1:2 ხისკო (76. კოტოს პასით), 2:2 ხისკო (90+2. რეხვიაშვილის პასით)

| დინამო 4-1-4-1 | ზესტაფონი 4-2-3-1 |
|---|---|
| ლორია | მამალაძე |
| რეხვიაშვილი | ლონლაძე |
| თომაშვილი | ონიანი |
| კაკუბავა | კობახიძე |
| ოდიკაძე | ალადაშვილი |
| კვეკვესკირი | გორგიაშვილი |
| ალვარო | ბაბუნაშვილი |
| ჯილაური | გრიგალაშვილი |
| რობერტინიო | ჭანკოტაძე |
| იაგუე | აფციაური |
| კახელიშვილი | ს. ლომია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ა. გარსია | გ. ჭიაბრიშვილი |

**დინამო**

46. კახელიშვილი - **ხისკო**
62. ჯილაური - **კოტო**
69. კვეკვესკირი - **კოშკაძე**
*სათადარიგოები: გრიშიკაშვილი, ჰომოლა, ბერაია, თექთურმანიძე*

**ზესტაფონი**

46. ლონლაძე - **ძარია**
46. ჭანკოტაძე - **ელიავა**
54. ლომია - **დვალი**
*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, საჯაია, ფიფია, შარვაძე*

გაფრთხილება: **ალადაშვილი (10), ლორია (19), კაკუბავა (19), ბაბუნაშვილი (31), კობახიძე (45), იაგუე (54), ელიავა (74), დვალი (83).**
არბიტრი: **ლ. კვარაცხელია**

ევროთასებზე გამოსვლას გამოთხოვებული და ხასიათწამხდარი გუნდების თამაში არც ისეთი ურიგო სანახავი გამოდგა, როგორიც შეიძლებოდა გვევარაუდა. ვერ ვიტყვით, რომ ტემპი მაღალი იყო, მაგრამ მატჩს დრამატულობა, მოულოდნელობა და ინტრიგა უდავოდ ახლდა.

ორივე გუნდს აკლდა ან თადარიგში ჰყავდა რადენიმე წამყვანი მოთამაშე, რაც მწვრთნელებმა მათი დაღლით თუ მცირე ტრავმებით ახსნეს. შეხვედრა "დინამომ" უფრო აქტიურად დაიწყო, მაგრამ ვერაფერს გახდა, "ზესტაფონის" კართან მიახლოება და მწვავე შეტევის განხორციელება თბილისელებს უჭირდათ. სტუმრები კი ეფექტურ კონტრშეტევებს მიმართავდნენ.

მე-8 წუთზე **გიორგი ჭანკოტაძემ** მაკრატელათი სცადა მასპინძელთა კარის აღება, მაგრამ **გიორგი ლორიამ** საიმედოდ ითამაშა.

"დინამომ" მე-17 წუთზე გაიტანა, **გიორგი კახელიშვილის** დარტყმის შემდეგ **ზურაბ მამალაძემ** ბურთი ვერ მოიხელთა და დამატებაზე **იაგუემ** ივარგა, მაგრამ არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** თამაშგარე დააფიქსირა.

"ზესტაფონის" საპასუხო შეტევა შედეგიანი გამოდგა: **თორნიკე გორგიაშვილი** სწრაფად და ეფექტურად გასცდა მცველებს, საჯარიმოში შეიჭრა და უძლიერესად დაარტყა - ხარიხიდან ჩასხლეტილმა ბურთმა კარის ხაზი არ გადაკვეთა, მაგრამ კვარაცხელიამ ლაინსმენთან მოთათბირების შემდეგ მოედნის ცენტრისკენ გაიშვირა ხელი და დინამოელთა რისხვაც დაიმსახურა.

ბუნებრივია, უმალ ის გაგვახსენდა, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** უეფას ვიდეორეფერის საქართველოში დანერგვას რომ სთავაზობდა. ცოდვაა იმის თქმა, მსაჯებმა გოლი განზრახ ჩათვალეს, "დინამოს" დაჩაგვრა სურდათო. შეუიარაღებელი თვალით ძნელი გადასაწყვეტი იყო, სად დაეშვა ბურთი, მხოლოდ ვიდეოგამეორებისას გამოჩნდა, რომ კარის ხაზი არ გადაუკვეთია.

გოლმა სტუმრები შეაგულიანა. 30-ე წუთზე **საბა ლომიამ თორნიკე აფციაურს** თბილისელთა საჯარიმოსთან ბურთი გადააწოდა, მისი დარტყმა კი ლორიამ მოიგერია.

"დინამოს" გათანაბრების შანსი 42-ე წუთზე მიეცა: **გიორგი რეხვიაშვილის** ფლანგური ჩაწოდება **გიორგი კახელიშვილმა** ვერ დააგვირგვინა.

მეორე ტაიმი "დინამომ" უფრო მობილიზებულად დაიწყო. 57-ე წუთზე **ხისკო** მეკარესთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ მცველებმა შეავიწროვეს და სახიფათო მომენტი განიმუხტა.

"ზესტაფონის" იერიშები შეცვლაზე შესულმა **ჯაბა დვალმა** გაამწვავა. 61-ე წუთზე ანგარიში სწორედ მან გაზარდა: გორგიაშვილმა მარჯვენა ფლანგზე აფციაური შენიშნა, მან შეტევაში საჯარიმოში მყოფი დვალი ჩართო, "ზესტაფონის" ფორვარდმა კი მცველები ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და ზუსტად დაარტყა - 0:2.

ერთი შეხედვით, თამაშის ბედი აქ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ "დინამომ" ძალა მოიკრიბა, გულიანად შეუტია და ქულა მაინც გადაარჩინა. იაგუე კვლავ ვერაფრით დაგვამახსოვრდა, სამაგიეროდ, ხისკო და **ალვარო** აქტიურობდნენ, მონდომებული ჩანდა **კოტოც**, რომელიც 70-ე წუთზე საჯარიმოში შეიჭრა და დაარტყა - **ზურაბ მამალაძემ** ბურთი კუთხურზე მოიგერია.

თბილისელებმა სხვაობა 76-ე წუთზე შეამცირეს. მარჯვენა ფლანგზე კოტო მცველებს გასცდა და საჯარიმოში ჩააწოდა, შორეულ ძელთან ჩასაფრებულ ხისკოს კი ახლო მანძილიდან გატანა არ გასჭირვებია – 1:2.

კარგად ჩაერთო თამაშში **ალეკო კოშკაძე**, რომლის პასითაც 81-ე წუთზე **ლევან კაკუბავამ** მწვავე მომენტი შექმნა. ერთ წუთში დასარტყმელ პოზიციაზე იაგუე ისევ კოშკაძემ გაიყვანა — ესპანელის თავური კარს ასცდა.

89-ე წუთზე "ზესტაფონის" ნახევარმცველ **შოთა გრიგალაშვილის** დარტყმას მატჩისთვის წერტილის დასმა შეეძლო, მაგრამ ლორიამ "დინამო" გადაარჩინა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

მსაჯის მიერ დამატებული დრო იწურებოდა, როდესაც რეხვიაშვილმა შეტევა წამოიწყო, მშვენიერი გამჭოლი გადაცემით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა ხისკო და ესპანელმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 2:2.

**გია ჭიაბრიშვილი:** *„ევროტურნირებიდან ჩემპიონატზე გადმორთვა ორივე გუნდისთვის ძნელი იყო. დაღლილებმა ვერც ერთმა ვაჩვენეთ ის ფეხბურთი, რაც შეგვიძლია. ამიტომაც ფრე ლოგიკური იყო, მეტოქემ შეცდომები არ გვაპატია. თამაშის გადადება კი კარგი იქნებოდა. აქვე მადლობა მინდა გადავუხადო "დინამოს" სულგრძელობისთვის — ევროთასების შემდეგ მათ ერთი დღით მეტი ჰქონდათ მატჩისთვის მოსამზადებლად, მაგრამ თამაშის გადადება შემოგვთავაზეს, რათა დასვენებული ფეხბურთელებით გვეთამაშა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა".*

**ალექს გარსია:** *„ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალიან მძიმე თამაში იყო. ჩვენი ფეხბურთელებისთვის ჯერ კიდევ 25 აგვისტო იდგა და ამ მატჩზე გადართვა მხოლოდ შეხვედრის მიწურულს მოახერხეს. თავით რომ ვერაფერი შევძელით, გულით ვითამაშეთ და ფრეს მაინც მივაღწიეთ. სამწუხაროა, რომ ასეთ დაღლილებს მოგვიწია თამაში".*

**მერაბ მამულაშვილი**
გურამ ღოლენჯაშვილის ფოტო

# უგოლო ლოგიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

27.08. რუსთავი. ფოლადი
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მეტალურგი | 0 |
| სპარტაკი | 0 |

| მეტალურგი 4-2-3-1 | სპარტაკი 4-3-3 |
|---|---|
| ბედიაშვილი | ძაგანია |
| მახვილაძე | ციმაკურიძე |
| ა. კვახაძე | დ. ლომაია |
| გ. კვარაცხელია | ბოიომო |
| ჯაფარიძე | ხუბუა |
| რაზმაძე | თ. შონია |
| ი. მაისურაძე | ვ. კილასონია |
| გეწაძე | ნ. მაისურაძე |
| გ. მიქაბერიძე | შალამბერიძე |
| ქედია | ჯიქია |
| ტატანაშვილი | მეტრეველი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ჟორჟიკაშვილი | ბ. კვარაცხელია |

**მეტალურგი**

59. ტატანაშვილი - **დობროვოლსკი**
69. მიქაბერიძე - **ქავთარაძე**
69. ი. მაისურაძე - **გავაშელიშვილი**
*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჩადუნელი, პავლიაშვილი*

**სპარტაკი**

78. ნ. მაისურაძე - **სამხარაძე**
90. შალამბერიძე - **გ. სეფიაშვილი**
*სათადარიგოები: დაუშვილი, კაკაშვილი, ქანთარია, ბურძენაძე, დ. გელაშვილი*

გაფრთხილება: **კვარაცხელია (9), ნ. მაისურაძე (22), გეწაძე (76), გავაშელიშვილი (82).**
არბიტრი: **ლ. სილაგავა (თბილისი)**

არა გვგონია, ბოლო ორ შეხვედრაში მოპოვებული ერთადერთი ქულით „მეტალურგის" ახალი ხელმძღვანელები კმაყოფილნი იყვნენ: წინა ტურში „გაგრასთან" მარცხის მერე რუსთაველები ამჯერად ფრეს დასჯერდნენ, თანაც, გულახდილად რომ ვთქვათ, ეს შედეგი, ალბათ, ლოგიკურიც იყო — ყოველ შემთხვევაში, „სპარტაკი" წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა; ეგ კი არა, **ბადრი კვარაცხელიას** გუნდს რომც მოეგო, არც ეს იქნებოდა უსამართლობა: სტუმრებმა, მასპინძლებთან შედარებით, ნაკლები სახიფათო მომენტი კი შექმნეს, მაგრამ „სპარტაკის" კონტრშეტევები უფრო სახიფათო იყო.

...წინა მატჩთან შედარებით, „მეტალურგის" ძირითადი შემადგენლობაც შეცვლილი იყო და გუნდის ტაქტიკური განლაგებაც: კარში **გრიგოლ ბედიაშვილი** იდგა, ძირითადში დაიწყო თამაში **დიმიტრი ტატანაშვილმა**, ხოლო **გივი კვარაცხელიამ** (სეზონის დასაწყისში „სპარტაკის" ღირსებას რომ იცავდა) დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი. თუმცა მასპინძელთა რიგებში მთავარი სიახლე მაინც ახალწვეულის, 22 წლის გარემარბ **გიორგი ქედიას** გამოჩენა იყო, რომელიც რუსთავის გუნდს ერთწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „მეტალურგს" სოლიდურზე სოლიდური დანაკლისიც ჰქონდა: არ უთამაშია გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **ირაკლი მოდებაძეს**. ჰოდა, ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული შემტევის გარეშე მასპინძელთა იერიშებს სიმწვავეც აკლდა და ერთფეროვანიც იყო. „სპარტაკმა" კი მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით იასპარეზა და, აკი ვთქვით, დამსახურებული ქულაც მოიპოვა ფავორიტად მიჩნეულ მეტოქესთან დაპირისპირებაში.

...მატჩის დასაწყისი „ხალისიანი" გამოდგა: **რევაზ გეწაძემ** და **გიორგი მიქაბერიძემ** მოხდენილი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ სიტუაცია „სპარტაკის" მეკარე **ლაშა ძაგანიამ** განმუხტა. ამას სტუმართა საპასუხო იერიში მოჰყვა: **ნიკოლოზ მაისურაძის** პასით **კობა შალამბერიძე** აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, მაგრამ მასპინძლები ბედიაშვილმა გადაარჩინა. სამიოდე წუთში ნიკოლოზ მაისურაძემ საჯარიმო დარტყმა შეასრულა — ცოტაც და, კურიოზულ გოლს ვიხილავდით! მასპინძლებს პირველი ტაიმის ბოლომდე შეტევაში ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ, თუ არ ჩავთვლით გეწაძის შორეულ „გასროლას" (ძაგანიამ გაჭირვებით რომ მოიგერია) და კიდევ ერთ ეპიზოდს, როცა სტუმრები კაპიტნის, **ბოიომო ფრიდოლინის** თავგანწირულმა თამაშმა გადაარჩინა.

მეორე ტაიმი მასპინძელთა შეტევებით დაიწყო და მოვლენათა ეპიცენტრში კვლავაც გეწაძე და ძაგანია იყვნენ: მასპინძელთა გარემარბმა მარცხენა ფლანგიდან ორჯერ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ძაგანიამ ორივეჯერ უშეცდომოდ ითამაშა. თუმცა სტუმრების პირველივე შეტევა კინაღამ გოლით დასრულდა: შალამბერიძის ჩინებული პასის მერე **ზვიად მეტრეველი** ერთი შეხებით ცდილობდა მშობლიური ქალაქის გუნდის კარის აღებას, მაგრამ ბედიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. მეტრეველი ვახსენეთ და, სტუმართა გუნდის კიდევ ერთ რუსთაველ ფეხბურთელზე გვინდა ორიოდე სიტყვის თქმა: 18 წლის **ვალერი კილასონია** მოედნის ცენტრში ასაკისთვის უჩვეულო სიდინჯითა და, ფაქტობრივად, უშეცდომო თამაშით გამოირჩეოდა.

მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი **კობა ჟორჟიკაშვილი** შეცვლებით შეეცადა სიტუაციის გამოსწორებას, რამდენიმე მოთამაშეს პოზიციაც შეუცვალა, მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ერთ ეპიზოდში **ალექსანდრე კვახაძემ** დაარტყა ნახევარბრუნით, მაგრამ ბურთი ხარიხას გადაევლო, შემდეგ კი აქტიურად შემოსულმა **გიორგი ქავთარაძემ** იყოჩაღა და მახვილი კუთხიდან ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ სტუმრები ისევ ძაგანიამ გადაარჩინა. ისე, ცოტა არ იყოს, უცნაურია, წლევანდელი ევროტურნირებიდან მოყოლებული, ქავთარაძე... ძირითად შემადგენლობაში რომ ვერ ხვდება. თუმცა ეს მწვრთნელ(ებ)ის პრეროგატივაა და ნებისმიერ ჟურნალისტზე უკეთ მოეხსნებათ, ვის უნდა ანდონ ადგილი ძირითადში.

...მსაჯის მიერ დამატებული დრო იწურებოდა, „სპარტაკმა" სწრაფი კონტრშეტევა რომ წამოიწყო; ბოიომო-**ჯიქია**-მეტრეველის კომბინაცია ყველასგან „მიტოვებულმა" **გიორგი სეფიაშვილმა**, ფაქტობრივად, ცარიელ კარში დარტყმით დაამთავრა, მაგრამ სტუმართა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა: ლაინსმენმა ალამი ასწია და თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა!..

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაია | 4 | 3 | 0 | 1 | 8 | 2 | 9 |
| 2 | გაგრა | 4 | 3 | 0 | 1 | 8 | 4 | 9 |
| 3 | დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 6 | 3 | 7 |
| 4 | მერანი | 4 | 2 | 1 | 1 | 3 | 3 | 7 |
| 5 | ზესტაფონი | 3 | 1 | 2 | 0 | 5 | 4 | 5 |
| 6 | მეტალურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 5 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 4 | 1 | 2 | 1 | 5 | 6 | 5 |
| 8 | დილა | 3 | 1 | 0 | 2 | 4 | 5 | 3 |
| 9 | ტორპედო | 3 | 1 | 0 | 2 | 2 | 3 | 3 |
| 10 | სპარტაკი | 4 | 0 | 2 | 2 | 1 | 4 | 2 |
| 11 | კოლხეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 1 | 4 | 2 |
| 12 | სიონი | 4 | 0 | 2 | 2 | 2 | 7 | 2 |

**V ტური**

**10 სექტემბერი. შაბათი**

გაგრა-კოლხეთი
დილა-დინამო
ტორპედო-სიონი
ვიტ ჯორჯია-მეტალურგი
ზესტაფონი-მერანი

**11 სექტემბერი. კვირა**

სპარტაკი-ბაია *Live*

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მცირე ბოლნისური პროგრესი

27.08. ბოლნისი. თ. სტეფანია
300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

1:0 უგრეხელიძე (40. მ. ოქროპირიძის პასით), 1:1 ჩიმაკაძე (63. ლანიაშვილის პასით)

| სიონი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-2-3-1 |
| ზუხბაია | ძაძამია |
| კობაური | ხურცილავა |
| თარგამაძე | ადამაძე |
| გ. ოქროპირიძე | კასრაძე |
| ადამაშვილი | ლანიაშვილი |
| სვანიძე | გურამ გურეშიძე |
| გაბრიჭიძე | ვასაძე |
| მ. ოქროპირიძე | კორიფაძე |
| უგრეხელიძე | ჯანელიძე |
| ვ. ბოლქვაძე | ზაქრაძე |
| რეხვიაშვილი | ჩიმაკაძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ჯ. ჯაგიდნისი | ზ. ბერიძე |

**სიონი**

59. ბოლქვაძე – **ხურციძე**
70. ადამაშვილი – **ალფაიძე**
*სათადარიგოები: ვ. ლობჟანიძე, ალავიძე, კობერიძე, ქუცურუა, ისიანი*

**ვიტ ჯორჯია**

46. ვასაძე – **გიორგი გურეშიძე**
74. ზაქრაძე – **ვაშაკიძე**
70. ჩიმაკაძე – **სიხარულიძე**
*სათადარიგოები: რეჭია, ოთარიშვილი, მაისაშვილი, ხუჭუა*

გაფრთხილება: **რეხვიაშვილი (12), გურ. გურეშიძე (27), მ. ოქროპირიძე (52)**
არბიტრი: **ა. ნონიკაშვილი**

"სიონმა" სეზონი მძიმედ დაიწყო და ოთხი მატჩიდან ერთიც არ მოუგია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლნისელები ბოლო ორ ტურში არ დამარცხებულან, რაც მათ მცირედ პროგრესზე მიგვანიშნებს. შესაძლოა, "ვიტ ჯორჯიასთან" საშინაო ფრე დიდი ვერაფერი მიღწევა იყოს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რა გადაიტანა "სიონმა" სეზონის განახლებამდე, ისიც გასაკვირია, ქულათა გრაფაში ნული რომ არ უწერია.

ვეჭვობთ, ამ შედეგით "ვიტ ჯორჯიას" სამწვრთნელო შტაბი კმაყოფილი იყოს. მართალია, მიმდინარე სეზონში ვეტერინარებს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა არ დაუსახავთ, მაგრამ ოთხ შეხვედრაში მიღწეული ერთადერთი გამარჯვება ვიტელთათვის დადებითი შედეგი ვერაფრით იქნება.

"ვიტ ჯორჯია" ბურთს უკეთ აკონტროლებდა, მეორე ტაიმში დედაქალაქელთა უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა, მაგრამ ამით სტუმრებმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. შესვენებამდე **ზურაბ ბერიძის** გუნდს გატანა ორჯერ შეეძლო – **ბესიკ ჩიმაკაძის** თავური **ვლადიმერ ზუხბაიამ** მოიგერია, **ლაშა კასრაძემ** კი თავით დარტყმული ბურთი ძელს გაარტყა.

სამაგიეროდ, მასპინძლებს საკუთარი შანსი ხელიდან არ გაუშვიათ – **მანუჩარ ოქროპირიძის** პასით **ვლადიმერ უგრეხელიძემ** თავისიანები ახლო მანძილიდან დააწინაურა.

"ვიტ ჯორჯიამ" ანგარიში ეფექტური კომბინაციით გაათანაბრა. **გურამ გურეშიძის** მიერ წამოწყებულ იერიშს **რევაზ ლანიაშვილის** ჩაწოდება და ჩიმაკაძის ეფექტური თავური მოჰყვა.

"სიონს" დაწინაურების შანსი აღარ მისცემია, ვიტელებმა კი გამარჯვების რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან. **გიორგი ვაშაკიძემ** არაზუსტად დაარტყა, **გიორგი ჯანელიძეს** კი ზუხბაიამ არ გაატანინა.

ასე მოიპოვეს ქვემოქართლელებმა მეორე ქულა, უპირველესად, მეკარის დამაჯერებელი თამაშითა და ასევე იღბლის წყალობით.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი



# გორულ-გურული სიურპრიზი
## ანუ ვაება კოლხეთი!

27.08. ლანჩხუთი. ე. შევარდნაძე.
600 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 0 |
| დილა | 1 |

0:1 რაჟამაშვილი (59.)

| კოლხეთი | დილა |
|---|---|
| 4-4-2 | 4-4-2 |
| ნადირაშვილი | მერლანი |
| ლომაშვილი | ლომიძე |
| ინწკირველი | ქარქუზაშვილი |
| შავგულიძე | მაჭავარიანი |
| ლემონჯავა | გველესიანი |
| ცხადაია | ჯოჯუა |
| ზ. ჯანაშია | ახალკაცი |
| გვალია | რაჟამაშვილი |
| ქებაძე | ნოზაძე |
| მდივნიშვილი | დ. ჩაგელიშვილი |
| ციცხვაია | გ. თოდუა |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ს. ფილია | გ. ცეცაძე |

**კოლხეთი**

56. ციცხვაია - **ნიქარიშვილი**
75. ჯანაშია - **გულუა**
82. მდივნიშვილი - **მოისწრაფიშვილი**
*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, კილასონია, ცხვიტარია, თედიაშვილი*

**დილა**

46. დ. ჩაგელიშვილი - **პ. ხორგუაშვილი**
67. თოდუა - **ბერაია**
71. ნოზაძე - **ვ. ხორგუაშვილი**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ნემსაძე, გოგინაშვილი*

გაფრთხილება: **ინწკირველი (30), ცხადაია (43), ლემონჯავა (83)**
მსაჯი: **ბ. ნინუა**

მრავალწლიანი შესვენების შემდეგ ლანჩხუთში უმაღლესი ლიგა დაბრუნდა, მართალია, „გურიას" გარეშე, მაგრამ ამ მატჩმა ადგილობრივ ქომაგთა ყურადღება მაინც დაიმსახურა. ბოლოს, წლების წინ „ევგრაფი შევარდნაძეზე" ასევე „არალანჩხუთური", მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი საჩემპიონატო ჯახი შედგა („ტორპედო"-„დინამო"), ახლა კი აქაური არენა საშინაო „კოლხეთისთვის" გახდა. შაბათის შეხვედრაში გურულები მეზობლებს ქომაგობდნენ, თუმცა ფოთელებმაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალა იახლეს ქალაქის თავკაცების ჩათვლით. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, „კოლხეთისთვის" გურულთა მთავარი არენა იღბლიანი ვერ გამოდგა.

ფოთელებისთვის ეს შეხვედრა სეზონში პირველი ოფიციალური საშინაო მატჩი იყო, არც „გურიას" უთამაშია ჯერ ლანჩხუთში და, ალბათ, დროშის საზეიმო აღმართვა ზედმეტი არ იქნებოდა.

მატჩს ორივე გუნდისთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — „კოლხებს" წარმატებული სტარტისა (2 ფრე სტუმრად, ამათგან ერთი — ზესტაფონში) და ზუგდიდში ნაწნევი მარცხის შემდეგ პირველ მოგებაზე უნდა ეფიქრათ, ხოლო უქულო სტუმრებს — პირველი ქულ(ებ)ის მოპოვებაზე.

მატჩის დასაწყისი „მასპინძლებს" ცუდს არაფერს უქადდა — მეორე წუთზევე ორჯერ ამაოდ ითხოვდნენ პენალტს: პირველად მათი ფორვარდის წაქცევისთვის, რაც მეტად საეჭვო იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში ბურთი ხელზე ნამდვილად მოხვდა სტუმარ მცველს, მაგრამ მსაჯის გადასაწყვეტი იყო, ამას პენალტის კვალიფიკაციას მისცემდა თუ არა.

მალე ჩინებული შანსი მიეცა **ზამირ ჯანაშიას**, თუმცა მეკარის ბაქანში მყოფს ხელი მცველებმა შეუშალეს. ამის შემდეგაც უპირატესობას „კოლხები" ფლობდნენ, თუმცა აშკარა იყო, რომ წინა ხაზში პრობლემები ჰქონდათ.

ეს კარგად შეატყვეს სტუმრებმა, ტაიმის მიწურულისკენ აქტიურად შეუტიეს და უპირატესობაც მოიპოვეს — ჯერ **ჩაგელიშვილი** შეეყარა ფოთელთა მეკარეს პირისპირ, უკეთ გარჯაც მართებდა, მაგრამ **ნადირაშვილსაც** არ უნდა დავუკარგოთ თავგამოდება. იქვე **რაჟამაშვილმა** ივარგა — საჯარიმომდეც და საჯარიმოშიც რამდენიმე ფოთელი მცველი ჩამოიცილა და ხელსაყრელი პოზიციიდან შორეულ კუთხეში დაარტყა, თუმცა მცირედით ააცილა, არადა, მისიანებს კუთხე რომ ჩაეკეტათ, ანგარიში პირველივე ტაიმში გაიხსნებოდა.

თუმცა რაჟამაშვილის ჟამი მალევე დადგა - 59-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან პირდაპირ კარში გაგზავნა ბურთი, რომელსაც არეულობაში ყველა ასცდა და ბოლო მომენტში რეაგირება ვერც მეკარემ მოასწრო — 0:1.

ამის შემდეგ „კოლხეთი" ვითარების შეცვლას ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მეტიც, გორელები უფრო ლაღად ათამაშდნენ, რამდენჯერმე ხიფათიც შექმნეს, ერთხელ მათი მობურთალი „კოლხთა" საჯარიმოში საეჭვოდაც დაეცა. გამოცდილმა **სოსო ფილიამ** შეცვლებით სცადა ფონს გასვლა, თუმცა ამანაც ვერ უშველა — „კოლხეთი" უსუსურად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით შეტევისას, ასე რომ, სტუმრების მოგებას არანაირი კითხვა არ გაუჩენია — **გია ცეცაძის** შეგირდებმა დამსახურებული პირველი გამარჯვება მოიპოვეს!

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან




კმაყოფილი და უკმაყოფილო: დილას მთავარი მწვრთნელი გია ცეცაძე (მარცხნივ) და ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე ვანო სალინაძე

# ზუგდიდში ყველას გაუჭირდება

27.08. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 3 |
| გაგრა | 0 |

1:0 ეხვაია (40), 2:0 სამუშია (87), 3:0 ქობალია (90)

| ბაია | გაგრა |
|---|---|
| 4-4-2 | 3-5-2 |
| სომხიშვილი | ქ. სეფიაშვილი |
| აფაქიძე | კალანდაძე |
| რიგვავა | ტყეშელაშვილი |
| ნ. შონია | ზ. ჩხეტიანი |
| აკობია | ხუციძე |
| ეხვაია | ნ. ჯიშკარიანი |
| წურწუმია | ნაკონეჩნი |
| მგელაძე | შარიქაძე |
| გუგუჩია | სიჭინავა |
| სიხარულია | ორდინსკი |
| ქობალია | კვანტალიანი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ე. ქომეთიანი | ა. პისკოვეცი |

**ბაია**

66. გუგუჩია – **ტყემალაძე**
74. ეხვაია – **ენდელაძე**
83. სიხარულია – **სამუშია**
*სათადარიგოები: მაქაცარია, შ. ლომია, სვირავა, პაჭკორია*

**გაგრა**

46. სიჭინავა – **ჭკუასელი**
67. ზ. ჩხეტიანი – **მაგაჯი**
79. ჯიშკარიანი – **ქართველიშვილი**
*სათადარიგოები: ბეგაშვილი, გაბუნია, ყურულაშვილი, ჭოხონელიძე*

გაფრთხილება: **აკობია (36)**
გაძევება: **ტყეშელაშვილი (89)**
არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

მატჩის შედეგი, ერთი შეხედვით, მოულოდნელია, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და არ არის გასაკვირი, "გაგრას" უდანაკარგო სერიას წერტილი რომ დაესვა. ისევე, როგორც წინა ტურში, ზუგდიდელებმა მაღალ დონეზე ითამაშეს, შინაური კედლების ფაქტორიც კარგად გამოიყენეს და სეზონში მესამე გამარჯვება მიითვალეს.

იქნებ, "გაგრა" მთლად ამხელა სხვაობით მარცხს არც იმსახურებდა, მაგრამ "ბაიას" ფეხბურთელებს საოცარი შემართება და საგოლე მომენტების რეალიზების კარგი უნარი არ უნდა დავუკარგით.

ზუგდიდელთაგან ამჯერადაც **ირაკლი ქობალია** გამოირჩეოდა, რომელიც თავისი გუნდის შეტევებსაც ეფექტურად ამწვავებდა და ხშირად მოედნის სიღრმიდანაც მოქმედებდა. კიდევ ერთხელ გამოჩნდა ისიც, რომ "ბაიას" მომავალი თაობის იმედი უნდა ჰქონდეს – თუკი გასულ ტურში გოლი **ავთანდილ ენდელაძემ** გაიტანა, შაბათს თავი მისმა თანატოლმა **გურამ სამუშიამ** გამოიჩინა.

მოკლედ, მოულოდნელი ანგარიშზე უფრო ითქმის, თორემ "ბაია" საკუთარ მოედანზე კიდევ ბევრ გუნდს გაამწარებს და ამაში უცნაური არაფერი იქნება.

**ნიკა გვათუა**
ზუგდიდიდან

U 17

# ფინალი პენალტებით დავთმეთ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პალანგის თასი მეორე ადგილით დაასრულა. **ვასილ მაისურაძის** გუნდის მეტოქე ფინალში ლიტვა იყო, რომელმაც მატჩისშემდგომი პენალტების სერიით7:6 გაიმარჯვა.

შეხვედრის ძირითადი დრო კი 1:1 დასრულდა. ლიტველებმა ანგარიში 24-ე წუთზე გახსნეს, 31-ეზე კი **ალეკო მზევაშვილის** წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა** გამოიყენა.

საქართველოს ნაკრებმა ამ შემადგენლობით ითამაშა: ადამია, ნ. ჭანტურია, ჩაკვეტაძე, დვალი, გაბაძე, აბურჯანია, ჭეჭელაშვილი, პაპუნაშვილი, მაჭავარიანი, მზევაშვილი, რ. ჭანტურია.

*მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ:* დარციმელია, ახვლედიანი, გოროზია, გუგუშვილი, ცინცაძე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# იმე!

## მარტვილმა გაიხარა, ქუთაისმა შეიცხადა

27.08. მარტვილი. ცენტრალური. 2000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| მერანი | 1 |
| ტორპედო | 0 |

1:0 ე. გრიგალაშვილი (65. ჩალაძის პასით)

| მერანი | ტორპედო |
|---|---|
| 4-1-3-2 | 4-4-2 |
| შეროზია | მიგინეიშვილი |
| კაკუშაძე | თოდუა |
| ჟვანია | ფარულავა |
| იოგაშვილი | ჩიკვილაძე |
| სუხიაშვილი | ფოფხაძე |
| დიდავა | თარხნიშვილი |
| მანწკავა | ბოლქვაძე |
| ე. გრიგალაშვილი | სეთურიძე |
| ამბროლაძე | დოლიძე |
| ტაპე | მეგრელაძე |
| ჩალაძე | საბანაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ა. ჩხაბერიძე | გ. კიკნაძე |

**მერანი**

72.ჩალაძე – **მემარნიშვილი**
79.ამბროლაძე – **სამადაშვილი**
87.სუხიაშვილი – **ნონორია**
*სათადარიგოები: ჭაფოძე, ქამუშაძე, იატრო, გ. შენგელია*

**ტორპედო**

58. თარხნიშვილი – **კუხიანიძე**
70. სეთურიძე – **გოცირიძე**
77. საბანიძე – **კირკიტაძე**
*სათადარიგოები: იოსელიანი, დათუნაშვილი, გურული, ქვილითაია*

გაფრთხილება: მანწკავა(39), თოდუა (60), ბოლქვაძე(63), იობაშვილი(88).
გაძევება: ბოლქვაძე (90+3)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია (თბილისი)

"მერანმა" შინ, მარტვილელ ქომაგთა გასახარად ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა. მატჩი მთლიანობაში საინტერესოდ წარიმართა, ორივე გუნდს ჰქონდა გატანის არაერთი რეალური შანსი. პირველმა სახიფათოდ **გია მეგრელაძემ** დაარტყა და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ მის მიერ შეხვედრის ბოლო წუთზე შესრულებულ საჯარიმოს ჩინებული ნახტომით დახვდა მარტვილელთა მეკარე **ჯონი შეროზია**, რომლის თავგანწირული თამაში რომ არა, მატჩი სხვა შედეგით დასრულდებოდა.





საწყის წუთებში გატანა შეეძლო **თენგიზ ჩიკვილაძესაც**, თუმცა მიზანმა უმტყუნა. პირველ ტაიმში ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა მასპინძელთა კოტდივუარელი ლეგიონერი **ტაპე მუნინიც**, მაგრამ მანაც მცირედით ააცილა კარს.

მეორე ტაიმი პირველზე გაცილებით უკეთესი გამოდგა. მარტვილელები უმალვე დაეუფლნენ უპირატესობას და შედეგიც მოიმკეს: მე-60 წუთზე **ანზორ სუხიაშვილი** შეიჭრა "ტორპედოს" საჯარიმოში, **სევასტი თოდუამ** ის წესების დარღვევით შეაჩერა, მცველი ყვითელი ბარათით დაისაჯა, გუნდი კი თერთმეტმეტრიანით. "მერანის" კაპიტან **გიგა ჟვანიას** კი **ომარ მიგინეიშვილმა** აჯობა და ანგარიში უცვლელი დარჩა. თუმცა ამ ეპიზოდიდან რამდენიმე წუთში მარტვილელებმა მაინც გაიტანეს: **ლაშა ჩალაძემ** უმეთვალყურეო **ელგუჯა გრიგალაშვილი** მოძებნა, რომელმაც თანაგუნდელები არ დაალალატა — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ "ტორპედო" გამოცოცხლდა, სახიფათო მომენტებიც შექმნა, მაგრამ...

დამატებულ წუთებში არბიტრმა **გიორგი ვადაჭკორიამ** სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და, შესაბამისად, მოედანი დაატოვებინა ტორპედოელ **დავით ბოლქვაძეს**.

თამაშის შედეგით ერთობ უკმაყოფილონი დარჩნენ ქუთაისელი გულშემატკივრები, რომელთაც გულისწყრომა არც დაუმალავთ და ეს გუნდის ხელმძღვანელებსაც გააგონეს — ისინი საყვარელი გუნდისგან კარგ თამაშსა და გამარჯვებებს ელიან.

**მატჩის შემდეგ**

**არჩილ ჩხაბერიძე (მერანი):** *"დღევანდელ მატჩში "ტორპედოსთან გამარჯვება ლოგიკურად მიმაჩნია, რადგან უფრო მეტი მომენტი გვქონდა და ბურთსაც მეტწილად ჩვენ ვაკონტროლებდით. ჩვენი კოზირი გუნდური თამაშია. იმედია, მომავალ შეხვედრებშიც დავამტკიცებთ ჩვენს ძალას".*

**გიორგი კიკნაძე (ტორპედო):** *"ძალიან სამწუხარო მარცხია, მოულოდნელად დავკარგეთ ქულები. მინდვრის საფარი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, აქ თამაში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. რაც შეეხება ქუთაისელ გულშემატკივართა აგრესიას ჩვენ მიმართ, წაგებული მატჩის შემდეგ ეს ბუნებრივია, მათ კი აუცილებლად დაველაპარაკებით. გუნდის წარუმატებლობის მიზეზი შეუთამაშებლობაა, ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს და სიტუაციის დალაგებას დრო სჭირდება".*

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან



ასე გავიდა გოლი ქუთაისელთა კარში

ავტორის ფოტოები

ლეგიონერები



გიორგი განუგრავა (№7)

# ტრადიციულზე უკეთესი უქმეები

გასული უქმეები ქართველი ლეგიონერებისთვის არცთუ ურიგო გამოდგა ქართული გოლები ევროპაშიც გავიდა და აზიაშიც, ბევრი ჩვენიანის გუნდმა კი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო.

ვეტერან **ვასილ გიგიაძეს**, რომელსაც ამ ბოლო დროს "ტავრიას" სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უფრო უწევს, თავის გამოჩენის შანსი მიეცა, რაც ჩინებულად გამოიყენა. მისმა გუნდმა კიევში "არსენალს" 3:2 სძლია, გიგიაძე კი მოედანზე 71-ე წუთზე შევიდა და 88-ეზე თავისივე წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი გამოიყენა, რითაც თავისი გუნდის სასარგებლოდ ანგარიში 3:1 გახადა.

აზია რომ ვახსენეთ, ალბათ, მიხვდით, **დავით მუჯირის** წარმატება ვიგულისხმეთ. ვეტერან შემტევს ამომავალი მზის ქვეყანაში მეორე სუნთქვა გაეხსნა და "ჰიროშიმა სანფრეჩესთვის" უაღრესად საჭირო ფეხბურთელად იქცა. "ნიიგატასთან" მატჩში მას სულ 11 წუთი ეყო გამარჯვების გოლის გასატანად. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მუჯირი მოედანზე 79-ე წუთზე შევიდა და ეფექტური შორეული დარტყმით მეტოქის კარი ორიოდე წუთში დალაშქრა. ეს შეხვედრის ერთადერთი გოლი იყო.

უნგრეთში ერთბაშად ორი ქართული გოლი გავიდა. "დიორი ეტომ" საკუთარ მოედანზე "ზალაეგერშეგი" 5:1 გაანადგურა, 34-ე წუთზე დიორელმა **რატი ალექსიძემ** ანგარიში 2:0 გახადა. "ლომბარდ პაპა" სტუმრად "პაქსისთან" 1:2 დამარცხდა, თუმცა მაინც უნდა ალვნიშნოთ, რომ ამ გუნდის ქართველმა ნახევარმცველმა **გიორგი განუგრავამ** მე-12 წუთზე შორეული დარტყმით ანგარიში გახსნა. განუგრავას გარდა, ამ მატჩში მონაწილეობდა **ლაშა თოთაძეც**.

გადავინაცვლოთ რუსეთში, სადაც "ვოლგას" წევრებმა მცირედი შვება იგრძნეს. ნიჟნინოვგოროდელებმა შინ გროზნოს "ტერეკი" 3:1 დაამარცხეს, რაშიც ჩვენებურთაგან სერიოზული წვლილი შეიტანეს **გოგიტა გოგუამ** და **გოჩა ხოჯავამ**. ორივემ გაიტანა, გოგუამ თამაშიდან, ხოჯავამ კი პენალტით. მათ გარდა "ვოლგას" ძირითადში იყო **მათე ვაწაძე**, რომელიც 52-ე წუთზე შეცვალეს, ხოჯავამ კი მოედანი 67-ე წუთზე დატოვა. **ლევან გვაზავა** "ტერეკის" 18-კაციან განაცხადში არ ყოფილა.

"სპარტაკსა" და ცსკა-ს შორის დედაქალაქური დერბი საკმაოდ დრამატული გამოდგა და 2:2 დასრულდა. **ჯანო ანანიძეს** არ უთამაშია, მხოლოდ სათადარიგოობას დასჯერდა.

**სამუელ ეტოომ** "ანჟის" შემადგენლობაში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა და შეცვლაზე შესულმა თავიც გამოიჩინა, რითაც მახაჩყალელებს როსტოვში ქულა გადაურჩინა. "ანჟის" კარს, ტრადიციულად, **ნუკრი რევიშვილი** იცავდა და რამდენიმე რთული ბურთიც მოიგერია.



ნუკრი რევიშვილი

**საბა კვერკველიამ** "რუბინის" შემადგენლობაში ამჯერადაც შეუცვლელად ითამაშა – ამას უკვე ხაზგასმაც აღარ სჭირდება. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მიღმა დარჩენილმა "რუბინმა" "კრილიას" 1:0 აჯობა. **ალექსანდრე ამისულაშვილისა** და **ოთარ მარცვალაძის** "კრასნოდარი" სანკტ-პეტერბურგში "ზენიტთან" 0:5 განადგურდა. პირველმა 90 წუთი ითამაშა, მეორე კი თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო. ტური წარუმატებელი გამოდგა **დავით სირაძისთვისაც**, რომლის "სპარტაკიც" მოსკოვში "დინამოსთან" 0:2 დამარცხდა. ნალჩიკელთა ქართველი ფორვარდი მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა.

ზემოთ გიგიაძის "ტავრია" ვახსენეთ და იმასაც გეტყვით, რომ ამ მატჩში "არსენალის" ძირითადში იყო **სანდრო კობახიძე**, რომელიც 51-ე წუთზე შეცვალეს.

ქართველთა კიდევ ერთი დაპირისპირება "კრივბასისა" და "ზარიას" შეხვედრაში შედგა, რომელიც 2:1 დასრულდა. "კრივბასის" რიგებში არ გამოჩენილა **უჩა ლობჯანიძე**, **ჯაბა კანკავა** კი სასტარტოში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს. ზარიელმა **ჯაბა ლიპარტიამ** მინდორზე 90 წუთი დაყო.

გერმანიაში **ლევან კობიაშვილს** წარმატებული ტური გამოუვიდა, **ალექსანდრე იაშვილს** კი – მეტისმეტად უიღბლო. პარასკევს "ჰერტამ" შინ "შტუტგარტს" მძიმე ბრძოლა 1:0 მოუგო, ლევანმა ტრადიციულ პოზიციაზე, დაცვის მარცხენა ფლანგზე შეუცვლელად ითამაშა. "კარლსრუე" კი საკუთარ მოედანზე ფრანკფურტის "აინტრახტთან" 0:4 განადგურდა. მასპინძელთა ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა.

არნემის "ვიტესი" პარასკევს ამსტერდამში "აიაქსთან" უშანსოდ დამარცხდა – 1:4. სტუმართა ქართველმა კაპიტანმა **გურამ კაშიამ** მოედანზე 90 წუთი გაატარა, **გიორგი ჭანტურია** კი 69-ე წუთზე შეცვალეს.

ავსტრიაში "შტურმმა" შინ "ნოიშტადტი" 5:0 გაანადგურა. გრაცელთა დაცვის მარცხენა ფლანგზე ამჯერადაც **გიორგი ფოფხაძე** ირჯებოდა. როგორც ჩანს, "შტურმის" ქართველმა ახალწვეულმა ძირითად შემადგენლობაში მყარად მოიკიდა ფეხი.

სერბეთში "ვოივოდინამ" შინ 3:0 გაანადგურა "პაზარი", რაშიც თავისი წვლილი **გიორგი მერებაშვილმა** საგოლე პასით შეიტანა. შვეიცარიაში **ირაკლი ჩირიკაშვილმა** "ქსამაქსის" შემადგენლობაში 20 წუთით ითამაშა, **ლევან მჭედლიძე**, **გიორგი მაკარიძე** და **ამირან სანაია** კი, შესაბამისად, "ემპოლიში", "ლე მანსა" და "ბასტიაში" სათადარიგოები იყვნენ.

ქართველმა ფინეთშიც გაიტანა. თავი პკ-35-ის წევრმა **ბექა ტულუშმა** გამოიჩინა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

### გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური


მიუნხენელები კაიზერსლაუტერნის განადგურებას ზეიმობენ

# დონი აქა, დინო იქა...

## იუპის ბაიერნი მოწოდების სიმაღლეზეა, ბუნდესლიგის უკანასკნელი დინოზავრი ჰამბურგი კი ფსკერზე სულს ღაფავს

შაბათს მიუნხენის „ბაიერნი“ პირველ ადგილზე ალზევდა. წესით, რეკორდმაისტერის ლიდერობა ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში არაჩვეულებრივი და ყურადსაღები მოვლენაა, რადგან გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მიუნხენური კლუბი „კაიზერსლაუტერნის“ განადგურების (3:0) შემდეგ, ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს სათავეში 476-დღიანი შესვენების შემდეგ პირველად ჩაუდგა. ბავარიელები ბოლოს 2010 წლის 8 მაისს ლიდერობდნენ...

ვერ ვიტყვით, რომ ჰაინკესის გუნდმა შაბათს, ბეტცენბერგზე სუპერ-ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ იმდენი კი ქნა, რომ უსუსურ „ლაუტერნს“ 3:0 მოუგო. სამივე გოლი გერმანიის ნაკრების გოლეადორ **მარიო გომესის** ანგარიშზეა. 26 წლის თავდამსხმელმა სუფთა ჰეთ თრიკი შეასრულა – მიუხედავად იმისა, რომ ტრავმიანმა ითამაშა. სუპერმარიოს მატჩის გმირის წოდება მარტო ამიტომ არ მოუპოვებია: ასე განსაჯეთ, ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა გომესმა კარში უფრო მეტჯერ დაარტყა (8-ჯერ), ვიდრე ყველა კაიზერსლაუტერნელმა ერთად (5). ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ბუნდესლიგის ერთ მატჩში გომესს ამდენი ზუსტი დარტყმა მანამდე არასდროს ჰქონდა გაკეთებული. არადა, მარიო თავს ცუდად გრძნობს. ჰაინკესმა თქვა, მისი თამაში კითხვის ნიშნის ქვეშ იყო, რადგან მუხლი ჯერ კიდევ სტკივაო. მარიომ ეს ტრავმა 11 დღის წინ, „ციურიხთან“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ მატჩში მიიღო. მას გამოკვლევას დღეს ჩაუტარებენ და დღესვე უნდა გაირკვეს, შეუერთდება თუ არა მარიო გერმანიის ნაკრებს – ბუნდესგუნდი 2 სექტემბერს ავსტრიას მასპინძლობს, 6-ში კი პოლონეთს სტუმრობს.

თუმცა კაიზერსლაუტერნთან მარიოს ტრავმა არ დასტყობია – სამივე გოლი უპრობლემოდ გაიტანა და მესამე გოლისთვის განსაკუთრებული მადლობა ასისტენტ **თომას მიულერს** გადაუხადა. *„ასე კარგად ამ სეზონში ჯერ არ გვითამაშია, ბიჭები ძალიან თავდაჯერებულები იყვნენ. ადრეც ვთქვი, რომ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ. დარწმუნებული ვარ, პროგრესი გაგრძელდება,“* - თქვა „დონ იუპმა“ და დაგვეთანხმებით, ეს დორტმუნდის „ბორუსიასკენ“ მიმართული მუქარაა.

„კაიზერსლაუტერნი“ კი ჯერჯერობით ისევ მოგების გარეშეა და 4 ტურის შემდეგ მე-17 ადგილზე „ბუქსაობს“. „ეშმაკების“ თავკაცი **მარკო კურცი** ამბობს, პირველიდან ბოლო წუთამდე უშანსოდ ვიყავით და ამის აღიარება არ მიჭირსო. ფაქტია, ბეტცენბერგელები ამ სეზონში მხოლოდ გადარჩენისთვის იბრძოლებენ...

ტურის ცენტრალურ მატჩს ლევერკუზენის „ბაი არენამ“ უმასპინძლა, სადაც ვიცე-ჩემპიონი „ბაიერი“ ჩემპიონ „დორტმუნდს“ დაუპირისპირდა და 0:0-ზე გაეყარა. შეხვედრის ყველაზე საინტერესო სცენა 77-ე წუთზე დაფიქსირდა, როცა „ბორუსიას“ ახალგაზრდა ვარსკვლავი **მარიო გიოტცე** მოედნიდან გააძევეს. ამ უკანასკნელმა **ჰანო ბალიტშთან** ორთაბრძოლის შემდეგ ლევერკუზენელს ფეხი უშნოდ მოუქნია, რის გამოც მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** მაშინვე წითელი აუფრიალა. დორტმუნდელები აღშფოთდნენ, მწვრთნელი **იურგენ კლოპი** მატჩის შემდეგ ამბობდა, შტარკს თვალების ნაცვლად პომიდვრები აქვსო, თავად გიოტცე გაძევების მომენტში თავს გაკვირვებული იქნევდა. შტარკმა კი ამ სცენაში არა მარტო გიოტცეს ფეხის მოქნევა, არამედ შეფურთხებაც დაინახა, ოღონდ, დორტმუნდელები ამტკიცებენ, მარიომ ჩვეულებრივად გადააფურთხა, ბალიტშისთვის არ შეუფურთხებიაო. სამაგიეროდ, სადავო არაფერი იყო მეორე გაძევებაში: 64-ე წუთზე შტარკმა მოედანი „ლევერკუზენის“ მარცხენა მცველ **მიხალ კადლეცსაც** დაატოვებინა, რომელმაც გიოტცე სასტიკად მოცელა.

ტურის ტოპ-მატჩში მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ მეკარეები. „ბორუსიას“ კარის დარაჯმა **რომან ვაიდენფელერმა** **შიურლესა** და **რაინარტცის** დარტყმები ბრწყინვალე ნახტომებით მოიგერია. მეორე ტაიმში კი „ბაიერის“ ახალგაზრდა მეკარე **ლენომ** გაიბრწყინა არაერთხელ – **პერიშიჩს**, გიოტცესა და **კაგავას** დარტყმები მოიგერია. აღსანიშნავია, რომ 19 წლის ლენო „ლევერკუზენში“ ტრავმირებულ **რენე ადლერს** ცვლის. „ბაიერს“ ეს უკანასკნელი „შტუტგარტიდან“ არენდით ჰყავს აყვანილი. გაირკვა, რომ „ფარმაცევტებს“ უნიჭიერესი კიპერის ყიდვა უნდათ, მაგრამ ახლა შტუტგარტელები „შესხდნენ ვირზე“ - რაკი ლენომ პოტენციალი გამოაჩინა, მისი გაყიდვა აღარ უნდათ. რაც შეეხება **მიხაელ ბალაკს** – გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ისევ სათადარიგოთა სკამი ხეხა. გუშინ „ბილდი“ წერდა, ბალაკს პირადი ცხოვრებაც აერ-დაერია, ცოლს შორდებაო...

ცხრილის ფსკერზე მოლივლივე გუნდების, „ჰამბურგისა“ და „კიოლნის“ დუელი ნამდვილი საგიჟეთი იყო. ჯერ „ჰამბურგი“ იგებდა (1:0), მერე „კიოლნმა“ შეატრიალა (1:2), მერე ისევ „ჰამბურგმა“ შემოატრიალა (3:2) და ბოლოს „კიოლნმა“ ისევ გადაატრიალა (3:4). ამრიგად, HSV-მ ისევ წააგო და გუნდი, რომელიც ბუნდესლიგის დაარსების შემდეგ ელიტიდან არასდროს გავარდნილა (ამიტომაც უწოდებენ უკანასკნელ დინოზავრს), 4 ტურის შემდეგ ერთადერთი ქულით ბოლო ადგილზეა. ჰამბურგელთა მარცხი მთლად არა, მაგრამ დიდწილად მეკარე **იაროსლავ დრობნის** ბრალია, რომელმაც 88-ე წუთზე საბედისწერო შეცდომა დაუშვა: **საშა რიტერის** ჯარიმის შემდეგ ბურთი პირდაპირ **კევინ მაკენას** დაუგდო, რომელმაც 15 მეტრიდან გამარჯვების გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ დრობნი ორი კვირის წინ, „ჰერტასთან“ მატჩშიც (2:2) გადამწყვეტ მომენტში შეცდა. ჰამბურგელებს ჯერ კიდევ უჭირთ იმის აღიარება, რომ გუნდის მთავარი მიზანი ამ სეზონში გადარჩენისთვის ბრძოლა უნდა იყოს და იმედი აქვთ, რომ აუტსაიდერობა დროებითია, თუმცა ჩრდილოგერმანელებმა ამ ოთხ ტურში ისე ითამაშეს, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე არ ჩანს. მწვრთნელი **მიხაელ იონინგი** კი უკვე ჩემოდნებზე ზის – ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ჩვენი გერმანელი კოლეგები. ფაქტი ის არის, რომ „ჰამბურგს“ ზოგადად 11-მატჩიანი მოუგებელი სერია აქვს, ამ სეზონში კი უკვე მოახერხა და ყველაზე მეტი გოლი გაუშვა (14). ამასობაში, კიოლნელები და მათი მწვრთნელი **სტალე სოლბაკენი** სეზონის პირველ გამარჯვებას ზეიმობენ.

**ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგი“ შავ დღეშია – მიუხედავად არაერთი ახალწვეულისა, „მგლებმა“ ფრაიბურგში 0:3 წააგეს. ეს „ვოლფების“ ზედიზედ მესამე მარცხია. „დესპოტმა ფელიქსმა“ შაბათს განაცხადში შვიდი ახალწვეული შეიყვანა და აქედან ოთხი (**კირიაკოსი, ტრეში, ჰიტცლშპერგერი, ოხსი**) ძირითად შემადგენლობაში გაამწესა, მაგრამ „ვოლფსბურგს“ მაინც არაფერი ეშველა. კირიაკოსსა და ტრეშს გაშვებულ გოლებში ბრალი მიუძღოდათ, „ვოლფსბურგი“ კი ამასობაში მე-15 ადგილზე ჩამოქვეითდა. ოთხშაბათამდე მაგათს ჯერ კიდევ აქვს დრო იმისათვის, რომ გუნდი გააძლიეროს, მაგრამ სერიოზული პრობლემაა ბრაზილიელი ფლეიმეიქერის, **დიეგოს** ხელფასი (9 მილიონი ევრო წელიწადში) – როგორც იცით, ფელიქსი ამ უკანასკნელს აღარ ათამაშებს და ვერც ყიდის, ჯამაგირი კი სახდელი აქვს...

პარასკევს **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ“ პირველი გამარჯვება იზეიმა – ბერლინელებმა „შტუტგარტი“ მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გაუმართლათ. „ნიურნბერგმა“ ასევე 1:0 მოუგო „აუგსბურგს“, სადაც წარმოშობით ქართველმა ნახევარმცველმა **აკაკი გოგიამ** მეორე ტაიმში, შეცვლაზე ითამაშა. ბრემენის „ვერდერმა“ კი „ჰოფენჰაიმს“ სტუმრად სძლია (2:1) და თამამად უნდა ითქვას, რომ „მუსიკოსები“ ძალიან კარგად გამოიყურებიან. 4 ტურის შემდეგ 12 ქულა **თომას შააფის** გუნდისთვის გასაოცრად კარგი შედეგია. იმედია, „ვერდერი“ ასე გააგრძელებს - ამ გუნდის აღმაფრენა ყველას მოგვენატრა.

გუშინ, „ჰანოვერს“ და მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ „ბაიერნის“ პირველი ადგილიდან ჩამოგდება შეეძლოთ, მაგრამ ვერცერთმა ვერ მოიგო. „ჰანოვერი“ საკუთარ მოედანზე „მაინცს“ დაუზავდა (1:1), „გლადბახი“ კი გელზენკირხენში მინიმალური ანგარიშით დამარცხდა. ამრიგად, ოთხი ტურის შემდეგ, პირველ ადგილზე „ბაიერნია“ 9 ქულით, თუმცა რეკორდმაისტერი ერთპიროვნული ლიდერი არ არის - 9-9 ქულა აქვთ „შალკეს“ და „ვერდერსაც“...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

9 სექტემბერი: აუგსბურგი-ლევერკუზენი
10 სექტემბერი: ბორუსია (დ)-ჰერტა, ბაიერნი-ფრაიბურგი, მაინცი-ჰოფენჰაიმი, შტუტგარტი-ჰანოვერი, ბორუსია (მ),-კაიზერსლაუტერნი, ვერდერი-ჰამბურგი,
11 სექტემბერი: კიოლნი-ნიურნბერგი

### ჰერტა-შტუტგარტი 1:0

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, მიატოვიჩი, **კობიაშვილი** – ოტლი, ნიმაიერი – ებერტი (91. იანკერი), რაფაელი (89. ლუსტენბერგერი), რამოსი – ლასოგა (65. თორუნი).

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ჩელოცი (60. ბოკა), ტასკი, მასა, მოლინარო – კვისტი, კუზმანოვიჩი (79. გენტნერი) – ჰარნიკი, ჰაინალი (73. პოგრებნიაკი), ოკაზაკი – კაკაუ.

**გოლი:** 1:0 რაფაელი (86)

**გაფრთხილება:** მოლინარო

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 16(5)-22(5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 52 232

### ჰამბურგი-კიოლნი 3:4

**ჰამბურგი (4-2-3-1):** დრობნი – დიკმაიერი, ვესტერმანი, რაიკოვიჩი, აოგო – იაროლიმი, ტეშე – სონი (75. ელია), სკიელბრედი, იანსენი – პეტრიჩი (81. გერერო).

**კიოლნი (4-2-3-1):** ვარვოდიჩი – ბრეჩკო, სერენო, ჟერომელი, ანდრეზინიო (68. კლემენსი) – ლანიგი, რიტერი – ჩიჰი, ჟაჟალო (85. მაკენა), პეჟკო (46. პოდოლსკი) – ნოვაკოვიჩი.

**გოლები:** 1:0 პეტრიჩი (11-პენ), 1:1 ჩიჰი (21), 1:2 ნოვაკოვიჩი (49), 2:2 რაიკოვიჩი (59), 3:2 სონი (62), 3:3 კლემენსი (84), 3:4 მაკენა (88)

**გაფრთხილება:** აოგო – ბრეჩკო, ნოვაკოვიჩი, რიტერი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-21; **თამაშგარე:** 9-2; **კარში დარტყმა:** 15(6)-7(5); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 51 289

### ნიურნბერგი-აუგსბურგი 1:0

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რაკოვსკი – ჩანდლერი, ვოლშაიდი, კლოზე, პინოლა – სიმონსი – ჰეგელერი (73. მენდლერი), კოენი, ვაისმაიერი (84. მარო), აიგლერი (60. ესვაინი) – პეკჰარტი.

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში – კალსენ-ბრაკერი, სანკო, დე რუკი, დავიდსი – ჰოსოგაი (81. რაინჰარდტი), სინკალა – ნდიენგი (61. გოგია), ბაიერი (81. კაპლანი), ბელინგჰაუზენი – მიოლდერსი.

**გოლი:** 1:0 ესვაინი (76)

**გაფრთხილება:** პეკჰარტი, რაკოვსკი, ვაისმაიერი, კოენი – ჰოსოგაი, კალსენ-ბრაკერი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15(6)-12(2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 43 071

### ფრაიბურგი-ვოლფსბურგი 3:0

**ფრაიბურგი (4-2-3-1):** ბაუმანი – ნიკუ, ბართი, კრმასი, ბასტიანსი – შუსტერი, ფლუმი – რაიზინგერი (84. აბდესადკი), მაკიადი (89. დემბელე), იენდრიშეკი (81. კალიჯური) – სისე.

**ვოლფსბურგი (4-2-2-2):** ბენალიო – ჰასებე (50. რუსი), მადლუნგი, კირიაკოსი, მ. შეფერი – ტრეში, ჟოსუე (46. ლაკიჩი) – ოხსი, ჰიტცლშპერგერი (65. ჩალე) – ჰელმესი, მანჯუკიჩი.

**გოლები:** 1:0 ბართი (30), 2:0 იენდრიშეკი (40), 3:0 მაკიადი (59)

**გაფრთხილება:** რუსი, ჩალე

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 12-21; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15(4)-14(4); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 20 000

### კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი 0:3

**კაიზერსლაუტერნი (4-1-4-1):** ტრაპი – დიკი, როდნი, ამედიკი, იესენი – პეცოსი (87. ორბანი) – ვალხი (62. სუკუტა-პასუ), ტიფერტი, დე ვიტი (56. ფორტუნისი), ილიჩევიჩი – შეხტერი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი (88. კროოსი) – ალაბა (83. ლუის გუსტავო), თ. მიულერი, რიბერი – გომესი (85. პეტერსენი).

*55-ე წუთზე გომესმა (ბაიერნი) ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი (მეკარე)*

**გოლები:** 0:1 გომესი (37-პენ), 0:2 გომესი (55), 0:3 გომესი (69)

**გაფრთხილება:** პეცოსი, როდნი, ფორტუნისი - ალაბა

**გაძევება:** ილიჩევიჩი (90. კაიზერსლაუტერნი)

**კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 14-17; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 4(1)-17(12); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 49 780

### ჰოფენჰაიმი-ვერდერი 1:2

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე – ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი (79. მლაპა) – რუდი (86. ტაგო), სალიჰოვიჩი – ჯონსონი, რობერტო ფირმინიო (80. შიპლოკი), ობასი – ბაბელი.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – პაპასტატოპულოსი, მერტეზაკერი, ვოლფი, შმიტცი – ბარგფრედე – ფრიტცი (91. პრიოდლი), ჰანტი – მარინი (74. ექიჩი) – პისარო, არნაუტოვიჩი (74. როზენბერგი).

**გოლები:** 1:0 რობერტო ფირმინიო (37), 1:1 არნაუტოვიჩი (38), 1:2 როზენბერგი (83)

**გაფრთხილება:** ექიჩი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 4-5; **კარში დარტყმა:** 15(4)-9(4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 28 750

### ლევერკუზენი-ბორუსია (დ) 0:0

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – კასტრო, ტოპრაკი, რაინარტცი, კადლეცი – ლ. ბენდერი, როლფესი – სემი, რენატო (68. ბალიტში), შიურლე – კისლინგი.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – ს. ბენდერი, გიუნდოგანი – გიოტცე, კაგავა (81. ბლაშჩიკოვსკი), გროსკროიტცი (63. პერიშიჩი) – ლევანდოვსკი.

**გაძევება:** კადლეცი – გიოტცე

**გაფრთხილება:** რენატო, ბალიტში - ჰუმელსი

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 16(6)-13(4); **ბურთის ფლობა:** 47%-54%.

**მაყურებელი:** 30 210

### ჰანოვერი-მაინცი 1:1

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი (89. პანდერი) – შმიდებახი, პინტუ (65. ჰაუგერი) – შტინდლი, რაუში – შლაუდრაფი (49. ია კონანი), აბდელაუ.

**მაინცი (4-2-2-2):** ჰ. მიულერი – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, კალიჯური – პოლანსკი (73. ბაუმგარტენი), სოტო – რისსე, შტიბერი (78. კირხჰოფი) – ალაგუი, ჩუპო-მოტინგი (88. ნ. მიულერი).

**გოლები:** 0:1 ჩუპო-მოტინგი (2), 1:1 აბდელაუ (30)

**გაფრთხილება:** შმიდებახი

**კუთხური:** 8-9; **ჯარიმა:** 15-24; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 19(8)-9(2); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 40 420

### შალკე-ბორუსია (მ) 1:0

**შალკე (4-2-2-1-1):** ფერმანი – უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი – პაპადოპულოსი, ჰოლტბი (82. ჰიოგერი) – ფარფანი (90. ბაუმიოჰანი), დრაქსლერი (86. მარიკა) – რაული – ჰუნტელაარი.

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, ბრუვერსი, დანტე, დემსი – ნორდტვეიტი (81. რუპი), ნოიშტედტერი – როისი, არანგო – ბობადილია (67. დე კამარგო), ჰანკე (73. ლეკიე).

**გოლი:** 1:0 რაული (64)

**გაფრთხილება:** ფუხსი, ჰიოვედესი – იანტშკე, ბობადილია, დანტე

**კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 11-13; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 22(9)-12(5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 61 673

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-1 | 9 |
| 2. შალკე | 4 | 3 | 0 | 1 | 10-6 | 9 |
| 3. ვერდერი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-5 | 9 |
| 4. ჰანოვერი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 5. ბორუსია (მ) | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 6. ბორუსია (დ) | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| 7. მაინცი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 8. ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 2-2 | 7 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| 10. ნიურნბერგი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-4 | 6 |
| 11. ჰერტა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 12. შტუტგარტი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-3 | 4 |
| 13. ფრაიბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 9-9 | 4 |
| 14. კიოლნი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-12 | 4 |
| 15. ვოლფსბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |
| 16. აუგსბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |
| 17. კაიზერსლ. | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| 18. ჰამბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 6-14 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 – სისე (ფრაიბურგი), გომესი (ბაიერნი), ჰუნტელაარი (შალკე); 3 – აბდელაუ (ჰანოვერი), გროსკროიტცი (ბორუსია დ), მიოლდერსი (აუგსბურგი), როზენბერგი (ვერდერი), სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი)

### II ბუნდესლიგა

VI ტური

**ბოხუმი-ფიურტი 1:4**

**გოლები:** 0:1 სარარერი (35), 1:1 ფრაიერი (41), 1:2 ოკეანი (52), 1:3 ნიოთე (60), 1:4 სარარერი (68)

**დუისბურგი-დინამო (დ) 3:0**

**გოლები:** 1:0 ბაჟიჩი (44), 2:0 იულა (79), 3:0 გეიე (90-საკ. კარში)

**ინგოლშტადტი-ჰანზა 3:1**

**გოლები:** 1:0 მო. ჰარტმანი (23), 1:1 პანევიტცი (56), 2:1 ლაიტლი (75-პენ), 3:1 ლაიტლი (94-პენ)

**ალემანია-ფორტუნა 0:0**

**კარლსრუე-ფრანკფურტი 0:4**

**გოლები:** 0:1 ბენიამინა (6), 0:2 ბენიამინა (31), 0:3 იელენი (53-პენ), 0:4 ხრიზანტუსი (77)

**აინტრახტი-პადერბორნი 0:0**

**მიუნხენ 1860-უნიონი 3:1**

**გოლები:** 1:0 ფოლანდი (22), 1:1 მოსკერა (24), 2:1 ფოლანდი (53), 3:1 აიგნერი (54)

**ბრაუნშვაიგი-ზანქტ პაული 1:0**

**გოლი:** 1:0 კრუპკე (65)

**აუე-კოტბუსი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიურტი | 6 | 5 | 0 | 1 | 15-4 | 15 |
| 2. ზანქტ პაული | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| 3. ბრაუნშვაიგი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-6 | 13 |
| 4. მიუნხენ 1860 | 6 | 4 | 0 | 2 | 16-8 | 12 |
| 5. აინტრახტი | 6 | 3 | 3 | 0 | 12-4 | 12 |
| 6. ფორტუნა | 6 | 3 | 3 | 0 | 11-4 | 12 |
| 7. კოტბუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 837 | 12 |
| 8. პადერბორნი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-7 | 8 |
| 9. უნიონი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-13 | 7 |
| 10. ფრანკფურტი | 6 | 1 | 3 | 2 | 6-7 | 6 |
| 11. კარლსრუე | 6 | 2 | 0 | 4 | 7-13 | 6 |
| 12. დუისბურგი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-7 | 5 |
| 13. აუე | 5 | 1 | 2 | 2 | 2-7 | 5 |
| 14. ინგოლშტადტი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-11 | 5 |
| 15. დინამო (დ) | 6 | 1 | 1 | 4 | 7-9 | 4 |
| 16. ჰანზა | 6 | 0 | 4 | 2 | 3-6 | 4 |
| 17. ბოხუმი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| 18. ალემანია | 6 | 0 | 2 | 4 | 1-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 – ა. მაიერი (აინტრახტი), ნიოთე (ფიურტი), ოკეანი (ფიურტი); 4 – კრუპკე (ბრაუნშვაიგი), რანგელოვი (კოტბუსი), ფოლანდი (მიუნხენ 1860).

### III ბუნდესლიგა

ზაარბრიუკენი-ოსნაბრიუკი 2:2, ზანდჰაუზენი-ვეენი 0:0, მიუნსტერი-შტუტგარტი II 1:1, ბურგჰაუზენი-აალენი 0:0, ერფურტი-დარმშტადტი 2:0, რეგენსბურგი-არმინია 2:2, ხემნიტცი-ობერჰაუზენი 1:0, უნტერჰახინგი-კარლ ცაისი 6:0, ოფენბახი-ბაბელსბერგი 1:1, ჰაიდენჰაიმი-ვერდერი II 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## იტალია

### სერია B

I ტური

სამპდორია-პადოვა 2:2
ვერონა-პესკარა 1:2
ასკოლი-ტორინო 1:2
ბარი-ვარეზე 0:0
ბრეშა-ვიჩენცა 2:0
ჩიტადელა-ალბინოლეფე 2:1
კროტონე-ლივორნო 1:2
ემპოლი-იუვე სტაბია 2:1
გროსეტო-გუბიო 2:0
რეჯინა-მოდენა 4:1
სასუოლო-ნოჩერინა 3:1

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

IV ტური

კილი-ვილჰელმშაფენი 4:2
ჰლაუენი-ჰანოვერი II 0:1
ბერლინერი-ჰამბურგი II 1:2
ვოლფსბურგი II-ჰალეშერი 1:1
გერმანია-მეპენი 1:1
ლაიპციგი-ჰაველსე 4:1
სტ. პაული II-მაგდებურგი 0:2
მოისელვიტცი-ლიუბეკი 1:0
კოტბუსი II-ჰერტა II 1:1

### რეგიონალლიგა (სამ)

IV ტური

ფრაიბურგი II-შტ. კიკერსი 2:5
მიუნხენი II-ჰოფენჰაიმი II 0:7
ბაიერნი (ა)-ინგოლშტადტი II 1:4
ფრანკფურტი II-პფულენდორფი 4:3
ზონენჰოფი-ნიურნბერგი II 3:2
ფიურტი II-ვორმატია 3:2
ვალდჰოფი-ბაიერნი II 1:2
აინტრახტი II-კასელი 1:2

### რეგიონალლიგა (დას)

IV ტური

ფერლი-გლადბახი II 1:2
დორტმუნდი II-ტრირი 0:2
ფორტუნა II-ლოტე 2:2
კობლენცი-ესენი 0:0
კიოლნი II-ვუპერტალი 1:1
ელვერსბერგი-ბოხუმი II 2:1
შალკე II-ვიდენბრუკი 2:0
მაინცი II-კაიზერი II 3:1
ფორტუნა (კ)-ლევერკუზენი II 2:2

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

V ტური

ანჟერსი-რეიმსი 0:0
არლი-ჰავრი 1:0
ბასტია-კლერმონი 1:1
შატორუ-ლე მანი 1:0
გინგამი-ისტრი 1:0
ლავალი-ტრუა 0:0
სედანი-მეცი 1:1
ამიენი-ბულონი 0:0
ტური-ნანტი 2:1
ლანსი-მონაკო დღეს

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

IV ტური

ვილემი-მაასტრიხტი 2:1
კამბური-ფორტუნა 3:1
ცვოლე-სპარტა 2:0
ჰელმონდი-ეინდჰოვენი 0:1
ტელსტარი-დორდრეხტი 3:0
ვეენდამი-დენ ბოში 1:2
ალმერე-აპელდოორნი 4:1
ვოლენდამი-იგლზი 2:2

## პორტუგალია

### II დივიზიონი

II ტური

პენაფიელი-ბელენენსეში 2:2
პორტიმონენსე-ნავალი 2:1
ლეიქსოეში-სანტა კლარა 1:2
ატლეტიკო-ეშტორილი 1:0
ავეში-ოლივეირენსე 1:0
ფრეამუნდე-ტროფენსე 3:1
კოვილია-მადეირა 0:2
არუკა-მორეირენსე 3:1

## შოტლანდია

### I დივიზიონი

IV ტური

ეირი-რეითი 2:1
ფალკირკი-როსი 1:1
დანდი-მორტონი 0:1
ჰემილტონი-ლივინგსტონი 1:1
პარტიკი-ქუინი 2:1

### II დივიზიონი

IV ტური

ალბიონი-ბრეჩინი 1:2
არბროა-სტირლინგი 4:2
ისტ ფაიფი-დამბარტონი 0:6
ფორფარი-ეირდრი 3:2
სტენჰაუზმური-კოუდენბითი 3:1

### III დივიზიონი

IV ტური

ალოა-პიტერჰედი 2:1
ანანი-კლაიდი 1:0
ელჯინი-ისტ სტირლინგი 2:0
მონროუზი-სტრანრარი 0:6
ქუინზ პარკი-ბერვიკი 1:1

## ავსტრია

VI ტური

მატერსბურგი-ტიროლი 1:1
შტურმი-ვინერი 5:0
ზალცბურგი-რაპიდი 0:0
რიდი-კაპფენბერგი 1:0
აუსტრია-ადმირა 2:4

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-2 | 12 |
| 2. ადმირა | 6 | 3 | 2 | 1 | 12-8 | 11 |
| 3. აუსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 12-7 | 10 |
| 4. შტურმი | 6 | 2 | 3 | 1 | 10-7 | 9 |
| 5. რაპიდი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-4 | 8 |
| 6. რიდი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-8 | 8 |
| 7. ტიროლი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-6 | 7 |
| 8. ვინერი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-11 | 7 |
| 9. კაპფენბერგი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| 10. მატერსბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 7-10 | 3 |

## კვიპროსი

I ტური

აპოლონი-ერმისი 2:0
ეთნიკოსი-ანორთოსისი 0:1
ნეა სალამისი-აელ 0:3
ენოსისი-არისი 2:0
ოლიმპიაკოსი (ნ)-ანაგენისი 0:0
აეკ-აპოელ დღეს
ომონია-ალკი დღეს

## დანია

VII ტური

კიოგე-ოლბორგი 1:4
ოდენსე-სონდერიისკი 2:4
კოპენჰაგენი-სილკებორგი 2:1
ნორდშილანდი-ლუნგბიუ 4:0
მიდტიულანდი-ბრონდბიუ 2:1
ჰორსენსი-აგფ ორჰუსი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-5 | 19 |
| 2. ოლბორგი | 7 | 4 | 3 | 0 | 14-8 | 15 |
| 3. სონდერიისკი | 7 | 3 | 3 | 1 | 11-8 | 12 |
| 4. მიდტიულანდ | 7 | 4 | 0 | 3 | 10-10 | 12 |
| 5. ოდენსე | 7 | 3 | 2 | 2 | 14-12 | 11 |
| 6. ნორდშილანდ | 7 | 3 | 1 | 3 | 10-8 | 10 |
| 7. ჰორსენსი | 6 | 2 | 3 | 1 | 12-7 | 9 |
| 8. აგფ ორჰუსი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-9 | 6 |
| 9. ბრონდბიუ | 7 | 1 | 3 | 3 | 8-12 | 6 |
| 10. სილკებორგი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-11 | 5 |
| 11. ლუნგბიუ | 7 | 1 | 1 | 5 | 7-14 | 4 |
| 12. კიოგე | 7 | 1 | 0 | 6 | 9-19 | 3 |

### II დივიზიონი

III ტური

ესბერგი-ჰიორინგი 3:0; ჰობრო-ვეილე 1:4; ბლოხუსი-სკივე 2:1; ვესტსიელანდი-ნაესტვედი 5:1; ბრონსჰოი-რანდერსი 0:0; ფრედერისია-აკადემისკი 1:1; ვიბორგი-როსკილდე 1:0.

## ფინეთი

XXII ტური

ტურკუ-კუოპიო 5:0
იუვიასკიულა-ინტერი 1:0
ჰონკა-მარიეჰამნი 2:0
როვანიემი-ვაასა 0:0
ჰაკა-ჰიკ დღეს
მიუპა-იარო დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 21 | 18 | 0 | 3 | 56-14 | 54 |
| 2. ინტერი | 22 | 13 | 4 | 5 | 51-28 | 43 |
| 3. იუვიასკიულა | 22 | 10 | 8 | 4 | 39-32 | 38 |
| 4. ტურკუ | 22 | 9 | 7 | 6 | 32-29 | 34 |
| 5. ჰონკა | 22 | 8 | 8 | 6 | 33-29 | 32 |
| 6. ჰაკა | 21 | 8 | 4 | 9 | 25-37 | 28 |
| 7. მიუპა | 21 | 7 | 4 | 10 | 23-29 | 25 |
| 8. მარიეჰამნი | 22 | 6 | 5 | 11 | 23-31 | 23 |
| 9. იარო | 21 | 5 | 7 | 9 | 33-36 | 22 |
| 10. კუოპიო | 22 | 4 | 9 | 9 | 28-41 | 21 |
| 11. ვაასა | 22 | 3 | 11 | 8 | 17-28 | 20 |
| 12. როვანიემი | 22 | 2 | 7 | 13 | 22-48 | 13 |

### II დივიზიონი

XIX ტური

ოპს-ვიიკინგიტი 1:1; კპვ-კოტკეპე 2:4; ჰამეენლინა-პკ35 0:2; ჰიფკ-ოულუ 1:3; ესპოო-კემი 1:1; პოპა-იიპო 0:2.

## საბერძნეთი

I ტური

ოფი-ატრომიტოსი 1:1
იანინა-არისი 0:0
კერკირა-პანათინაიკოსი 0:2
პანიონიოსი-ერგოტელისი 2:2
პაოკ-ქსანთი 1:0
პანაიტოლიკოსი-ასტერასი გადაიდო
ოლიმპიაკოსი-კავალა გადაიდო
აეკ-ოლიმპიაკოსი (ვ) გადაიდო

## ისლანდია

XVII ტური

ტორი-გრინდავიკი 0:0
ბრეიდაბლიკი-ვალური 1:1
კეფლავიკი-ფილკირი დღეს
რეიკიავიკი-ფრამი დღეს
ვიკინგური-ვესტმანაეიარი დღეს
სტიარნანი-ჰაფნარი დღეს

## ირლანდიის თასი

### 1/8 ფინალი

ბრეი-ლიმერიკი 0:4
დროგედა-დანდალკი 1:1
უოტერფორდი-სტ.პატსი 0:3
შერიფი-შელბურნი 3:2
უექსფორდი-კორკი 0:1
ლონგფორდი-ბოჰემიანსი 1:3
სლიგო-მონეგანი 0:0

## ნორვეგია

XXI ტური

ბრანი-ტრომსიო 1:1
ვოლერენგა-ჰაუგესუნდი 3:2
ფრედრიკსტადი-სტრიომსგოდსეტი 1:1
ლილესტრიომი-სიოგნდალი 0:3
სტარტი-სარპსბორგი 1:0
ვიკინგი-სტაბეკი 1:0
ოლესუნდი-მიოლდე 1:3
რუსენბორგი-ოდ გრენლანდი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიოლდე | 21 | 14 | 2 | 5 | 42-30 | 44 |
| 2. ტრომსიო | 20 | 10 | 6 | 4 | 37-23 | 36 |
| 3. ბრანი | 21 | 10 | 5 | 6 | 36-33 | 35 |
| 4. სტაბეკი | 20 | 10 | 3 | 7 | 36-34 | 33 |
| 5. სტრიომსგოდ | 20 | 9 | 5 | 6 | 31-27 | 32 |
| 6. ლილესტრიომ | 21 | 9 | 4 | 8 | 42-35 | 31 |
| 7. ჰაუგესუნდი | 21 | 9 | 3 | 9 | 40-35 | 30 |
| 8. ვოლერენგა | 20 | 8 | 5 | 7 | 26-24 | 29 |
| 9. რუსენბორგი | 18 | 7 | 6 | 5 | 33-23 | 27 |
| 10. ვიკინგი | 21 | 7 | 5 | 9 | 22-29 | 26 |
| 11. ფრედრიკსტ | 20 | 7 | 3 | 10 | 23-27 | 24 |
| 12. ოლესუნდი | 19 | 7 | 3 | 9 | 22-29 | 24 |
| 13. ოდ გრენლანდ | 19 | 6 | 5 | 8 | 27-30 | 23 |
| 14. სიოგნდალი | 20 | 6 | 5 | 9 | 17-22 | 23 |
| 15. სტარტი | 21 | 5 | 2 | 14 | 27-43 | 17 |
| 16. სარპსბორგი | 20 | 4 | 4 | 12 | 24-41 | 16 |

### II დივიზიონი

XXI ტური

ბრინი-სანდნესი 3:5; ალტა-ჰიონეფოსი 1:4; ბოდო გლიმტი-ჰიოდი 3:1; ლოვ ჰამი-სანდეფიორდი 1:2; ნილი-მიონდალენი 0:1; რანდაბერგი-ასკერი 2:4; რანჰაიმი-ჰამ კამი 1:2; სტრიომენი-კონგსვინგერი 1:0.

## შვედეთი

XXIII ტური

ნორჩოპინგი-იურგორდენი 2:1
ტრელებორგი-ჰალმსტადი 0:1
კალმარი-გიოტებორგი 0:0
გეფლე-ჰაკენი 2:2
ჰელსინგბორგი-ერებრო 2:0
აიკ-სირიანსკა 1:0
გაის-მიალბიუ 3:0
მალმიო-ელფსბორგი 2:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 23 | 16 | 6 | 1 | 44-18 | 54 |
| 2. ელფსბორგი | 23 | 15 | 3 | 5 | 40-21 | 48 |
| 3. აიკ | 23 | 14 | 2 | 7 | 36-21 | 44 |
| 4. გაის | 23 | 12 | 3 | 8 | 37-26 | 39 |
| 5. ჰაკენი | 22 | 11 | 5 | 6 | 43-24 | 38 |
| 6. გიოტებორგი | 23 | 10 | 4 | 9 | 33-29 | 34 |
| 7. კალმარი | 23 | 10 | 4 | 9 | 28-25 | 34 |
| 8. მალმიო | 20 | 9 | 6 | 5 | 23-23 | 33 |
| 9. ერებრუ | 23 | 10 | 2 | 11 | 30-31 | 32 |
| 10. გეფლე | 22 | 7 | 7 | 8 | 20-30 | 28 |
| 11. მიალბიუ | 23 | 8 | 3 | 12 | 26-32 | 27 |
| 12. ნორჩოპინგი | 23 | 7 | 4 | 12 | 26-41 | 25 |
| 13. ტრელებორგ | 23 | 7 | 2 | 14 | 33-51 | 23 |
| 14. იურგორდენ | 22 | 6 | 4 | 12 | 24-31 | 22 |
| 15. სირიანსკა | 23 | 5 | 3 | 15 | 20-37 | 18 |
| 16. ჰალმსტადი | 23 | 3 | 4 | 16 | 20-43 | 13 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

იონჩოპინგი-ვარნამო 2:3; ბრომაპიოკარნა-ასირისკა 1:3; ლიუნგსკილე-დეგერფორსი 1:0; ვასტერასი-ოსტერი 1:1; ანგელჰოლმი-ფალკენბერგი დღეს; ბრაგელანდსკრონა დღეს; კვიდინგი-სუნდსვალი დღეს; ატვიდაბერგი-ჰამარბიუ დღეს.

## შვეიცარია

VII ტური

გრასჰოპერსი-ლუცერნი 0:1
ქსამაქსი-ლოზანა 2:2
ბაზელი-თუნი 2:1
სიონი-სერვეტი 0:4
იანგ ბოიზი-ციურიხი 2:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუცერნი | 7 | 4 | 3 | 0 | 10-3 | 15 |
| 2. თუნი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-5 | 14 |
| 3. სერვეტი | 7 | 3 | 2 | 2 | 16-11 | 11 |
| 4. სიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-10 | 11 |
| 5. ციურიხი | 7 | 3 | 0 | 4 | 14-11 | 9 |
| 6. იანგ ბოიზი | 7 | 2 | 3 | 2 | 10-9 | 9 |
| 7. ბაზელი | 7 | 2 | 3 | 2 | 12-12 | 9 |
| 8. გრასჰოპერსი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-18 | 7 |
| 9. ქსამაქსი | 7 | 1 | 3 | 3 | 4-10 | 6 |
| 10. ლოზანა | 7 | 1 | 1 | 5 | 8-17 | 4 |

### ჩელენჯლიგა

VI ტური

ბელინცონა-ბილი 5:2; კიასო-ვადუცი 3:0; კრინსი-ბრიული 7:1; ნიონე-ლუგანო 3:2; ვოლენი-ვილი 2:2; სტ. გალენი-ლოკარნო 5:0; ეტუალ კარუჟი-ვინტერტური 0:2; დელემონი-არაუ დღეს.

## უელსი

III ტური

აფან ლიდო-ნითი 1:0
კარმართენი-პორტ ტელბოტი 2:0
ნიუ სეინტსი-პრესტატინი 2:1
ნიუთაუნი-ბალა 0:2
ბანგორი-ებერისტვითი 1:1
ეირბასი-ლანელი 1:1

## ბოსნია

IV ტური

ლეოტარი-ველეჟი 0:1
სარაევო-ჩელიკი 4:2
კოზარა-სლავია 6:2
რუდარი-სლობოდა 2:0
შიროკი ბრიეგი-გაბელა 2:0
ტრავნიკი-ზვიეზდა 4:1
ოლიმპიკი-ჟელეზნიჩარი 0:1
ზრინსკი-ბორაცი გადაიდო

## ბელარუსი

VII ტური

ბელშინა-ტორპედო 1:1
მინსკი-შახტიორი 1:1
ვიტებსკი-დინამო (ბრ) 3:0
გომელი-ნაფტანი 1:0
ნემანი-დნეპრი 1:1
ბატე-დინამო (მნ) 2:2

## ბულგარეთი

IV ტური

ბეროე-ჩერნომორეცი 1:2
ჩერნო მორე-მინიორი 2:0
ლოკომოტივი (პ)-კალიაკრა 2:0
სვეტკავიცა-ლუდოგორეცი 0:1
ლევსკი-ბოტევი 3:0
მონტანა-ცსკა 0:5
სლავია-ლიტექსი 0:2
ვიდიმა-ლოკომოტივი (ს) 2:2

## ხორვატია

VI ტური

ინტერი-ზადარი 2:0
რიეკა-შიბენიკი 1:0
ზაგრები-ვარაჟდინი 1:0
დინამო-ლუჩკო 1:0
სიბალია-ოსიეკი 0:1
ისტრა-ლოკომოტივა 2:1
სლავენი-კარლოვაცი 3:0
სპლიტი-ჰაიდუკი 1:1

## ჩეხეთი

V ტური

სლავია-ბოლესლავი 1:1
ბანიკი-ბოჰემიანსი 1905 0:1
სლოვაცკო-დუკლა 1:0
ლიბერეცი-ტეპლიცე 0:2
ბუდეიოვიცე-იაბლონეცი 1:5
ჰრადეცი-პრშიბრამი 0:1
ვიქტორია-სიგმა 2:2
პლზენი-სპარტა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| 2. ბოჰემიანსი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-7 | 12 |
| 3. ბოლესლავი | 5 | 3 | 2 | 0 | 8-2 | 11 |
| 4. იაბლონეცი | 5 | 3 | 1 | 1 | 15-3 | 10 |
| 5. ლიბერეცი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| 6. სიგმა | 5 | 2 | 3 | 0 | 8-4 | 9 |
| 7. პრშიბრამი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-9 | 9 |
| 8. პლზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-6 | 7 |
| 9. ტეპლიცე | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 10. ჰრადეცი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 11. სლავია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 12. დუკლა | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 13. სლოვაცკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 13. ვიქტორია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 15. ბუდეიოვიცე | 5 | 0 | 0 | 5 | 7-17 | 0 |
| 16. ბანიკი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-16 | 0 |

### II დივიზიონი

IV ტური

სპარტა II-ჟლინი 0:1; უსტი-კარვინა 4:2; ბრნო-ბოჰემიანსი 1:1; ვლაშიმი-მოსტი 7:0; ტრშინეცი-სეზიმოვო 2:0; ზნოიმო-სოკოლოვი 0:1; ჩასლავი-იჰლავა 0:0; სლოვანი-ოპავა 0:0.

## ესტონეთი

XXVI ტური

ფლორა-ტამეკა 3:2
აიაქსი-კალევი 0:7
ვილიანდი-კალიუ 0:3
ტრანსი-კურესაარე 4:0
პაიდე-ლევადია 0:3

## უნგრეთი

VII ტური

დიოში-ზალაეგერსეგი 5:1
დიოშდიორი-შიოფოკი 2:1
ჰონვედი-ფეჰერვარი 1:0
კაპოშვარი-პაკში 4:4
პეჩი-ლომბარდ პაპა 2:1
დებრეცენი-უიპეშტი 3:2
პალადაში-კეჩკემეტი 2:2
ვაშაში-ფერენცვაროში 2:0

## ისრაელი

II ტური

მაკაბი (პ)-ჰაპოელი (ფ-თ) 2:2
ბეითარი-ჰაპოელი (ა) 3:1
ირონი (ქ-შ)-მაკაბი (ნ) 1:3
ირონი (რ-ჰ)-ირონი (რ-ლ) 1:2
ბნეი სახნინი-ჰაპოელი (ბ-შ) 4:3
მაკაბი (ფ-თ)-ჰაპოელი (პ) 2:1
ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (თ-ა) 1:1
მაკაბი (თ-ა)-აშდოდი დღეს

## ლატვია

XV ტური

დაუგავა-სკონტო 0:0
ფკ იურმალა-გულბენე 2:0
მეტალურგსი-ვენტსპილსი 2:1
ოლიმპსი-იურმალა 2:1

## ბრაზილია

XIX ტური

ამერიკა-ატ. გოიანენსე 1:2
კორიტიბა-ატ. პარანაენსე 1:1
ფლუმინენსე-ბოტაფოგო 1:2
სეარა-ბაია 3:0
ფლამენგო-ვასკო 0:0
გრემიო-ინტერნასიონალი 2:1
პალმეირასი-კორინთიანსი 2:1
სანტოსი-სან პაულუ 1:1
ატ. მინეირო-კრუზეირო გვ. დასრულდა
ფიგეირენსე-ავაი გვ. დასრულდა

## ლიტვა

XII ტური

ბანგა-ატლანტასი 5:0
კლაიპედა-ტაურასი 0:2
კრუოია-შიაულიაი 1:1
მაჟეიკიაი-ჟალგირისი 0:1
კაუნასი-სუდუვა 2:1
დაინავა-ეკრანასი 1:5

## მოლდოვა

VI ტური

კოსტულენი-ცსკა 1:2
ოლიმპია-შერიფი 1:2
სფინტული-მილსამი 0:1
ისკრა-დაჩია 1:4
ტირასპოლი-ნისტრუ 2:0
ზიმბრუ-აკადემია 1:1

## პოლონეთი

V ტური

გურნიკი-ლეხი 2:1
ზაგლებე-კრაკოვია 1:1
პოდბესკიძე-კორონა 2:3
პოლონია-ბელხატოვი 2:1
ვისლა-ლეჩია 0:1
შლიონსკი-ვიძევი 1:2
რუხი-იაგელონია 1:0
ლკს-ლეგია დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლეხი | 5 | 3 | 1 | 1 | 13-3 | 10 |
| 2. შლიონსკი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-4 | 10 |
| 3. პოლონია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| 4. კორონა | 5 | 2 | 3 | 0 | 8-6 | 9 |
| 5. ვიძევი | 5 | 2 | 3 | 0 | 5-3 | 9 |
| 6. იაგელონია | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 7. გურნიკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| 8. რუხი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 9. ლეგია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 6 |
| 10. ვისლა | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 11. ლეჩია | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 12. ბელხატოვი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-8 | 3 |
| 13. ზაგლებე | 4 | 0 | 3 | 1 | 2-3 | 3 |
| 14. პოდბესკიძე | 5 | 0 | 3 | 2 | 4-11 | 3 |
| 15. კრაკოვია | 5 | 0 | 2 | 3 | 5-9 | 2 |
| 16. ლკს | 4 | 0 | 1 | 3 | 0-11 | 1 |

## რუმინეთი

V ტური

კლუჟი-სპორტული 6:1
ვოინტა-პანდური 0:0
ასტრა-უნივერსიტატეა 0:0
ბრაშოვი-ვასლუი 1:2
ჩახლაული-რაპიდი 1:2
დინამო-ოცელული 2:1
სტიაუა-ტარგუ 2:0
მოივენი-გაზ მეთანი დღეს
კონკორდია-პეტროლული დღეს

## რუსეთი

XXII ტური

ტომი-ამკარი 0:0
ვოლგა-ტერეკი 3:1
როსტოვი-ანჟი 1:1
დინამო-ნალჩიკი 2:0
ზენიტი-კრასნოდარი 5:0
რუბინი-კრილია 1:0
სპარტაკი-ცსკა 2:2
კუბანი-ლოკომოტივი 0:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 22 | 13 | 7 | 2 | 41-15 | 46 |
| 2. ცსკა | 22 | 13 | 7 | 2 | 42-17 | 46 |
| 3. დინამო | 22 | 12 | 5 | 5 | 39-25 | 41 |
| 4. რუბინი | 22 | 10 | 8 | 4 | 28-18 | 38 |
| 5. ანჟი | 22 | 10 | 7 | 5 | 25-19 | 37 |
| 6. ლოკომოტივ | 22 | 10 | 6 | 6 | 33-22 | 36 |
| 7. სპარტაკი | 22 | 10 | 6 | 6 | 30-25 | 36 |
| 8. კუბანი | 22 | 10 | 4 | 8 | 29-21 | 34 |
| 9. კრასნოდარი | 22 | 6 | 8 | 8 | 24-32 | 26 |
| 10. ტერეკი | 22 | 6 | 5 | 11 | 20-32 | 23 |
| 11. ამკარი | 22 | 5 | 8 | 9 | 15-28 | 23 |
| 12. ვოლგა | 22 | 6 | 2 | 14 | 20-30 | 20 |
| 13. ტომი | 22 | 4 | 8 | 10 | 18-35 | 20 |
| 14. როსტოვი | 22 | 4 | 6 | 12 | 23-37 | 18 |
| 15. ნალჩიკი | 22 | 3 | 8 | 11 | 18-29 | 17 |
| 16. კრილია | 22 | 3 | 7 | 12 | 14-34 | 16 |

## სერბეთი

III ტური

ბორჩა-ბორაცი 0:0
სპარტაკი-მეტალაკი 0:0
იაგოდინა-ჰაიდუკი 0:1
იავორი-რადნიჩკი 2:4
ვოივოდინა-ბაჩკა 3:0
რადი-სევოინო 1:2
სმედერევო-ცრვენა ზვეზდა 0:1
პარტიზანი-ოფკ 3:0

## სლოვაკეთი

VII ტური

ბისტრიცა-ჟილინა 1:3
მორავცე-შენიცა 0:0
დ. სტრედა-კოშიცე 0:1
ნიტრა-ტატრანი 2:2
რუჟომბეროკი-სლოვანი 1:0
ტრნავა-ტრენჩინი 1:0

## მექსიკა

VI ტური

ხაგუარესი-ტოლუკა 1:1
მონტერეი-სანტოსი 2:0
პაჩუკა-ამერიკა 2:0
ატლასი-ტიგრესი 0:1
სან ლუისი-გვადალახარა 2:0
ატლანტე-ტეკოსი 2:1
პუმასი-კრუს ასული 1:2
ტიხუანა-კერეტარო 1:1
მორელია-პუებლა გვ. დასრულდა

## სლოვენია

VII ტური

ცელიე-ტრიგლავი 1:2
კოპერი-რუდარი 1:1
მურა-დომჟალე 1:1
ოლიმპია-მარიბორი 4:1
გორიცა-ნაფტა 2:1

## უკრაინა

VIII ტური

მეტალურგი-ოლექსანდრია 3:1
ვოლინი-ობოლონი 1:1
კრივბასი-ზორია 2:1
არსენალი-ტავრია 2:3
ილიჩივეცი-ვორსკლა 4:1
დნიპრო-დინამო 0:4
ჩერნომორეცი-შახტარი 2:2
კარპატი-მეტალისტი 1:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 8 | 6 | 2 | 0 | 17-2 | 20 |
| 2. შახტარი | 8 | 6 | 2 | 0 | 19-5 | 20 |
| 3. მეტალისტი | 8 | 5 | 3 | 0 | 16-8 | 18 |
| 4. ტავრია | 8 | 3 | 5 | 0 | 12-7 | 14 |
| 5. კრივბასი | 8 | 4 | 1 | 3 | 7-7 | 13 |
| 6. არსენალი | 8 | 3 | 3 | 2 | 14-9 | 12 |
| 7. ვოლინი | 8 | 3 | 3 | 2 | 10-10 | 12 |
| 8. ვორსკლა | 8 | 3 | 2 | 3 | 8-9 | 11 |
| 9. დნიპრო | 8 | 2 | 3 | 3 | 11-13 | 9 |
| 10. ილიჩივეცი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-13 | 8 |
| 11. ზორია | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| 12. მეტალურგი | 8 | 2 | 1 | 5 | 7-13 | 7 |
| 13. ოლექსანდრია | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| 14. კარპატი | 8 | 1 | 2 | 5 | 6-12 | 5 |
| 15. ჩერნომორეცი | 8 | 0 | 5 | 3 | 5-10 | 5 |
| 16. ობოლონი | 8 | 0 | 4 | 4 | 4-14 | 4 |

## ჩრ. ირლანდია

V ტური

ლინფილდი-გლენტორანი 0:1
ლისბურნი-კლიფტონვილი 1:2

## აზერბაიჯანი

IV ტური

ყარაბახი-ქაბალა 0:1
ბაქო-ქაფაზი 0:3
აზალ-ნეფთჩი 3:1
რავანი-ხაზარი 1:1
თურანი-სიმურქი 1:0
სუმგაიტი-ინტერი გადაიდო

## არგენტინა

IV ტური

გოდოი-ბანფილდი 1:0
ესტუდიანტესი-სან მარტინი 2:2
რასინგი-არსენალი 0:0
ლანუსი-ტიგრე 0:0
ატლ. რაფაელა-ოლიმპო 3:1
ველესი-ოლ ბოისი 0:1
კოლონი-უნიონი 0:2
ბელგრანო-ნიუელსი 2:3
ბოკა ხუნიორსი-სან ლორენსო 0:0
არგ. ხუნიორს-ინდეპენდ გვ.დასრულდა

## ჩილე

V ტური

ატ. ნუბლენსე-დეპორტესი 1:2
აუდაქსი-ს. მორნინგი 5:0
უაჩიპატო-კოლო კოლო 1:2
ო'ჰიგინსი-ლა სერენა 1:1
პალესტინო-კობრესალი 2:1
ს. უონდერერსი-უნ. კატოლიკა 2:0
ლა კალერა-კობრელოა 0:1
უნ. ესპანიოლა-სან ფელიპე 3:0
უნ. დე ჩილე-უნ. კონსეპსიონ გვ. დასრულდა

## ეკვადორი

VI ტური

დეპ. კიტო-ოლმედო 1:0
დეპ. კუენსა-ლიგა დე კიტო 2:1
ლიგა დე ლოხა-ემელეკი 0:2
ნასიონალი-ინდეპენდიენტე 2:2
ესპოლი-იმბაბურა 2:1
ბარსელონა-მანტა დღეს

## ურუგვაი

III ტური

სერო-ნასიონალი 0:0
რივერ პლეიტი-რენტისტასი 2:0
ელ ტანკე-ლივერპული 0:1
რასინგი-რამპლა 1:3
სერო ლარგო-პენიაროლი 0:0
დანუბიო-ფენიქსი 4:0
მონტევიდეო-ბელა ვისტა 4:0
დეფენსორი-სერიტო 1:1

## აშშ

სიეტლი-კოლამბუსი 6:2
ტორონტო-სან ხოსე 1:1
ვანკუვერი-ჰიუსტონი 1:0
ჩიკაგო-კოლორადო 2:0
კანზასი-დალასი 2:3
ჩივასი-სოლტ ლეიკი 0:1

## იაპონია

XXIV ტური

ომიია-ივატა 2:0
ჰიროშიმა-ნიიგატა 1:0
შიმიცუ-იოკოჰამა 0:0
ვეგალტა-იამაგატა 2:1
სერეზო-ურავა 3:1
კაშივა-კავასაკი 3:2
კობე-გამბა 0:4
კაშიმა-ფუკუოკა 6:0
ნაგოია-კოფუ 4:1

სერია A

# კალჩო ჩიხშია, გამოსავალი არ ჩანს



საქმეში იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ჯანკარლო აბეტე ჩაერთო

იტალიურ სპორტულ სამყაროში მთავარი სალაპარაკო თემა სერია A-ს სტარტის გადადებაა. ბოლო წლებში, თითქმის ყველა ჩემპიონატის წინ იყო საუბრები შესაძლო გაფიცვის შესახებ, მაგრამ ასე სერიოზულად საქმე ჯერ არ ყოფილა. კიდევ ერთხელ მოკლედ ვიტყვით იმის შესახებ, რომ კონფლიქტი „ლეგა კალჩოს" და იტალიის პროფესიულ ფეხბურთელთა კავშირს შორის მოხდა – უფრო სწორად, ეს კონფლიქტი და გაუგებრობა უკვე დიდი ხანია არსებობს და ბოლო არ უჩანს. თუ რაში მდგომარეობს დაპირისპირების არსი, ამის შესახებ აქამდე არაერთხელ გვითქვამს და აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ სადავო საკითხთა ნუსხა საკმაოდ ვრცელია და შესაბამისად, მოლაპარაკების პროცესიც რთულად მიმდინარეობს. მეორე მხრივ, კონფლიქტი არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, რადგან სერია A-ს 2011/2012 წლის ჩემპიონატი ჩაშლის საფრთხის წინაშე, უბრალოდ, ვერ დადგება – და თუ დადგა და მით უმეტეს, ჩაიშალა, ამით ყველა იზარალებს: „ლეგა კალჩოც", ფეხბურთელებიც და გულშემატკივრებიც. მოკლედ, ვითარება მეტად რთულია, რასაც „მილანის" ვიცე პრეზიდენტი **ადრიანო გალიანიც** ადასტურებს:

*„უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომლისგანაც გამოსავალია მოსაძებნი. სერია A-ს პირველი ტური დაგეგმილ დროს არ შედგა, რაც თითოეული ჩვენგანის მარცხია. დიახ, ამ გაფიცვით მთლიანად იტალიური ფეხბურთი დამარცხდა და ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მეორე ტურის თარიღს მაინც არ გადავაცილოთ ჩემპიონატის სტარტი. გაფიცულ ფეხბურთელთა წარმომადგენლებს პირადად ვესაუბრე და მათი მოთხოვნები მოვისმინე. არის საკითხები, რომლებზეც თავისუფლად შეიძლება კონსენსუსის მიღწევა, მაგრამ რიგ შემთხვევებში მათი მოთხოვნები უტოპიურია. ნებისმიერ შემთხვევაში, უახლოეს დღეებში მოლაპარაკების მაგიდას უნდა მივუჯდეთ და ერთად მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ჩემპიონატი აუცილებლად უნდა დაიწყოს".*

გაფიცვას იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ჯანკარლო აბეტე** გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა: *„სიმართლე გითხრათ, „ლეგა კალჩოს" საქმიანობაში არასდროს ვერეოდი, მაგრამ ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ მაქვს. პირადად ვაწარმოებ შეხვედრებს შესაბამის პირებთან და ვცდილობ, არსებული კონფლიქტი უმოკლეს დროში მოგვარდეს. ამ ყველაფრით იტალიური ფეხბურთი, გულშემატკივრები ზარალდებიან და გამოსავალი მალე უნდა ვიპოვოთ".*

აქვე ვთქვათ, რომ სერია A-ს მეორე ტური 11 სექტემბერს არის დაგეგმილი და მხარეებს კონსენსუსის მისაღწევად დაახლოებით ორი კვირა აქვთ დარჩენილი. თუ მდგომარეობა არ შეიცვალა და ჩემპიონატი მეორე ტურით მაინც არ დაიწყო, მაშინ მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, საიდანაც გამოსავლის მოძებნა კიდევ უფრო რთული იქნება.

**ლაშა ნიკლაური**

ტრანსფერი

# ინტერმა პანდევის გაუშვა



## რაზე ფიქრობს მორატი?

„ინტერის" სატრანსფერო პოლიტიკა მართლაც გაოცებას იწვევს, **სამუელ ეტოოსთან** განშორების შემდეგ, **მასიმო მორატი** კიდევ ერთ თავდამსხმელს, **გორან პანდევს** შეელია და მაკედონიელი „ნაპოლიში" გაუშვა. როგორც ჩანს, „ნერაძურის" მესვეურებს დიდი სიურპრიზი აქვთ მომზადებული ტიფოზებისთვის, თორემ ასეთი შემადგენლობით და კონკრეტულად შეტევით, წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ. ანუ, გამოდის, რომ **ჯანპიერო გასპერინის** განკარგულებაში მხოლოდ ორი მაღალი კლასის ფორვარდია: **ჯამპაოლო პაცინი** და **დიეგო მილიტო**. ამ უკანასკნელის მიმართ ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ასაკიდან გამომდინარე, დიდად ვერც მის იმედზე იქნება მთავარი მწვრთნელი. პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ინტერის" პრეზიდენტი **დიეგო ფორლანის** ტრანსფერზე მადრიდის „ატლეტიკოს" მესვეურებს გაურიგდა, მაგრამ ეს ცნობა ჯერჯერობით არ დადასტურებულა. მოკლედ, მორატიმ ან მთლიანად ჩააგდო სატრანსფერო ფანჯარა, ან რაღაც ძალიან საინტერესოს გვიმზადებს და ამის შესახებ უახლოეს მომავალში შევიტყობთ. სანამ მორატის ამბავს გავიგებდეთ, „ნაპოლის" პრეზიდენტს **აურელიო დე ლაურენტისს** მოვუსმინოთ:

*„გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ერთ მშვენიერ დილას გორან პანდევის გადაბირების შესახებ ვალტერ მაძაროს ვესაუბრე, საღამოს კი საქმე უკვე მოგვარებული იყო. მასიმო მორატის პირადად ველაპარაკე ტელეფონზე, რის შემდეგაც თვითონ ფეხბურთელს დავუკავშირდით და რადგან ყველა მხარე თანახმა იყო ამ გარიგების, ხელშეკრულებას ხელი ოპერატიულად მოეწერა. კონტრაქტი საიჯარო იქნება, მაგრამ თუ თანამშრომლობის გახანგრძლივების სურვილი გაგვიჩნდა, მომავალ ზაფხულს სრულფასოვან ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ. ვერ გეტყვით, რატომ გამოუშვა მორატიმ პანდევი, მაგრამ ჩემი განზრახვა, ვგონებ, ყველასთვის ადვილი მისახვედრია – წინ ურთულესი სეზონი გველის და რაც მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვეყოლება, მით უფრო გაგვიადვილდება მიზნების მიღწევა".*

გუშინ გვიან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ინტერმა" 21 წლის ნახევარმცველი: **ანდრეა პოლი** დაიმატა, რომელმაც გასული სეზონი გენუის „სამპდორიაში" გაატარა, იქამდე კი „ტრევიზოში" ასპარეზობდა. პოლი პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება და მისი გადაბირება სხვა გუნდებსაც სურდათ. ანდრეას ტრანსფერთან დაკავშირებით, „ნერაძურის" სპორტულმა დირექტორმა **მარკო ბრანკამ** საგანგებო კომენტარიც კი გააკეთა, რასაც იტალიურ პრესაში კრიტიკა მოჰყვა. მაშინ, როდესაც ბოლო დღეებში „ინტერი" ორი მაღალი კლასის თავდამსხმელს შეელია, პოლის ტრანსფერით აპელირება ჟურნალისტებმა არ მოიწონეს.

**ლაშა ნიკლაური**

## საფრანგეთი. ლიგა 1

### IV ტური

**ოსერი-აიაჩო 4:1**

**გოლები:** 1:0 შაფნი (34), 2:0 ა. ტრაორე (75), 3:0 ა. ტრაორე (80), 3:1 ილანი (83), 4:1 ა. ლე ტალეკი (90)

**ევიანი-დიჟონი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჟოვიალი (68)

**ლორიანი-ნანსი 2:1**

**გოლები:** 0:1 ბაკარი (10), 1:1 მვუემბა (78), 2:1 მონე-პაკე (90)

**ვალანსიენი-ბორდო 1:2**

**გოლები:** 1:0 დოსევი (27), 1:1 ტრაორე (81), 1:2 მოდესტე (90)

**ლიონი-მონპელიე 2:1**

**გოლები:** 1:0 პიანიჩი (49), 2:0 პიე (83), 2:1 ლაკასეტე (90)

**რენი-კაენი 3:2**

**გოლები:** 1:0 ბუკარი (5), 2:0 ეკოკო (41), 3:0 მანგანი (45), 3:1 ერტაუ (58), 3:2 ბულო (61)

**სოშო-სტ. ეტიენი 2:1**

**გოლები:** 1:0 ბუდებუ (6), 1:1 აუბამეიანგი (35), 2:1 ბუდებუ (42)

**ტულუზა-პსჟ 1:3**

**გოლები:** 1:0 კაპოე (39), 1:1 გამეირო (56), 1:2 ერდინჩი (90), 1:3 მენეზი (90)

**ლილი-მარსელი 3:2**

**გოლები:** 1:0 სოუ (15), 1:1 ვალბუენა (56), 1:2 ვალბუენა (62), 2:2 შედიუ (66), 3:2 სოუ (76-პენ)

**ნიცა-ბრესტი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მონპელიე | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 |
| 2. ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 7-4 | 8 |
| 3. პსჟ | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 4. ტულუზა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 5. რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-8 | 7 |
| 6. სოშო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-6 | 7 |
| 7. ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 8. სტ. ეტიენი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 9. ლორიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| 10. კაენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-6 | 6 |
| 11. დიჟონი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 12. ოსერი | 4 | 1 | 2 | 1 | 8-7 | 5 |
| 13. ბორდო | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 14. ევიანი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 15. ბრესტი | 4 | 0 | 4 | 0 | 3-3 | 4 |
| 16. მარსელი | 4 | 0 | 3 | 1 | 6-7 | 3 |
| 17. ნიცა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 18. აიაჩო | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 19. ნანსი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |
| 20. ვალანსიენი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-5 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 – ტრაორე (ოსერი); 3 – ჟოვიალი (დიჟონი); 2 – ბელჰანდა (მონპელიე), კამარა (მონპელიე), დებუში (ლილი), გამეირო (პსჟ), გომისი (ლიონი).

## ჰოლანდია. ერედივიზიონი

### IV ტური

**აიაქსი-ვიტესი 4:1**

**გოლები:** 1:0 ერიკსენი (53), 2:0 ბურიგტერი (62), 3:0 სიგთორსონი (63), 4:0 სიგთორსონი (71), 4:1 ბიუტნე (89)

**ვაალვიკი-ბრედა 2:1**

**გოლები:** 1:0 სნო (10), 2:0 აუასარი (87), 2:1 ლურლინგი (90)

**ტვენტე-ვენლო 4:1**

**გოლები:** 1:0 რუისი (2), 1:1 მუსა (26), 2:1 დე იონგი (28), 3:1 იანკო (31), 4:1 დე იონგი (66)

**ნიიმეგენი-ჰერაკლესი 2:1**

**გოლები:** 1:0 შიონე (3), 2:0 ვან დერ ველდენი (8), 2:1 პლეტი (45)

**უტრეხტი-როდა 3:1**

**გოლები:** 0:1 [illegible] (38), 1:1 [illegible] (44), 2:1 რ. სნეიდერი (60), 3:1 მულენგა (73)

**გრაასხაპი-დენ ჰააგი 0:3**

**გოლები:** 0:1 რადოსავლიევიჩი (45), 0:2 ვერპუკი (83), 0:3 დუინენი (87)

**გრონინგენი-ალკმაარი 0:3**

**გოლები:** 0:1 ვიერგევერი (1), 0:2 გუდმუნდსონი (79), 0:3 ელმი (84)

**ფეიენოორდი-ჰერენვენი 2:2**

**გოლები:** 0:1 დოსტი (26-პენ), 1:1 ფერი (33), 1:2 ასაიდი (47), 2:2 კაბრალი (57)

**ეინდჰოვენი-ექსელსიორი 6:1**

**გოლები:** 1:0 მერტენსი (30), 1:1 ვრედე (39), 2:1 ტოივონენი (47), 3:1 მერტენსი (49), 4:1 მერტენსი (51), 5:1 ლენსი (72), 6:1 ტოივონენი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| 2. აიაქსი | 4 | 3 | 1 | 0 | 15-5 | 10 |
| 3. ეინდჰოვენი | 4 | 3 | 0 | 1 | 11-4 | 9 |
| 4. ალკმაარი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-3 | 9 |
| 5. ფეიენოორდი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 6. ვიტესი | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| 7. ვალვაიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 8. ნიიმეგენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-7 | 7 |
| 9. უტრეხტი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-5 | 5 |
| 10. ჰერაკლესი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| 11. გრონინგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 12. დენ ჰააგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 13. როდა | 4 | 1 | 0 | 3 | 3-9 | 3 |
| 14. გრაასხაპი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-10 | 2 |
| 15. ვენლო | 4 | 0 | 2 | 2 | 3-10 | 2 |
| 16. ჰერენვენი | 4 | 0 | 2 | 2 | 6-14 | 2 |
| 17. ბრედა | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |
| 18. ექსელსიორი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |

**ბომბარდირები:** 5 – იანკო (ტვენტე); 4 – მულენგა (უტრეხტი), სიგთორსონი (აიაქსი); 3 – ალტიდორი (ალკმაარი), ბაკუნა (გრონინგენი), ბონი (ვიტესი), დე იონგი (ტვენტე), მერტენსი (ეინდჰოვენი), პლეტი (ჰერაკლესი), სულეიმანი (აიაქსი).

## შოტლანდია

### VI ტური

**დანფერმლაინი-მოზერუელი 2:4**

**გოლები:** 0:1 ჰიგდონი (11), 0:2 მერფი (26), 0:3 ჰემფრი (55), 1:3 კერდლი (69), 2:3 კერდლი (88), 2:4 ჰიგდონი (90)

**ინვერნესი-კილმარნოკი 2:1**

**გოლები:** 1:0 ტეიდი (26), 1:1 შილზი (35), 2:1 შინი (89)

**სენტ ჯონსტონი-დანდი 3:3**

**გოლები:** 0:1 დაგლასი (2), 1:1 სანდასა (34-პენ), 2:1 კრეიგი (37), 3:1 სანდასა (45), 3:2 მაკაი-სტივენი (80), 3:3 განინგი (83)

**სენტ მირენი-სელტიკი**

**გოლები:** 0:1 ჰუპერი (7), 0:2 ჰუპერი (12)

**რეინჯერსი-აბერდინი 2:0**

**გოლები:** 1:0 დევისი (15), 2:0 ნეისმიტი (90)

**ჰართსი-ჰიბერნიანი 2:0**

**გოლები:** 1:0 სტივენსონი (39), 2:0 ვებსტერი (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-1 | 13 |
| 2. მოზერუელი | 6 | 4 | 1 | 1 | 9-5 | 13 |
| 3. სელტიკი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-2 | 12 |
| 4. ჰართსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-3 | 8 |
| 5. დანფერმლაინი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 8 |
| 6. სტ. მირენი | 6 | 2 | 2 | 2 | 4-5 | 8 |
| 7. კილმარნოკი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-4 | 6 |
| 8. დანდი | 6 | 1 | 3 | 2 | 7-11 | 6 |
| 9. სტ. ჯონსტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 10. ინვერნესი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-12 | 4 |
| 11. აბერდინი | 6 | 1 | 1 | 4 | 2-8 | 4 |
| 12. ჰიბერნიანი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |

**ბომბერდირები:** 4 - ნეისმითი (რეინჯერსი); 3 - ჰუპერი (სელტიკი), კირკი (დანფერმლაინი), მერფი (მოზერუელი), ო'კონორი (ჰიბერნიანი), სტოკსი (სელტიკი).

მილანი

# ფლამინი 5 თვით ლაზარეთში

## კაკას თემა კვლავ აქტუალურია

რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო ამბავი გავრცელდა გუშინ „მილანის" გულშემატკივრებისთვის, რომლის მიხედვითაც **მატიო ფლამინიმ** მძიმე ტრავმა მიიღო და მინიმუმ ხუთი თვის განმავლობაში უქმად მოუწევს ყოფნა. ფრანგი ნახევარმცველი „ინტერთან" სუპერთასის პაექრობაში დაშავდა და როგორც დეტალურმა სამედიცინო გამოკვლევამ ცხადყო, ტრავმა იმაზე უფრო მძიმე გამოდგა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. ანუ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, წელს ფლამინის მოედანზე ველარც ვიხილავთ.

ამ ამბავმა „როსონერის" მთავარი მწვრთნელი **მასიმილიანო ალეგრი** ძალიან დაამწუხრა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, რადგან საყოველთაო მოლოდინით, ფრანგი ძირითადი შემადგენლობისთვის იყო „განწირული". აი, რას ამბობს ალეგრი: *„სეზონი საკმაოდ მძიმედ იწყება, რადგან ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი გვყავს ტავმირებული. ტაიე ტაივოს კუნთი დაუზიანდა და როგორც მითხრეს, მინიმუმ ერთი თვე ლაზარეთში მოუწევს ყოფნა, რასაც მატიო ფლამინის უმძიმესი ტრავმა დაემატა. ფრანგის დაშავება განსაკუთრებით საწყენია, რადგან მძიმედ დაშავდა და თანაც, მასზე დიდ იმედებს ვამყარებდი. რა გაეწყობა, ეს ფეხბურთია და ისე უნდა მოვიქცეთ, როგორც საჭიროა. დროულად უნდა იმკურნალოს და სეზონის მეორე ნახევრიდან შემოგვიერთდეს. რაც შეეხება ზლატან იბრაჰიმოვიჩს, მასაც აწუხებს ფეხი და ჯერ კიდევ გაურკვეველია, როდის დაუბრუნდება მოედანს, ბოლო ინფორმაციით, სრული რეაბილიტაციისთვის ერთი კვირიდან ათ დღემდე დასჭირდება. ნებისმიერ შემთხვევაში, „მილანი" ყველა შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს".*



ფლამინი შავ დღეშია

აქვე, კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია, რომელიც „მილანს" ეხება და იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელდა – მიუხედავად იმისა, რომ **ადრიანო გალიანიმ** ლიად განაცხადა, ჩვენთვის სატრანსფერო ბაზარი **ალბერტო აკვილანის** გადმობირებასთან ერთად დაიხურაო, არც მთლად მასე ყოფილა საქმე; თუ „გაძეტა დელო სპორტს" ვენდობით, გალიანიმ მადრიდს ოფიციალური წარმომადგენელი აფრინა, რათა **ფლორენტინო პერესისთვის** შემდეგი სიტყვა გადაეცა: „25 მილიონი ევრო კაკას სანაცვლოდ"....ვერ გეტყვით, რა უპასუხა პერესმა, ან რას უპასუხებს, მაგრამ ერთი კი ფაქტია, თავად რიკარდო „როსონერიში" დაბრუნების წინააღმდეგი არ არის - ამაზე მისი კომენტარი მეტყველებს:

*„ვერ გეტყვით, რამდენად მართალია ჩემით „მილანის" მესვეურთა დაინტერესების შესახებ ინფორმაცია, მაგრამ ასეთი ხმების გავრცელებაც კი ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. ეს იმას ნიშნავს, რომ „როსონერიში" ჯერ კიდევ ვახსოვარ ხალხს. მადრიდში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ თუკი „მილანში" თამაშის საშუალება მომეცემა, ბედნიერი ვიქნები. ეს ის გუნდია, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გავატარე და ეს პერიოდი ყოველთვის კარგად მემახსოვრება".*

**ლაშა ნიკლაური**

ესპანეთი. პრიმერადივიზიონი. I ტური

# დასაწყისი მეფური იყო, ჯერი ბარსაზეა

## სტარტი სოლდადოსი და რონალდოსია

საბედნიეროდ, ფეხბურთელთა გაფიცვას მხოლოდ პირველი ტური შეეწირა და გუშინ და გუშინწინ ესპანური ფეხბურთის მოყვარულებმა კარგი სანახაობებით ისიამოვნეს. საჩემპიონო რბოლაში "ბარსელონა" დღეს ჩაებმება და ვნახავთ, გააუმჯობესებს თუ არა "რეალის" მიერ მიღწეულ ბურთების სხვაობას. წესით, არ უნდა იყოს იოლად გადასაჭრელი ამოცანა.

შორსმიმავალ დასკვნებს ჯერ ნუ გავაკეთებთ, მაგრამ სამეფო კლუბის მიერ სარაგოსაში ჩატარებული მატჩით თუ ვიმსჯელებთ, ეს პრიმერა სცენარით წინასგან დიდად განსხვავებული არ უნდა გამოვიდეს – ცხადია, ორი გუნდის წინ გაჭრას ვგულისხმობთ, თორემ "ბარსა" აჯობებს თუ "რეალი", ამას გაზაფხულამდე ვერ გავიგებთ.

მადრიდელებმა "სარაგოსას" ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარეს და ნარმატების ყოველგვარი იმედი პირველივე წუთებზე მოუსპეს. ჟოზე მოურინიოს გუნდი აშკარად ფორმაშია, თანაც, "რეალში" ერთი და ორი ფეხბურთელი კი არ გამოირჩევა, ყველა ეფექტურია.

მეკარე რობერტოს წყალობით "სარაგოსამ" 0:0 პირველი ტაიმის შუაწელამდე შეინარჩუნა, მერე კი მასპინძელთა რბევა დაიწყო. სტუმართა თითქმის ყველა გოლი ეფექტური იყო.



კრიშტიანო რონალდომ ჰეთ თრიკით დაიწყო

კრისტიანო რონალდომ გუიშინვე გააკეთა საიმისო განაცხადი, რომ პრიმერაში 40-გოლიან ზღვარს კვლავაც გადააბიჯოს. კაკამ კი, რომელსაც თითქოს ძირითადში დამკვიდრების უმცირესი შანსი ჰქონდა, მწვრთნელის მიერ ბოძებული 15 წუთი ძალიან ნაყოფიერად გამოიყენა და ლამაზ გოლს შესანიშნავი საგოლე გადაცემაც მიაყოლა.

არანაკლებ ფეერიული გამოვიდა შაბათს გამართული "ვალენსია"-"რასინგი". რობერტო სოლდადომ ოთხი გოლი გაიტანა, ოღონდ პოკერი არ შეუსრულებია – "ღამურათა" ფორვარდმა, რომელმაც ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა, სამი ბურთი ექტორ კუპერის გუნდს უსახსოვრა, ერთი კი საკუთარ მეკარეს გაუტანა.

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და "ვალენსიას" ყოფილი თავკაცი ძალიან ახლოს იყო "მესტალიადან" არამარტო ქულის, გამარჯვების წაღებასთანაც, მაგრამ შეხვედრის მიწურულს სოლდადო კიდევ ერთხელ "აფეთქდა" და ორწუთიან მონაკვეთში წყვილი გოლი გაიტანა.

პირველ ტურში მხოლოდ ლამაზი კი არა, მეტისმეტად უხეში მატჩიც ვიხილეთ. სტატისტიკიდანვე მიხვდებოდით, "სპორტინგისა" და "რეალ სოსიედადის" დაპირისპირებას ვგულისხმობთ, სადაც ფეხბურთელებმა ერთმანეთი არ დაინდეს და გუნდებმა თამაში ათ-ათი კაცის შემადგენლობით ჩაამთავრეს.

"ატლეტიკომ" დაუგეგმავი ქულები პირველივე ტურში დაკარგა – დიეგო ფორლანის გარეშე მოთამაშე მადრიდელები "ოსასუნას" კი სჯობდნენ, მაგრამ არც იმდენად, რომ ვთქვათ, პამპლონელებმა ქულას ხელი დაუმსახურებლად გამოჰკრესო. სხვა მატჩებიდან გამოსარჩევია პრიმერაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებული "რაიო ვალეკანოს" მიერ ბილბაოში მოპოვებული ქულა.

გუშინ გვიან ღამით გამართულ "სევილია"-"მალაგაში" სტუმრები თითქოს ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ საკუთარი შანსები მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენეს, ანდალუსიელებმა კი, იმის მიუხედავად, რომ არაერთი წამყვანი ფიგურის გარეშე დარჩნენ, უფრო კლასიანი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს.

**სპორტინგი-სოსიედადი 1:2**

**სპორტინგი:** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ივანი, კანელია - ეგურენი (57. ტრეხო), ალვარესი (57. რივერა), კასტრო, ნოვო (68. სანგოი) - კუევასი, ბარალი.

**სოსიედადი:** ბრავო - კარლოსი, მარტინესი, დემიდოვი, დე ლა ბელა -არანბურუ, ილარამენდი, პრიეტო, სურუსუტა (70. ესტარადა) - ველა (89. მიკელი 89), აგირეჩე (82. იფრანი)

**გოლები:** 0:1 აგირეჩე (35) 0:2 აგირეჩე (65), 1:2 კუევასი (69-პენ)

**გაფრთხილება:** ლორა, კუევასი, ბარალი - არანბურუ

**გაძევება:** მარტინესი (68), ლორა (90)

**კარში დარტყმა:** 17(4)-6(2); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 9-2; **თამაშგარე:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**ვალენსია-რასინგი 4:3**

**ვალენსია:** გუაიტა - ბრუნო, რამი, რიკარდო კოშტა, მეჰმეთ თოფალი (46. ტინო კოშტა) - ალბა, ბანეგა,-პაბლო, ბერნატი (46. კანალესი) - პიატი (67. ხონასი 67), სოლდადო

**რასინგი:** ტონიო - ოსმარი, ალვარო, დომინგო, არანა (77. ხაირო) - კ. დიოპი, პიჩონი (70. ბორხა), აკოსტა (64. ედუ), მუნიტისი - ადრიანი, ბაკირჩოღლუ

**გოლები:** 1:0 სოლდადო (1), 1:1 სოლდადო (6. ს.კ.), 1:2 აკოსტა (14), 1:3 ადრიანი (56), 2:3 რამი (58), 3:3 სოლდადო (88) 4:3 სოლდადო (90)

**გაფრთხილება:** ბანეგა, ალბა, ტინო კოშტა - დიოპი, ტონიო, ალვარო

**კარში დარტყმა:** 26(11)-4(3); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 72%-28%

**გრანადა-ბეტისი 0:1**

**გრანადა:** რობერტო - მაინსი, პამარო (46. კარლუშ მარტინში), სიკერა, ნიომი - ლუსენა, რიკო, აბელი (46. იებდა), ბენიტესი - იგიალო, ხაიმე (66. მოლო)

**ბეტისი:** კასტრო - დორადო, მარიო, ნაჩო, ჩიკა - ბენატი, ირინეი, პერეირა (73. სევილია), მოლინა (51. ვადილიო) - ალექს მარტინესი (90. ჯეფერსონი), რუბენ კასტრო

**გოლი:** 0:1 რუბენ კასტრო (87)

**გაფრთხილება:** პამარო, ბენიტესი - ირინეი, დორადო

**კარში დარტყმა:** 11(2)-18(3); **ჯარიმა:** 12-16; **კუთხური:** 8-5; **თამაშგარე:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**ატლეტიკო-ოსასუნა 0:0**

**ატლეტიკო:** კურტუა – პერეა, ფილიპე ლუისი, დომინგესი, სილვიო – რეიესი, ტიაგო (75. ხუანფრანი), გაბი, მ. სუარესი – სალვიო (62. არდა თურანი), ადრიანი

**ოსასუნა:** რიესგო (46. ა. ფერნანდესი) – სერხიო, რაიტალა, როვერსიო, ბერტრანი – ნეკუნამი, პუნიალი, სეხუდო, ტიმორი (59. ლამა) – ნინო, სოლა (81. ლოლო)

**გაფრთხილება:** პერეა

**კარში დარტყმა:** 17(8)-8(2); **ჯარიმა:** 9-8; **კუთხური:** 12-5; **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**ატლეტიკო-რაიო ვალეკანო 1:1**

**ატლეტიკი:** ირაისოსი – ამორებიეტა, სან ხოსე, გურპეგი (46. ირაოლა), ხავი მარტინესი – სუსაეტა (57. გაბილონდო), იტუსარპე, ანდერ ერერა, დე მარკოსი – ლორენტე, მუნიაინი (71. ტოკერო)

**რაიო ვალეკანო:** დანი ხიმენესი – კასადო, ფიგერასი, ტიტო, მოვილია – პედრო ბოტელო (85. სუსაეტა), ხავი ფუეგო, ტრაშორასი (59. ლ. ბანგურა), მიკუ – არიბასი, პიტი (79. დელიბაშიჩი)

**გოლები:** 1:0 იტუსარპე (56), 1:1 მოვილია (52)

**გაფრთხილება:** იტუსარპე – არიბასი, პიტი, კასადო

**კარში დარტყმა:** 9(4)-12(6); **ჯარიმა:** 16-18; **კუთხური:** 9-4; **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მალიორკა-ესპანიოლი 1:0**

**მალიორკა:** ავატე – ზუივერლონი, რამისი, პ. კასერესი, ჩიკო – დე გუზმანი, ხოსე მარტი, ტეხერა (67. ვიქტორი), ალფარო (60. კასტრო) – ნსუე, ჰემედი (77. პინია)

**ესპანიოლი:** კ. ალვარესი – ე. მორენო, დიდაკ ვილა, ხორდი ამატი, ვერდუ – ხავი მარკესი (74. სერხიო გარსია), ბაენა, ხავი ლოპესი, ალვარო (74. ბიფუმა) – ლუის გარსია (68. ალბინი), რუი ფონტე

**გოლი:** 1:0 დე გუზმანი (62)

**გაფრთხილება:** რამისი, ჰემედი – მორენო, მარკესი, ლოპესი

**კარში დარტყმა:** 11(4)-9(3); **ჯარიმა:** 21-15; **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**ხეტაფე-ლევანტე 1:1**

**ხეტაფე:** მოია – მ. გომესი, მანე (17. მასილელა), დ. დიასი, ლოპო – ლასენი, ბარადა (60. სარაბია), რიოსი, ხ. როდრიგესი – მიკუ, კასკერო (85. გუიზა)

**ლევანტე:** მუნუა – ხავი ვენტა, ხუანფრანი, ბალესტეროსი, ნანო – იბორა, ხავი ტორესი (78. არანდა), ესტრადა (59. ხუანლუ), პედრო ლოპესი (71. ელ ზარი) – ბარკერო, ვალდო

**გოლები:** 1:0 მიკუ (62), 1:1 ხუანლუ (77)

**გაფრთხილება:** ლოპო, გომესი, ლასენი, სარაბია, როდრიგესი – ხუანფრანი, ესტრადა, ბარკერო

**კარში დარტყმა:** 8(2)-9(1); **ჯარიმა:** 15-6; **კუთხური:** 1-4; **თამაშგარე:** 1-4; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**სარაგოსა-რეალი 0:6**

**სარაგოსა:** რობერტო – ხუარესი, პარედესი, მეირა, და სილვა – ზუკულინი (53. პინტერი), პონსიო, მინერო (53. ორიოლი), ბარერა (82. ვალენსია) – უჩე, ლაფიტა

**რეალი:** კასილასი – სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, მარსელო – ხაბი ალონსო – კრისტიანო რონალდო, კოენტრაო, დი მარია (72. კალეხონი), იოზილი (78. კაკა) – ბენზემა (76. იგუაინი)

**გოლები:** 0:1 რონალდო (24), 0:2 მარსელო (28), 0:3 ხაბი ალონსო (64), 0:4 რონალდო (71), 0:5 კაკა (82), 0:6 რონალდო (87)

**გაფრთხილება:** მეირა, მინერო - კარვალიო

**კარში დარტყმა:** 8(1)-39(16); **ჯარიმა:** 16-16; **კუთხური:** 7-9; **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**სევილია-მალაგა 2:1**

**სევილია:** ხავი ვარასი – მ. კასერესი, სპაჰიჩი, ესკუდე, ფ. ნავარო (46. ანდუხარი) – მედელი, ნავასი, პეროტი (65. არმენტეროსი), მანუ (74. კამპანა), ტროხოვსკი - ნეგრედო

**მალაგა:** კაბალიერო – გამესი, დემიკელისი, მატიისენი, ელისეუ (73. მონრეალი) – ტულალანი, რონდონი (46. ს. ფერნანდესი), ხოაკინი, კასორლა, აპონო (46. მარესკა) – ვან ნისტელროი

**გოლები:** 1:0 ნეგრედო (2), 2:0 ნეგრედო (26), 2:1 კასორლა (81)

**გაფრთხილება:** კასერესი, მედელი, ნეგრედო - ვან ნისტელროი

**კარში დარტყმა:** 15(9)-6(1); **ჯარიმა:** 15-7; **კუთხური:** 2-8; **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**ბარსელონა-ვილიარეალი დღეს**

**მომდევნო ტური**

11 სექტემბერი: ვალენსია-ატლეტიკო, ოსასუნა-სპორტინგი, სოსიედადი-ბარსელონა, ვილიარეალი-სევილია, მალაგა-გრანადა, ბეტისი-მალიორკა, ესპანიოლი-ატლეტიკი, რაიო ვალეკანო-სარაგოსა, რეალი-ხეტაფე, რასინგი-ლევანტე

**სეგუნდა დივიზიონი. I ტური**

**ხირონა-ელჩე 1:4, ბარსელონა II-ვილიარეალი II 0:2, დეპორტივო-უელვა 1:0, ერკულესი-კარტახენა 2:0, საბადელი-უესკა 2:1, ალკორკონი-ხერესი 0:1, გვადალახარა-ლას პალმასი 1:1, ალკოიანო-ნუმანსია 1:1, კორდობა-ალმერია 1:1, მურსია-სელტა 1:3, ხიმნასტიკი-ვალიადოლიდი 0:3**

**ლევან ჯანეზაშვილი**



ინგლისი. პრემიერლიგა. III ტური

# მანჩესტერელი ბატონები პრემიერლიგაში

8:2! ყველამ ვიცოდით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ძლიერი გუნდია, „არსენალი" კი კრიზისშია და საუკეთესო ფეხბურთელები გაექცნენ, მაგრამ ასეთ ანგარიშს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. „ოლდ ტრეფორდზე" „იუნაიტედის" ფანები „მეთოფეთა" მწვრთნელ არსენ ვენგერს უმღეროდნენ, ხვალ დილით შენ მოგხსნიანო, ინგლისის ჩემპიონის ვარსკვლავმა უეინ რუნიმ კი ჰეთ-თრიკი შეასრულა და რაც ყველაზე სიმბოლურია, სამიდან პირველი გოლი მისთვის 150-ე გახლდათ „იუნაიტედის" შემადგენლობაში.

დიახ, რუნიმ სამი გოლი გაიტანა, მაგრამ ეს მანჩესტერელთა იმდღევანდელი მონაგრის ნახევარიც კი არ იყო. ერთ თამაშში 8 გოლი სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა ბოლოს 1999 წელს გაიტანა. და, როგორ ფიქრობთ, „არსენალს" ბოლოს როდის ჰქონდა გაშვებული ერთ თამაშში 8 გოლი? თავს ნუ აიტკიებთ, ვერ გამოიცნობთ — 1896 წელს. და რაღ უნდა ლაპარაკი, რომ ჩრდილოლონდონელებს „მანჩესტერ იუნაიტედთან" ასე საშინლად არასდროს წაუგიათ.

რასაკვირველია, შეხვედრის ათივე გოლის, ვერგატანილი პენალტის და სხვა მრავალი ფაქტის თუ ასპექტის აღნიშვნას წერილში, რომლის დანიშნულება მთელი ტურის მიმოხილვაა, ვერ შევძლებთ და არც შევეცდებით. „ოლდ ტრეფორდზე" მომხდარს კვირის განმავლობაში, რასაკვირველია, ბევრჯერ დავუბრუნდებით, აქ კი ვიტყვით, რომ პრემიერლიგაში ორი გამოკვეთილი ლიდერი გამოჩნდა და ორივე მანჩესტერიდან გახლავთ. თუმცა, მანამდე...

„სტემფორდ ბრიჯზე" ერთი შეხედვით ძლიერმა სუსტს მოუგო — „ჩელსიმ" „ნორვიჩს" 3:1 აჯობა, მაგრამ შეხვედრას ვნებათაღელვა ნამდვილად არ აკლდა. ყველაზე უსიამოვნო ის იყო, რომ დასავლეთლონდონელთა თავდამსხმელი 33 წლის დიდიე დროგბა „იადონების" მეკარე ჯონ რადისთან შეჯახების შემდეგ საავადმყოფოში გახდა წასაყვანი. დროგბამ გონება დაკარგა და მას მერე, რაც სტადიონზე, შვიდწუთიანი მკურნალობის შედეგად ფეხზე ვერ დააყენეს, ჟანგბადის ბალონის დახმარებით სასწრაფოში უკრეს თავი. საავადმყოფოში კოტ დ'ივუარელს უწამლეს, თუმცა „ჩელსის" მიერ მოგვიანებით გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ კლუბის ექიმები ჯერ იფრთხილებენ და ფორვარდს რამდენიმე დღის განმავლობაში დააკვირდებიან.

მატჩის შემდეგ „ლურჯების" თავკაცმა, ანდრე ვილაშ-ბოაშმა თქვა: *„ეპიზოდი საშინელი სანახავი იყო. დროგბა სრულიად გამოითიშა. დიდ მადლობას ვუხდი არა მხოლოდ ჩემს ფეხბურთელებს და სამედიცინო პერსონალს, არამედ „ნორვიჩის" მოთამაშეებსაც, რომელთაც მყისვე შეამჩნიეს, რომ მდგომარეობა სახიფათო იყო".*

დაგვეთანხმებით, როდესაც ამა თუ იმ გუნდის მწვრთნელი მეტოქის ფეხბურთელებს მადლობას უხდის, სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ იმავე შეხვედრაში ისეთი ინციდენტიც მოხდა, რომლის გამო მოწინააღმდეგეთა ხელმძღვანელებს პრესკონფერენციაზე ერთმანეთისთვის საყვედურის თქმა დასჭირდათ. თავიდან უკმაყოფილება „ნორვიჩის" თავკაცმა პოლ ლამბერტმა გამოთქვა. მას არ მოეწონა, რომ ერთ-ერთ ეპიზოდში „ჩელსის" მწვრთნელთა შტაბის წარმომადგენელი ჟოზე მარიო როჩა მათ „ტექნიკურ ზონაში" შევიდა, სხვა სიტყვებით, „ნორვიჩის" სათადარიგოთა სკამთან აღმოჩნდა.

*„პორტუგალიურად კარგად ვერ ვლაპარაკობ და ამიტომ, ამ კაცს ჩემებურად, გლაზგოურად ვეტყვი: ასეთი რაღაცის გაკეთება ცუდი საქციელია, მეტოქის უპატივცემულობას ნიშნავს".*

ამაზე ვილაშ-ბოაშმა განაცხადა: *„ვიცი, პოლი აღელდა, მაგრამ მისი აღელვების მიზეზი მარტო ის არ იყო რასაც ასახელებს. მეორე მხრივ, ძალიან გამიკვირდება თუ გავიგებ, რომ ჩემი ასისტენტებიდან ვინმემ მეტოქისადმი უპატივცემულობა გამოხატა.*



მანჩესტერ ფეხბურთელები უეინ რუნის ჰეთ თრიკს ულოცავენ

*არ გამოვრიცხავ, რომ რომელიღაც მომენტში რომელიმე მათგანმა ემოცია გამოხატა, მაგრამ თუ პოლი სხვის ემოციაზე ლიზიანდება, მის მაგივრად ვწუხვარ".*

ბოლო 8 წუთი „ნორვიჩმა" ათი კაცით ითამაშა. მიზეზი: მასპინძელთა ფრანგ თავდამსხმელ ნიკოლა ანელკას ზემოხსენებულმა მეკარე რადიმ საჯარიმოში ბურთი სუფთად ვერ წაართვა, ხელი გამოსდო და პენალტითა და წითელი ბარათით დაისაჯა. თერთმეტმეტრიანი ფრენკ ლემპარდმა გაიტანა. სწორედ ეს აღმოჩნდა შეხვედრის ბედის განმსაზღვრელი — მანამდე მეტოქეებს ერთმანეთისთვის თითო გოლი ჰქონდათ შეგდებული. ლამბერტის უკვე აღწერილი კონფლიქტიც ამ მომენტს უკავშირდება.

მესამე გოლი მასპინძლებმა საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე, გაიტანეს. ეს იყო ესპანელი ახალწვეულის, ხუან მატას საოცნებო დებიუტი ახალი გუნდის შემადგენლობაში. მატამ რიჩი დე ლაეტის შეცდომით ისარგებლა, მისი „გაუგებარი" პასის შემდეგ ბურთს დაეუფლა, მეკარესთან მახვილი კუთხით შევიდა და შორეულ კუთხეში ტექნიკურად დაარტყა.

შთამბეჭდავად გაიმარჯვა „ლივერპულმაც". მერსისაიდელებმა „ბოლტონს" აჯობეს, 3:0. მართალია გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა დაჟინებულმა ურუგვაელმა თავდამსხმელმა ლუის სუარესმა. „წითლებისთვის" ერთადერთი გულდასაწყვეტი ეპიზოდი ივან კლასნიჩის გოლი გახლდათ. მას ამაში ვეტერანი მცველის ჯეიმი კარაგერის შეცდომამ შეუწყო ხელი. მატჩის შემდეგ „ლივერპულის" თავკაცმა კენი დალგლიშმა თქვა:

*„შეხვედრა სასიამოვნო სანახავი იყო. ჩვენ ასეთ შედეგს იმიტომ მივაღწიეთ, რომ მუხლჩაუხრელად ვიმუშავეთ, ყველა მოქმედებაში ერთსულოვანი ვიყავით და ერთმანეთს ვაზღვევდით. დასანანმა გოლმა ცოტათი კი დაგვწყვიტა გული, მაგრამ ისიც ძალიან მრავლისმთქმელი და სასარგებლო იყო".*

პრესკონფერენციაზე მისულმა „ლივერპულის" ფეხბურთელებმა კი ძირითადად სუარესი აქეს. სტიუარტ დაუნინგმა თქვა, გადატვირთული ზაფხულის შემდეგ მაინც ასეთ ფორმაში როგორ არის, გამკვირვებია და აღფრთოვანებული ვარო.

„ვულვერჰემპტონი" ბირმინგემში „ასტონ ვილას" გადაურჩა. მასპინძლებმა მეორე ტაიმში ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ ვაგლახ — მიკ მაკარტის ბიჭებს კი ახლა სამი თამაშიდან 7 ქულა აქვთ, რაც სეზონის შესანიშნავ სტარტად შეიძლება მივიჩნიოთ. ერთი სიტყვით, ეს მატჩი გახლდათ ნიმუში იმისა, რომ ვინც უკეთ თამაშობს, ყოველთვის ვერ იმარჯვებს. გოლების გატანა შეეძლოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს დარენ ბენტმა, ემილ ჰესკიმ და გებრიელ აგბონლაჰორმა.

„უიგანმა" „ქუინზ პარკ რეინჯერსს" 2:0 მოუგო. ორივე გოლი 22 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა ფრანკო დი სანტომ გაიტანა. დასავლეთლონდონელთა ახალი შენაძენი, ჯოი ბარტონი კი თავისიანების წაგებას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს — „ქუინზ პარკმა" მისი დროულად დარეგისტრირება ვერ მოასწრო. ამ შეხვედრაზე შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებმა სტუმრებს გადაურბინეს, ოღონდ სიტყვა სირბილის პირდაპირი მნიშვნელობით — „უიგანი" მართლაც გასაოცრად შემართული იყო.

„ბლექბერნის" ავსტრალიელმა ნახევარმცველმა, 32 წლის ბრეტ ემერტონმა კი „ბლექბერნში" თავისი კარიერა წაგებით დაასრულა. ის ამ ინგლისურ გუნდში 2003 წელს მივიდა, ამიერიდან კი სამშობლოში დაბრუნდება და „სიდნეიში" ითამაშებს. ბლექბერნელებმა ემერტონს პატივი სცეს და „ევერტონთან" შეხვედრაში კაპიტნის სამკლავური შეაბეს, მაგრამ ლივერპულის გუნდის ესპანელი ნახევარმცველის, მიკელ არტეტას მიერ ბოლო წუთზე გატანილი საკმაოდ საეჭვო პენალტის გამო მას დამარცხებულს მოუწია მოედნის, ქალაქის და ქვეყნის დატოვებამ.

მეორე მხრივ კი, თუ „ბლექბერნს" ამ წაგების დაბრალება ვინმესთვის უნდა, ჯობს საკუთარ თავს დააბრალოს — მსაჯმა შაბათს მასპინძელთა სასარგებლოდ ორი პენალტი დანიშნა და მათ.. ვერც ერთი ვერ გაიტანეს. და მაინც, „ბლექბერნის" მწვრთნელმა სტივ კინმა ხელის არბიტრზე შენმენდა ამჯობინა:

*„თამაში რომ დამთავრდა, ჩვენს კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანის ეპიზოდი ყველანაირად ვნახე — ჩვეულებრივი გამეორებით თუ კადრის შენელებით, მაგრამ პენალტი იქ ვერ ვიპოვე. ფეხბურთელების კონტაქტამდე ბურთი უკვე 15 მეტრით იყო გაფრენილი".*

და, როგორ ფიქრობთ, რა თქვა მერსისაიდელთა შოტლანდიელმა თავკაცმა დევიდ მოიესმა? მანაც მსაჯისკენ გაიშვირა ხელი:

*„ჩვენს კარში დღეს ორი პენალტი დაინიშნა და ორივე ეპიზოდში „ბლექბერნის" მოთამაშემ არბიტრი მოატყუა. ორივეჯერ სიმულაცია იყო. აი, ჩვენს პენალტში ეჭვის შეტანა კი არ შეიძლება".*

„სუონსის" კი, როგორც ჩანს, თავდასხმაში აქვს პრობლემები. უელსელებს პრემიერლიგაში ჯერ გოლი არ გაუტანიათ. მათ ეს ვერც „სანდერლენდთან" შეხვედრაში შეძლეს, მიუხედავად იმისა, რომ „შავი კატების" კართან სახიფათო მომენტები შექმნეს. ერთხელ ბურთი ძელს მოხვდა, ორჯერ 23 წლის ბელგიელმა მეკარემ სიმონ მინოლემ ითამაშა შესანიშნავად, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა დენი გრემმა კი თავურით ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან.

„ნიუკასლისა" და „ფულჰემის" შეხვედრაში „კაჭკაჭებმა" ლიონ ბესტის ორი გოლის წყალობით გაიმარჯვეს. მართალია, „ფულჰემი" საკმაოდ დაღლილი ჩანდა, მაგრამ „ნიუკასლმა" მაინც ძლივს გამოჰგლიჯა ხელიდან სამი ქულა. მასპინძლები თავიანთ გოლკიპერ ტიმ კრულს უნდა უმადლოდნენ, რამდენჯერმე შესანიშნავად რომ ითამაშა. „კაჭკაჭების" თავკაცმა ალან პერდიუმ მატჩის შემდეგ თქვა:

*„ლიონ ბესტმა კიდევ გაიტანა. ეს ბიჭი ჩემთვის თილისმად იქცა, რამდენჯერაც ვათამაშებ, იმდენჯერ გოლი გააქვს".*

დასავლეთლონდონელთა ჰოლანდიელი თავკაცი მარტინ იოლი: *„ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ კარგი გუნდი გვყავს და ამისათვის გოლების გატანა უნდა დავიწყოთ".*

„უაით ჰარტ ლეინზე" კი „ტოტენჰემ ჰოთსპურს" „მანჩესტერ სიტიმ" გადაუარა — წინა ტურის შემდეგ ვამბობდით, რომ ჰარი რედნაპის გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედთან" ვერ მივიდოდა კლასით, ახლა კი ვამბობთ, რომ ის ვერც „მანჩესტერ სიტის" უტოლდება. გუნდებს შორის განსხვავება მეტისმეტად აშკარა იყო. ედინ ჯეკომ, რომელსაც გასულ სეზონში ერთხმად უკიჟინებდნენ, ცუდ ფორმაში ხარო, ოთხი ისეთი გოლი გაიტანა, ყველანაირ გემოვნებას რომ დააკმაყოფილებდა. ოთხიდან სამჯერ ასისტენტობა ისტლენდელთა ახალმა ფეხბურთელმა სამირ ნასრიმ გაიტანა, რომელმაც ერთი კვირის წინ ჯერ კიდევ „არსენალის" მაისურით ითამაშა „ლივერპულის" წინააღმდეგ. მასპინძელთაგან ერთი გოლი იონ ქაბულმა შეაგდო, თუმცა მანამდე, გარეთ ბეილის პასით პიტერ კრაუჩს შეეძლო გოლის გატანა. ვერ გეტყვით ეს გოლი რამეს შეცვლიდა თუ არა, მაგრამ ძალიან ლამაზი კი იქნებოდა. აი, ჯეკოს გოლების, განსაკუთრებით კი მეორე გოლის (მეოთხეც დიდებული იყო) ნახვას კი ინტერნეტით თუ ტელემიმოხილვებში ყველას გირჩევთ.

„სტოკმა" როი ჰოჯსონის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს" 90-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით 1:0 მოუგო. ამრიგად, „ალბიონმა" სამივე მატჩი წააგო, „სტოკმა" კი ჯერ წაგება რა არის, არ იცის - ორი ფრის შემდეგ, გაიმარჯვა.

**მომდევნო ტური**

10 სექტემბერი. არსენალი-სუონსი, ევერტონი-ასტონ ვილა, მანჩესტერ სიტი-უიგანი, სტოკი-ლივერპული, სანდერლენდი-ჩელსი, ვულვზი-ტოტენჰემი, ბოლტონი-მანჩესტერ იუნაიტედი;

11 სექტემბერი. ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი, ფულჰემი-ბლექბერნი; 12 სექტემბერი ქუინზ პარკი-ნიუკასლი.

**ილია ბაბუნაშვილი**

**ასტონ ვილა-ვულვერჰემპტონი 0:0**

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი - პერდი, დანი, კოლინზი, უორნოკი - ნ'ზოგბია (74. ბენანი), ს. პეტროვი, დელფი (85. ოლბრაიტონი), აგბონლაჰორი - ჰესკი, ბენტი

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - სტირმენი, ბერა, ჯონსონი, უორდი - ჯერვისი (66. ფოული), ჰენრი, ო'ჰარა, ჰანტი (67. ელოკობი) - ფლეტჩერი, დოილი

**გაფრთხილება:** დელფი - ო'ჰარა, ჰენრი, სტირმენი

**კუთხური:** 11-8; **ჯარიმა:** 12-13; **კარში დარტყმა:** 14-3 (3-2); **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 30 776

**უიგანი-ქუინზ პარკი 2:0**

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი, კოლდუელი, პისკუ, ფიგეროა - გომესი (85. სტამი), დიამე, უოტსონი - როდალეგა, დი სანტო (69. სემონი), მოზესი (69. მაკარტური)

**ქუინზ პარკი** (4-2-3-1): კენი - კონოლი, ჰილი (61. ჰერიმანი), პარონე, გებიდონი - დერი, ფაურლინი - სმიტი (80. ანდრადე), ტაარაბტი, ბუჟაკი (72. ბოთროიდი) - აგიემანგი

**გოლები:** 1:0 დი სანტო (41), 2:0 დი სანტო (66)

**გაფრთხილება:** პისკუ, კოლდუელი (ორივე უიგანი)

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 8-16; **კარში დარტყმა:** 7-14 (5-6); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 17 225

**სუონსი-სანდერლენდი 0:0**

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი - რენგელი, უილიამსი, კაულკერი, ტეილორი - ბრიტონი, აგუსტეინი (80. ალენი) - დაიერი (79. დობი), რუტლიჯი (71. ლიტა), სინკლერი - გრემი

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე - ო'ში, ბრაუნი, ა. ფერდინანდი, ბერდსლი - გარდნერი, კოლბეკი, კეტერმოლი (70. უიკჰემი), ლარსონი (70. ელმოჰამადი) - ასამოა (77. რიჩარდსონი), სესინიონი

**გაფრთხილება:** აგუსტეინი - გარდნერი

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 11-8; **კარში დარტყმა:** 15-6 (5-2); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 19 938

**ჩელსი-ნორვიჩი 3:1**

**ჩელსი** (4-3-3): ილარიო - ბოსინგვა, ტერი, ივანოვიჩი, კოული - რამირესი, მიკელი, ლემპარდი - დროგბა (69. ანელკა), ტორესი (83. ლუკაკუ), მალუდა (68. მატა)

**ნორვიჩი** (3-5-2): ჯ. რადი - ბერნეტი, დე ლაეტი, უიტბრედი (30. პილკინგტონი) - ნაფტონი, ჰულაჰანი (60. მორისონი), ჯონსონი, კროფტსი, ტიერნი - ჰოლტი, მარტინი (81. დ. რადი)

**გოლები:** 1:0 ბოსინგვა (6), 1:1 ჰოლტი (63), 2:1 ლემპარდი (82-პენ), 3:1 მატა (90)

**გაფრთხილება:** ბოსინგვა, ტორესი - კროფტსი, ნაფტონი

**გაძევება:** რადი (81-ნორვიჩი)

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 20-17; **კარში დარტყმა:** 15-9 (7-7); **თამაშგარე:** 1-6; **ბურთის ფლობა:** 71%-29%

**მაყურებელი:** 41 765

**ბლექბერნი-ევერტონი 0:1**

**ბლექბერნი** (4-4-1-1): რობინსონი - სალგადო, სამბა, ჟივე, ოლსონი - ემერტონი, ნზონზი, დანი (35. ფორმიცა), პედერსენი (35. პეტროვიჩი) - ჰოილეტი - რობერტსი (72. გუდვილი)

**ევერტონი** (4-4-1-1): ჰოვარდი - ნევილი, ჯაგიელკა, დისტინი, ბეინსი - ოსმანი (62. ბილიალეტდინოვი), ჰეიტინგა (85. ბეკფორდი), არტეტა, ბარკლი (54. ტ. კეჰილი) - ფელაინი - ენიჩიბე

**გოლები:** 0:1 არტეტა (90-პენ)

**ვერ გაიტანა პენალტი:** ჰოილეტი (47 - ბლექბერნი), ფორმიცა (82 - ბლექბერნი)

**გაფრთხილება:** სალგადო, ჰოილეტი, პეტროვიჩი, ნზონზი - ენიჩიბე

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 17-19; **კარში დარტყმა:** 12-9 (8-4); **თამაშგარე:** 3-4; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 22 826

**ლივერპული-ბოლტონი 3:1**

**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა - კელი (30. შკრტელი), კარაგერი, აგერი, ხოსე ენრიკე - ლუკასი, ადამი - კუიტი, ჰენდერსონი (76. მაქსი როდრიგესი), დაუნინგი - სუარესი (77. ქეროლი)

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, გ. კეჰილი, ნაითი, რობინსონი - იგლზი (57. თუნჩაი), რიო-კოკერი, მუამბა (26. მ. დევისი), მ.პეტროვი - კ. დევისი (71. პრეტლი), კლასნიჩი

**გოლები:** 1:0 ჰენდერსონი (15), 2:0 შკრტელი (52), 3:0 ადამი (53), 3:1 კლასნიჩი (90)

**გაფრთხილება:** სტეინსონი, კლასნიჩი (ორივე ბოლტონი)

**კუთხური:** 12-6; **ჯარიმა:** 8-7; **კარში დარტყმა:** 17-6 (8-3); **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 73%-27%

**მაყურებელი:** 44 725

**ნიუკასლი-ფულჰემი 2:1**

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული - სიმპსონი, კოლოჩინი, ს. ტეილორი, რ. ტეილორი - ობერტანი, ტიოტე, კაბაიე, ხონასი - ლოვენკრანდსი (62. ბა), ბესტი (79. ვუკიჩი, 86. სმიტი)

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, ბრიგზი - დ. დაფი, მერფი, სიდუელი, კასამი (73. ე. ჯონსონი) - დემპსი, დემბელე

**გოლები:** 1:0 ბესტი (48), 2:0 ბესტი (66), 2:1 დემპსი (88)

**გაფრთხილება:** სიმპსონი, სმიტი - სიდუელი

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 12-23; **კარში დარტყმა:** 10-12 (7-5); **თამაშგარე:** 4-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 42 684

**ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი 1:5**

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი - ჩორლუკა, ქაბული, დოუსონი, ასუ-ეკოტო - ლენონი (53. დეფო), კრანჩარი (46. ჰადლსტოუნი), მოდრიჩი (65. ლაივერმოლი), ბეილი - ვან დერ ვაარტი, კრაუჩი

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი - საბალეტა (64. რიჩარდსი), ლესკოტი, კომპანი, კლიში - სილვა, ბერი, ი. ტურე, ნასრი - აგუერო (75. სავიჩი), ჯეკო

**გოლები:** 0:1 ჯეკო (34), 0:2 ჯეკო (41), 0:3 ჯეკო (55), 0:4 აგუერო (60), 1:4 ქაბული (68), 1:5 ჯეკო (90)

**გაფრთხილება:** ასუ-ეკოტო, ვან დერ ვაარტი - ბერი, საბალეტა, ტურე, სავიჩი

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 14-15; **კარში დარტყმა:** 11-19 (6-9); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 36 150

**ვესტ ბრომვიჩი-სტოკი 0:1**

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი - რიდი, ტამასი, ოლსონი, შორი - ბრანტი (66. ტომასი), შარნერი, მულუმბუ, მორისონი (80. დორანსი) - ტჩოი (77. ფორჩუნი), ლონგი

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - ჰუთი, შოუკროსი, ვუდგეიტი, უილსონი (37. უილკინსონი) - პენანტი (75. შოტონი), უილენი, უაიტჰედი, ეზერინგტონი (67. პაფი) - უოლტერსი, კ. ჯონსი

**გოლები:** 0:1 შოტონი (90)

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 11-14; **კარში დარტყმა:** 13-5 (4-1); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 22 909

**მანჩესტერ იუნ.-არსენალი 8:2**

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა - სმოლინგი, ჯონსი, ევანსი, ევრა - ნანი (68. პარკი), კლევერლი, ანდერსონი (68. ანდერსონი), იანგი - რუნი, უელბეკი (36. ერნანდესი)

**არსენალი** (4-3-3): შჩესნი - ჯენკინსონი, დჯურუ, კოშელნი, ტრაორე - რემსი, კოკუელინი (62. ოქსლეიდ-ჩემბერლენი), როსიცკი - უოლკოტი (84. ლენსბერი), ვან პერსი (84. შამახი), არშავინი

**გოლები:** 1:0 უელბეკი (22), 2:0 ე. იანგი (28), 3:0 რუნი (41), 3:1 უოლკოტი (45), 4:1 რუნი (64), 5:1 ნანი (67), 6:1 პარკი (70), 6:2 ვან პერსი (72), 7:2 რუნი (82-პენ), 8:2 იანგი (90)

**ვერ გაიტანა პენალტი:** ვან პერსი (27)

**გაფრთხილება:** ევანსი, იანგი - არშავინი, ჯენკინსონი, დჯურუ

**გაძევება:** ჯენკინსონი (77)

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 6-15; **კარში დარტყმა:** 24-15 (15-7); **თამაშგარე:** 7-0; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 75 4489

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 13-3 | 9 |
| 2. სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-3 | 9 |
| 3. ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 4. ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 5. ვულვზი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 6. ნიუკასლი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-1 | 7 |
| 7. ასტონ ვილა | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 8. უიგანი | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 5 |
| 9. სტოკი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| 10. ბოლტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 7-6 | 3 |
| 11. ევერტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 12. ქუინზ პარკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-6 | 3 |
| 13. სანდერლენდი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 14. ნორვიჩი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 15. სუონსი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-4 | 2 |
| 16. ფულჰემი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 17. არსენალი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-10 | 1 |
| 18. ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-5 | 0 |
| 19. ბლექბერნი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| 20. ტოტენჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-8 | 0 |

**ბომბარდირები:** 6 - ჯეკო (მანჩესტერ სიტი); 5 - რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 3 - აგუერო (მანჩესტერ სიტი), კლასნიჩი (ბოლტონი).

**ინგლისი. ჩემპიონატი. V ტური**

**ბრაიტონი-პიტერბორო 2:0**

გოლები: 1:0 ნუნი (10), 2:0 პერლი (64)

**კრისტალ პალასი-ბლექპული 1:1**

გოლები: 0:1 ბეპტისტი (41), 1:1 მიურეი (79)

**დერბი-ბარნლი 1:2**

გოლები: 0:1 ოსტინი (49), 1:1 რობინსონი (71), 1:2 ოსტინი (74)

**დონკასტერი-ბრისტოლი 1:1**

გოლები: 0:1 ადომა (45), 1:1 პეიტერი (68)

**ჰალი-რედინგი 1:0**

გოლები: 1:0 ბრედი (73)

**იფსვიჩი-ლიდსი 2:1**

გოლები: 0:1 მაკკორმაკი (34), 1:1 სკოტლანდი (77), 2:1 ენდრიუსი (90)

**ლესტერი-საუთჰემპტონი 3:2**

გოლები: 1:0 ვესელი (3), 2:0 უელენსი (22), 2:1 ჰარდინგი (28), 3:1 ლამბერტი (45 ს.კ.), 3:2 კონოლი (53)

**მიდლსბრო-ქოვენთრი 1:1**

გოლები: 1:0 იმნესი (21), 1:1 ოუცკევიჩი (76)

**მილუოლი-ბარნსლი 0:0**

**პორტსმუთი-კარდიფი 1:1**

გოლები: 0:1 ტეილორი (71), 1:1 კანუ (80)

**ნოტინგემი-ვესტ ჰემი 1:4**

გოლები: 0:1 ჩემბერსი (21 ს.კ.), 0:2 ნოლანი (24), 0:3 კოული (32), 1:3 ფინდლი (70), 1:4 რიდი (77)

**უოტფორდი-ბირმინგემი 2:2**

გოლები: 0:1 რუნი (39), 1:1 სორდელი (80), 1:2 ვუდი (88), 2:2 ტეილორი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაიტონი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 2. საუთჰემპტონი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-6 | 12 |
| 3.დერბი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-3 | 12 |
| 4. მიდლსბრო | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 5. ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-4 | 10 |
| 6. კრ. პალასი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 7. კარდიფი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 8. ბლექპული | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 9. პიტერბორო | 5 | 2 | 1 | 2 | 12-8 | 7 |
| 10. ლესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-8 | 7 |
| 11. მილუოლი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-5 | 6 |
| 12. პორტსმუთი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 13. ჰალი | 5 | 2 | 0 | 3 | 3-6 | 6 |
| 14. იფსვიჩი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-14 | 6 |
| 15. ბარნლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| 16. ბარნსლი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-5 | 5 |
| 17. ბრისტოლ სიტი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 18. ნოტინგემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-8 | 5 |
| 19. ლიდსი | 5 | 1 | 1 | 3 | 8-9 | 4 |
| 20. რედინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |
| 21. ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 22. უოტფორდი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-9 | 3 |
| 23. ქოვენთრი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-5 | 2 |
| 24. დონკასტერი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 1 |

**ბომბარდირები:** 4 - ოსტინი (ბარნლი), კონოლი (საუთჰემპტონი), იმნესი (მიდლსბრო), კ. ფილიპსი (ბლექპული).

**პირველი ლიგა. V ტური**

იოვილი-შეფილდ იუნაიტედი 0:1, ბორნმუთი-უოლსოლი 0:2, ბრენტფორდი-ტრანმერი 0:2, ბერი-ჩარლტონი 1:2, კოლჩესტერი-ოლდჰემი 4:1, ექსეტერი-ჩესტერფილდი 2:1, ჰადერსფილდი-უიკომბი 3:0, ლეიტონი-კარლისლი 1:2, მილტონი-სტივენიჯი 1:0, პრესტონი-ნოთს ქაუნთი 2:0, როჩდეილი-ჰარტლპული 1:3, შეფილდ უენსდეი-სკანთორპი 3:2.

**მეორე ლიგა. V ტური**

ეკრინგტონი-ბარტონი 2:1, ბრედფორდი-ბერნეტი 4:2, ბრისტოლი-პერეფორდი 0:0, ჩელტენჰემი-ქროული 3:1, დაგენჰემი-თორგუეი 1:1, მაკლსფილდი-უიმბლდონი 4:0, ნორთჰემპტონი-მორკემბი 0:2, ოქსფორდი-ოლდერშოტი 1:1, პლიმუთი-ქრუ 0:1, პორტ ვეილი-საუთენდი 2:3, როტერჰემი-ჯილინგემი 3:0, შრუსბერი-სუინდონი 2:1.

**კონფერენსი. V ტური**

ტელფორდი-ნიუპორტი 2:1, ოლფრიტონი-ვრექჰემი 1:4, ბეროუ-გეიტსჰედი 1:2, ბათი-ტემუორთი 0:2, კემბრიჯი-ჰეიესი 2:1, ებსფლიტი-ფორესტ გრინი 1:1, გრიმსბი-დარლინგტონი 1:2, კიდერმინსტერი-საუთპორტი 2:0, ლუტონი-ბრეინტრი 3:1, მენსფილდი-კეტერინგი 3:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცინცხალი რეპორტაჟები ევრობასკეტიდან ქართველი გულშემატკივრისთვის

ევროპის ჩემპიონატის გახსნამდე ერთი დღით ადრე, 30 აგვისტოს, კლაიპედაში „ლელოს" კორესპონდენტი - **ვაჟა სიმონიშვილიც** ჩავა. საქართველოს ნაკრების მსგავსად, ისიც სასტუმრო „ამბერტონში" იცხოვრებს და მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდებას არა მხოლოდ კლაიპედის საკალათბურთო დარბაზიდან, არამედ ჩვენი ქვეჯგუფის ყველა ბინადრის დისლოკაციის ადგილიდან, ანუ შიდა სამზარეულოდანაც შეძლებს. გარდა ამისა, „ლელოს" ჟურნალისტი რეპორტაჟებს „პალიტრა TV"-სთვისაც მოამზადებს, საქართველოს ნაკრების მატჩების მსვლელობისას კი რადიო „პალიტრის" პირდაპირ ეთერში რამდენჯერმე ჩაერთვება. სპორტული გაზეთის კორესპონდენტის „ცინცხალი" რეპორტაჟები ქართველი გულშემატკივრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება.

# შეგვიძლია!

## ლიტვასთან ცოტა დაგვაკლდა



**ამხანაგური მატჩი**

**27 აგვისტო, ვილნიუსი**

**ლიტვა-საქართველო 88:80**

**26:19, 15:21, 25:23, 22:17**

**ლიტვა:** იასიკევიჩუსი (19), იასაიტისი (16), იავტოკასი (9), კალნიეტისი (5), კაუკენასი (5), იანკუნასი (6), პეტრავიჩუსი (6), დელინინკაიტისი (4), სონგაილა (9), ვალანჩუნასი (2), ლავრინიოვიჩი (5), ფოციუსი (2)

**საქართველო:** ფაჩულია (19), სანიკიძე (16), შენგელია (15), ჰაინსი (8), მარკოიშვილი (6), ცქიტიშვილი (7), შერმადინი (6) ცინცაძე (3), ვ. ბოისა

ევროპული ტოტალიზატორების მიხედვით ევრობასკეტის მოგების მთავარი ფავორიტი ესპანეთია, შემდეგ ლიტვა... სწორედ **იასიკევიჩუსის, კალნიეტისის, ვალანჩუნასისა** და **იავტოკასის** გუნდთან ბრძოლაში გამოჩნდა პერსპექტივა **შენგელიასი, ფაჩულიასი, სკიტასი, მანუჩარასი, მარკიზასი, ვიქტორასი, ცინცაძის, ბოისასი, შერმადინისი...**

საკალათბურთო ასებთან (ლიტველებთან) ჭიდილში საქართველოს ნაკრების კალათბურთელებმა დაგვანახეს:

...რომ ევრობასკეტზე შემთხვევით არ მოხვედრილან;

...რომ ლიტვაში აუტსაიდერების სტატუსით არ მიემგზავრებიან;

...რომ ევროფავორიტებთან არა მხოლოდ ღირსეულად თამაში, გამარჯვებისთვის ბრძოლაც შეუძლიათ;

...რომ მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** გუნდი ევრობასკეტისთვის კარგად მოამზადა.

მოკლედ, დავინახეთ პერსპექტივა, რაც ქართველ ქომაგს იმედით აღავსებდა. ახლა პასუხი გავცეთ კითხვას: როგორ დავინახეთ ერთი ამხანაგური მატჩის მიხედვით ამდენი დადებითი ელემენტი? პასუხისთვის ერთი წინადადება საკმარისი არ არის - ქვემოთ, ქვეთავებად დავახარისხებთ და ისე მოგახსენებთ.

### გუნდური გუნდი

ვიდრე ქართველებს ლიტველებთან შევაპირისპირებდეთ, ჯერ 2004 და 2011 წლების ნაკრებები შევადაროთ. 7 წლის წინათ ამხანაგურ მატჩში იტალიასთან 76:100 დავმარცხდით. აპენინელთა მწვრთნელი **კარლო რეკალკატი** გაოცებული იყო - ქართველებს ძალიან პერსპექტიული ნაკრები ჰყოლიათ, ფაჩულია კი ევროპის საუკეთესო ცენტრიაო. მაშინ ჩვენი გუნდის ხუთეულში ითამაშეს: **მანუჩარ მარკოიშვილმა, შემონდ უილიამსმა, ვიქტორ სანიკიძემ, ვლადიმერ ბოისამ** და **ზაზა ფაჩულიამ.** ზუსტად 25 წუთის განმავლობაში ქართველთა მწვრთნელს **დრაჟენ ბრაიკოვიჩს** შეცვლა არ განუხორციელებია. ეს ხუთეული იტალიელებს კარგად ეომა, მაგრამ დაიღალა და ბოლო პერიოდში ვერაფერი გააწყო. მას მერე, ზემოთ ჩამოთვლილმა ქართველებმა დიდი გამოცდილება მიიღეს და მეორეც - დღეს გუნდი ხუთ კალათბურთელზე არ არის აწყობილი. ამ შაბათს, ლიტვასთან ნაკრების ახლანდელმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა 8 კალათბურთელი სრულად დატვირთა, შესაბამისად, ბოლო პერიოდში თითოეულ მოთამაშეს საკმარისი ძალა შერჩა. ქართველებმა მასპინძლებს სწორედ გადამწყვეტ პერიოდში შეუტიეს ენერგიულად და შესაძლოა, მოეგოთ კიდეც, რომ არა ერთი არასახარბიელო ეპიზოდი: საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე ვიქტორ სანიკიძემ საჯარიმოს ხაზიდან სტუმრები 72:70 დააწინაურა. ამას მოჰყვა იასიკიევიჩუსის ორქულიანი, ხოლო მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე იასაიტისის სამქულიანი. სროლის შემდეგ მასზე ზაზა ფაჩულია დაჯარიმდა და იასაიტისი საჯარიმოს ხაზზეც დააყენეს. ლიტველმა ორივე ტყორცნა გამოიყენა - 80:72. დარჩენილ 3 წუთში ლიტვის დარ გუნდს უპირატესობის შენარჩუნება არ უნდა გასჭირვებოდა. შეინარჩუნა კიდეც, მაგრამ ძალიან გაუჭირდა. ქართველებმა ბოლომდე ღირსეულად იბრძოლეს და მასპინძლებიც ძალიან ანერვიულეს.



მოკლედ, ლიტვასთან მატჩის ბოლო წუთებმაც დაგვარწმუნა, რომ წინა წლებთან შედარებით საქართველოს ნაკრები მეტად ბრძოლისუნარიანი, შეკრული და იმედისმომცემი გუნდია.

### სტილი

აქამდე არაერთი მატჩის მიმოხილვა დამიწერია, მაგრამ ცალკე ქვეთავი გუნდების სათამაშო სტილის შედარებისთვის არ დამითმია. დღეს ეს აუცილებელია.

ლიტვის ნაკრებში, როგორც ვთქვით, ევროპის ექსტრა კლასის კალათბურთელები გამოდიან. მათ შეუძლიათ პოზიციურადაც თამაში, სწრაფ გარღვევებსაც კლასიკურად ახორციელებენ და, რაც მთავარია, გუნდი ყველა რგოლში თანაბრადაა დაბალანსებული. მოკლედ, ლიტვა ყოველმხრივ გამართული ნაკრებია და სამართლიანად ითვლება ევრობასკეტის მოგების ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად.

საქართველოს ნაკრების პლუსი ძლიერი წინა ხაზია - მწვრთნელი მაქსიმალურად ცდილობს ცენტრის, ზაზა ფაჩულიას გამოყენებას. ეს 22 აგვისტოს ლატვიასთან შესანიშნავად გამოუვიდა - ზაზამ 42 ქულა ჩააგდო და გუნდმა 83:79 მოიგო. ხუთი დღის შემდეგ, ლიტველებთან კი პოზიციური, წყნარი თამაშით ვერაფერი გააწყო: პირველივე წუთებზე მასპინძლები ზუსტი სამქულიანებით 13:2 დაწინაურდნენ.

მეორე პერიოდში იგორ კოკოშკოვმა თამაშის სტილი შეცვალა - ქართველებმა ტემპს მოუმატეს, ბურთის მოხელთებისთანავე მეტოქის კალათისკენ „მიფრინავდნენ". ამ მხრივ სანიკიძე, ჰეინსი და შენგელია გამოირჩეოდნენ, დრიბლინგს დრიბლინგზე ახორციელებდნენ და მათი ინდივიდუალური ოსტატობის შესაზღუდად ლიტველებს იარაღი არ აღმოაჩნდათ. სანიკიძისგან მსგავს აფეთქებებს მიჩვეულნი ვართ, 19 წლის ახალწვეულ შენგელიასგან კი ასეთ თამამ თამაშს ბევრი არ ელოდა და, ალბათ, ლიტველებიც გაოცებულები დარჩებოდნენ. დადებითად უნდა შეფასდეს ჰეინსის გარჯაც. სწორედ მეორე პერიოდში თქვა ტელეწამყვანმა, საქართველოს ნაკრების ყოფილმა კალათბურთელმა **პაატა გურასპაულმა:** ესაა ქართული თამაში - სწრაფი, ინდივიდუალური... და, რაც მთავარია, შედეგიანი - ჩვენმა გუნდმა მეორე პერიოდი 21:15 მოიგო.

მას მერე ანგარიში „აიწონა-დაიწონას" პრინციპით მერყეობდა, ვიდრე 36-ე წუთი არ დადგა და იასაიტისმა სამქულიანს ორი საჯარიმო მიაყოლა.

მეორე ათწუთეულშივე დავინახეთ მნიშვნელოვანი სიახლე: ქართველებმა პერიმეტრი კარგად გადაკეტეს და ლიტველებს სამქულიანი მეოთხე პერიოდამდე არ ჩააგდებინეს. თუმცა, შორეული ტყორცნებით ვერც თავად გამოირჩნენ.

### ...დაბოლოს

ევრობასკეტის წინ ლიტვასთან ღირსეულად თამაშმა იმედი კი გაგვიღვივა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ამხანაგური მატჩი იყო. ოფიციალურებში ორმაგად მეტ ემოციასა და ბრძოლას უნდა ველოდოთ. ბელგიელები, უკრაინელები და ბულგარელები კბილებით დაიცავენ საკუთარ კალათს. სწორედ ეს გუნდები არიან მომდევნო ეტაპზე გასვლის ქართველთა მთავარი კონკურენტები.

თუმცა ჩვენს ოპტიმიზმს ევროპული ტოტალიზატორებიც აღვივებენ. ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების მთავარ პრეტენდენტად რუსეთი მიიჩნევა (ფსონი: 1.7), შემდეგ სლოვენიაა (2.5), მესამე - საქართველო (25.0), შემდეგ - ბულგარეთი (35.0), ბელგია (50.0) და უკრაინა (101.0).

### ნათქვამი

**ჯეისონ სტაუდტი** *(საქართველოს ნაკრების ასისტენტი მწვრთნელი):*

*- რთული მატჩი იყო ძლიერ მეტოქესთან. მოვახერხეთ და მასპინძლებს არ მივეცით თავისუფლად თამაშის უფლება. სადავეები ხელთ გვეპყრა და მხოლოდ ბოლოს ყურადღების მოდუნების გამო დავმარცხდით. ძალიან კარგი ატმოსფერო იყო დარბაზში, მადლობა მეტოქეს ასეთი შესანიშნავი მატჩისთვის. ლიტვის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე წარმატებას ვუსურვებ.*

**კესტუტის კემზურა** *(ლიტვის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):*

*- შესაძლოა, მაყურებელი ჩვენგან ზემძლავრ თამაშს ელოდა, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ლიტვის წინააღმდეგ ყველა ნაკრები გაორმაგებული ენერგიით თამაშობს. თანაც, საქართველოს ნაკრები საკმაოდ ძლიერი გუნდია, რომელსაც ჰყავს უმაღლესი დონის მოთამაშეები ზაზა ფაჩულიას მეთაურობით. ფაჩულიას მატჩში 40 ქულის მოგროვება შეუძლია და ასეთი მოთამაშის წინააღმდეგ ძალების მობილიზება გმართებს. თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ აგრესია დავკარგეთ. მეტოქემ ანგარიშიც გაგვითანაბრა და წინაც გავიდა. იძულებული გავხდი, გარკვეული ცვლილებებისთვის მიმემართა და საბედნიეროდ, ნელ-ნელა მოვახერხეთ თამაშის დალაგება.*

**ვაჟა სიმონიშვილი**







ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. საქართველოს ნაკრები. ინტერვიუ კოტე ტუღუშთან



# ქართული ამინდი კლაიპედაში

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო, მე-12 ამხანაგური შეხვედრა ვილნიუსში ლიტვის წინააღმდეგ ჩაატარა. წაგების მიუხედავად თამაშის მხილველი ნებისმიერი გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩებოდა - ქართველები ევროპის ერთ-ერთ წამყვან ნაკრებს თანაბრად ებრძოლნენ.

მატჩისა და ზოგადად სანაკრებო ამბების შესატყობად გუშინ გუნდის მენეჯერ **კოტე ტუღუშს** დავუკავშირდით. თავდაპირველად შეხვედრის შესახებ აზრის გაზიარება ვთხოვეთ.

- ჩვენი თამაში დადებითად უნდა შეფასდეს. კალათბურთელებმა მწვრთნელების დავალებები კარგად შეასრულეს და ამიტომაც იყო, რომ ბოლო წუთებამდე ვინარჩუნებდით გამარჯვების შანსს.

**- ტელეეკრანიდან ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ მატჩის მოგება რეალური იყო.**

- ჩვენც ასეთი შეგრძნება გვქონდა. ნამდვილად შეიძლებოდა გამარჯვება, მაგრამ ბოლო წუთებზე გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. შეხსენება არავის სჭირდება, რომ ლიტვა მეტად ძლიერი გუნდია. თუმცა, ამხანაგურ მატჩზე მნიშვნელოვანი 31 აგვისტოს, ბელგიასთან ოფიციალური თამაშია. მთავარი იმ შეხვედრაში გამარჯვებაა.

**- სირენამდე 4 წუთით ადრე იასაიტისმა სამქულიანის შემდეგ ორი ჯარიმა ისროლა.**

- იმ ეპიზოდში მსაჯები სწორად მოიქცნენ. ზაზა ფაჩულია მეტოქეს მას შემდეგ შეეჯახა, რაც იასაიტისმა ბურთი ისროლა. რადგან გუნდური ოთხი ჯარიმა უკვე მიღებული გვქონდა, ლიტველმა ორი ჯარიმა ამიტომაც ისროლა.

**- მზადებას სად განაგრძობთ?**

- კვირას შუადღეს კლაიპედაში ჩამოვედით და სასტუმრო „ამბერტონში" დავბინავდით. თბილი, ქართული ამინდი დაგვხვდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**





რეგიონი

# ვერ წარმოედგინათ და არც არის

„სიმართლე გითხრათ, ვერასოდეს წარმომედგინა, რომ გორში კორტები და ჩოგბურთი გვექნებოდა. აქ უფრო სპორტის სხვა სახეობებია ძალიან პოპულარული. ამიტომ დღევანდელი დღე ისტორიულია" - ასე დაიწყო ჩოგბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ ქაცარავამ** 2010 წლის 1 მარტს, შიდა ქართლის ჩოგბურთის რეგიონალური ფედერაციის დამფუძნებელ ყრილობაზე თავისი გამოსვლა. სტუმარს ტყუილად არ უკვირდა. გორს მართლაც არასოდეს ჰქონია დიდი საჩოგბურთო ტრადიციები. მართალია, ადრე იყო უბრალო კორტები და მხოლოდ რამდენიმე მოზარდი თუ ვარჯიშობდა. ახალი და მაღალი ხარისხის კორტების აშენება ქალაქის სხვა უბანში 2007 წელს გადაწყდა. ჩოგბურთის მოყვარულთა გარკვეული ნაწილი კორტების აგების ინიციატივამ კმაყოფილი დატოვა, მაგრამ როგორც დრომ აჩვენა, სკეპტიკურად განწყობილთა მოლოდინი უფრო ზუსტი ყოფილა. თავად განსაჯეთ: გორში ჩოგბურთის პოპულარიზაციისათვის არანაირი გეგმა არ იყო და არც არის. კორტების თავდაპირველად დათქმულ ვადაში გახსნა ვერ მოხერხდა. ეს კიდევ არაფერი - საფრის დამგები თურქული კომპანია უგულისყუროდ მოეკიდა საქმეს (ან იქნებ არც იცოდა უკეთ კეთება) და წვიმისას კორტებზე დღესაც დგება გუბეები. სხვათა შორის, ადრე სპორტის ერთ-ერთ ადგილობრივ ჩინოსანს პი-



ზაზა ცოტნიაშვილი და ლეილა მესხი გორის კორტებზე

რადადაც ვკითხე ამის თაობაზე, თუმცა უმალვე „დამაწყნარა": „რა მოხდა მერე, გუბეებს დამლაგებლები ცოცხით „შხვეპენო" - თითქოს მსოფლიო პრაქტიკაში ჩვეულებრივი მოვლენა იყოს კორტებზე გუბეები და დამლაგებლების მიერ მათი ცოცხებით „შხვეპა". უხარისხოდ გაკეთებული სპორტული ნაგებობის ხმაურიანი გახსნის ცერემონიაც, სავარაუდოდ, ამის გამო აღარ ჩაითვალა საჭიროდ. თუმცა გაცილებით დიდი პარადოქსი ამის მერეც „დაუგეგმავთ". საქმე ისაა, რომ დამფინანსებლებმა მხოლოდ კორტების ადმინისტრაციისათვის კუთვნილი სახელფასო ხარჯები გაითვალისწინეს და არ უფიქრიათ, რომ იქ შესაძლებელი იყო ვინმეს ბურთი, ჩოგანი ან სხვა ინვენტარი დასჭირვებოდა! ასე იყო პირველ-მეორე წელს, როცა ამბობდნენ, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას უბრალოდ გამორჩათ ეს ნიუანსი (!), მაგრამ როგორც მწვრთნელმა **ნუგზარ კოპაძემ** გვითხრა, ასეა ახლაც. „წლების განმავლობაში ამაოდ ვლაპარაკობ, რომ ბურთები და ჩოგნები არა გვაქვს. უამისოდ ხომ ჩოგბურთის განვითარება შეუძლებელია. არაერთხელ, ჩემი საკუთარი არხებით დედაქალაქში მომუშავე ნაცნობი მწვრთნელებისგან ნახმარი ბურთები და ჩოგნები მომიტანია ხოლმე, მაგრამ ამ გზით აბა რა წინსვლაზე უნდა იყოს ლაპარაკი? აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, არც სხვადასხვა შეჯიბრებაზე მონაწილეობისათვის საჭირო ხარჯებს გვაძლევს ვინმე. ერთი-ორჯერ თუ გავსულვართ სხვა ქალაქში საასპარეზოდ და ისიც საკუთარი ფულით. სამი წელიწადია ხუთ-ექვს ბავშვს ვავარჯიშებ და, ცხადია, ამ ვითარებაში მათ სამომავლო პერსპექტივაზე ვერაფერს ვიტყვი. ამიტომაა, რომ მშობლები ბოლო ხანს შვილების სხვაგან გადაყვანას აპირებენ," - გვითხრა ნუგზარ კოპაძემ.

არადა, ერთხანს გარკვეული მონდომება შეინიშნებოდა. კერძოდ, 2009 წელს კორტებზე, გორის უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორის **ზაზა ცოტნიაშვილის** ინიციატივით უნივერსიტეტის პირველობა ჩატარდა. მომდევნო შეჯიბრებაზე საქართველოს სხვა რეგიონებიდანაც ჩამოვიდნენ სპორტსმენები. ცოტა ხნის მერე უფრო სოლიდურ ტურნირზე, რომელიც ისევ ცოტნიაშვილის ინიციატივით იყო მოწყობილი, ფედერაციის პრეზიდენტი **ლეილა მესხიც** ჩამოვიდა. „როდესაც გავიგეთ ამ ტურნირის შესახებ, ძალიან გაგვიხარდა. დავათვალიერეთ კორტები, რომელსაც გარკვეული შეკეთება სჭირდება და ცოტა უფრო მეტად მასშტაბური ღონისძიებებისთვისაც გამოვიყენებთ. შესაძლებელია აქ შევქმნათ ჩოგბურთის რეგიონალური ფედერაცია და ვეცდებით გორში მომავალი წლიდან რაიმე პატარა შეჯიბრება მაინც ჩავსვათ კალენდარში. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქტიურობისათვის" - გვითხრა მაშინ ქალბატონმა ლეილა მესხმა. შარშან საქართველოს უნივერსიადაზე გორელმა ჩოგბურთელმა **გიორგი პაპუაშვილმა** მესამე ადგილის მოპოვება რომ შეძლო, ქართლში ამ სახეობის სერიოზულ პერსპექტივებზე დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ...

არ გვინდა ვიფიქროთ, რომ გორში ჩოგბურთის განვითარება ლამის მხოლოდ ერთადერთი კაცის მონდომებაზე ყოფილა დამოკიდებული, სხვათა შორის, კორტებზე ახლა მარტო საფარის რემონტი აღარ კმარა და როდესაც ბოლოს იქაურობას ვსტუმრობდით, გადასახადის გადაუხდელობის გამო წყლის მიწოდებაც შეწყვეტილი ჰქონდათ...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი



პარიზში, ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბოლო ათწლეულს ყველაზე ცუდი გამოსვლისგან დასკვნითმა დღემ გვიხსნა - მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ (100) ბრინჯაო მოიპოვა

# ერთი ბრინჯაო ბუნდოვანების პრიზმაში

100 კილოგრამი ტურნირზე ჩვენი გუნდის ყველაზე წარმატებულ წონად იქცა - ცირეკიძის კვალდაკვალ მსოფლიოს ტიტულოვან ფალავნებს **ლომერ ჟორჟოლიანიც** მუსრავდა და ნაკრების ამ წარუმატებელი გამოსვლის ფონზე, მეოთხედფინალამდე ქართული ფინალიც კი რეალური ჩანდა, მაგრამ იქ ორივე ჩვენებური დამარცხდა. ჟორჟოლიანმა ვერც ამჯერად დააღწია თავი ძველ სენს - ტურნირის მეორე ნახევარში „დადგა", სანუგეშოშიც წააგო და საბოლოოდ მეშვიდეზე დარჩა. არადა, პირველი ნახევარი იმდენად ძლიერად ჩაატარა...

პირად პირველობაში უნიათო გამოსვლას ნაკრებმა „ჩაროზად" გუნდურ ტურნირში მარცხიც მიაყოლა. არადა, წილისყრამ როგორც აქ გაგვიმართლა, იმის ნახევარი იღბალი პირადში რომ გვქონოდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, თუმცა ამაზე წერილის ბოლოში...

პარიზული შედეგი წარმატებად მხოლოდ ცირეკიძეს თუ ჩაეთვლება, თორემ გუნდს - ვერანაირად! ცირეკიძეს კი მართლაც ყოჩაღ, ცალკეულ შეხვედრებში და, კონკრეტულად, ბელგიელ **ელკო ფან დერ ხესტთან** ორთაბრძოლაში დაშვებული შეცდომების მიუხედავად! მაგრადაც იბრძოლა, მაგრადაც იჭიდავა, ბოლო-ბოლო, იაპონელ მსოფლიოს ჩემპიონსა და წონის ფავორიტ **ტაკამასა ანაის** ორი გდება აგემა და გაასაცოდავა, ბავშვივით უმწეო გახადა ეს მრისხანე ფალავანი,

> ირაკლი ცირეკიძემ
> კვარცხლბეკამდე უძნელესი გზა გაიკაფა
> და ახალ წონაში პირველად მოიპოვა
> მსოფლიოს მედალი. პარიზული გამოსვლით
> მან სკეპტიკოსებსაც დაუმტკიცა,
> რომ 100-შიც შეუძლია
> დიდი წარმატებების მოპოვება,
> თუმცა ის, რაც მიღწევაა მისთვის,
> საპირისპირო შედეგია გუნდისთვის

პირველ შეხვედრაში ასევე ბეჩავად აქცია ბრაზილიელი მსოფლიოს ექსჩემპიონი **ლუსიანო კორეა**, კვარცხლბეკამდე უძნელესი გზა გაიკაფა და ახალ წონაში პირველად მოიპოვა მსოფლიოს მედალი. პარიზული გამოსვლით მან სკეპტიკოსებსაც დაუმტკიცა, რომ 100-შიც შეუძლია დიდი წარმატებების მოპოვება, თუმცა ის, რაც მიღწევაა მისთვის, საპირისპირო შედეგია გუნდისთვის. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მედლის ამარა დავრჩით - ბოლო ათწლეულში ანუ 2001 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს ჩემპიონატებზე სამჯერ დავრჩით ასე კინკილა მედლით (2001-2003 წლებში ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** ვერცხლისა და 2005 წელს **ლაშა გუჯეჯიანის** ბრინჯაოთი), ორჯერ ისიც ვერ მოვიპოვეთ - 2009-10 წლებში და მხოლოდ ერთხელ, 2007-ში გვქონდა სამი ჯილდო (ცირეკიძის ოქრო, **ნესტორ ხერგიანის** ვერცხლი და გუჯეჯიანის ბრინჯაო), არც იმიტომ, რომ თავდაპირველად შეპირებული ოქრო არაა, არამედ იმის გამო, რომ გუნდმა ძალიან ცუდად იჭიდავა. მის გამოსვლაში ვერც პროგრესი დავინახეთ და ვერც - შეპირებული ფიზიკური „რევოლუცია". მოჭიდავეთა უმეტესობა ამ კომპონენტში კვლავაც სუსტად იყო მომზადებული და შეხვედრის ბოლომდე მაღალ ტემპში ჭიდაობა უჭირდათ. დიდი პროგრესი ვერც ტაქტიკურ ჭიდაობაში დავინახეთ და ვერც - „აქილევსის ქუსლად" ქცეული საჭიდაო კომპონენტების დახვეწაში. ასეთ შედეგს ქართველი მწვრთნელები ბევრად მცირე ანაზღაურებით აღწევდნენ, ავსტრიელ **პეტერ ზაიზენბახერს** კი, მოარული ხმებით (ოფიციალურად თანხის ოდენობა საკონტრაქტო პირობებით გასაიდუმლოებულია), საკმაოდ დიდ თანხას იღებს. თან მისი გულისთვის უდიერად ჩავანაცვლეთ ქართველი მწვრთნელი. გვიღირდა კი ეს ყველაფერი ამად?

>> მე-12 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი

« მე-11 გვერდიდან

### ოლიმპიადის წინ მთავარი პირადი შედეგია

ზაიზენბახერის თეორიული რჩევები მართლაც საჭირო ჩანდა, მაგრამ პრაქტიკულად სულ სხვა სურათი ვიხილეთ. რატომ და რისთვის, ამის გარკვევას ცალკე წერილში შევეცდებით, ახლა კი ორ გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას: ჩვენგან ყველაზე უკეთეს შედეგს ცირეკიძემ მიაღწია ანუ იმან, ვისაც ბოლო ეტაპის შეკრებები ნაკრებთან ერთად სრულად არ გაუვლია; მთელი ტურნირის განმავლობაში ცირეკიძეს მწვრთნელად ზვიადაური ეჯდა და არც ერთხელ - ზაიზენბახერი! ვეჭვობთ, ეს შიდა სამზარეულოს გადაწყვეტილება იყო. ასევე არ გამოვრიცხავთ, რომ ამ შედეგს ქართულ ძიუდოში ძალთა გადანაწილებისთვის ბრძოლის ახალი ეტაპი მოჰყვეს, უპირველესად კი თავად ზაიზენბახერის კონტრაქტი გადაიხედოს. ქართულ ძიუდოში ისედაც დიდი ხნის წინათ დაიწყო უწყებრივი დაპირისპირება, ბოლო არჩევნების მიხედვით კი გვგონია, ის ახალი „ლობისტების“ ხელში გადავიდა, ახალ ქარს კი ახალი წესრიგი მოაქვს.

ჩვენს ნაკრებს გუნდური პირველობა კიდევაც რომ მოეგო, ეს გამოსვლა მაინც არ ჩაითვლებოდა წარმატებად. მთავარი ხომ ოლიმპიადაა, ის კი ინდივიდუალური შეჯიბრებაა და იქ გუნდური მედალი არაფერში წაგვადგება. საოლიმპიადოდ მთავარი პირადი შედეგია, ამ მხრივ კი პარიზში ცუდი რეალობა გამოჩნდა - სპორტსმენთა უმეტესობამ ძალზე სუსტად იჭიდავა. ძიუდოისტებისგან ოლიმპიური ლიცენზიების სრული კომპლექტი იგეგმებოდა, მაგრამ ამ იმედს ახლა დიდი კითხვის ნიშანი დაესვა. ასეთი ჭიდაობით ბევრ წონაში საგზურის მოპოვება გაგვიჭირდება, თუმცა, რომც მოვიპოვოთ, ამითაც რა?! პარიზიდან ლონდონი სულაც მირაჟად გამოჩნდა, ისევ ცალკეულ გამოცდილ ფალავანთა იმედად თუ ვიქნებით.




### საფირმო ილეთი უნაკლო უნდა იყოს

ირაკლი ცირეკიძემ გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე მაინც მიაღწია წარმატებას. მან ჯგუფში ირანელი **ჯავად მაჰჯოუბიც** დაჯაბნა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - იუკოებში გამოხატული უპირატესობა შებოჭვით დაასრულა. ფან დერ ხესტთან შეხვედრაში მას პირველად დაეტყო დაღლა, თუმცა მანამდე, 20 წამში ეს ევროპის ჩემპიონი კაცი იპონზე დააგდო. მსაჯებმა ჯერ წმინდა გდება ჩათვალეს, მაგრამ მალევე ჩამოავაზარეს. დაძაბულ შეხვედრაში შემდეგაც ორივეს რამდენჯერმე ჰქონდა ანგარიშის შეცვლის შანსი. დამთავრებამდე 1,22 წუთით ადრე ცირეკიძე იგებდა, მაგრამ ბელგიელმა კონტრილეთზე დაიჭირა და ანგარიში გაათანაბრა. დამატებითშიც ლამის იგივე განმეორდა - ცირეკიძემ ისევ ფეხი ჩაუხვია, მაგრამ ილეთი მეტოქემ დაასრულა იპონით. სამწუხაროა, რომ ცირეკიძე საკუთარ ილეთზე შეცდა, თუმცა ეს არ იყო პირველი შემთხვევა. კოკა კი, ბოლოს და ბოლოს, გატყდა. ზედა ჩავლებასთან ერთად ფეხის ჩახვევა ცირეკიძის კოზირად იქცა. ამით მოუგო ანაისაც, მაგრამ მარცხის მიზეზადაც ეს ექცა. ორჯერ კორეასაც ამაოდ შეუტია ამ ფანდით, თუმცა იმან ეს ვერ გამოიყენა. ალბათ, საჭიროა, ნებისმიერი სპორტსმენი თავის საფირმო ილეთს უნაკლოდ ფლობდეს...

სხვათა შორის, ამავე მიზეზით ცირეკიძის ბედი დამამშვიდებლის ფინალშიც ბეწვზე ეკიდა ეგვიპტელ მსოფლიოს პრიზიორ **რამადან დარვიშთან** ბრძოლაში - ამის დაწყებული გდება მსაჯებმა ჯერ მეტოქეს ჩაუთვალეს, მაგრამ ჩანაწერის ნახვისას სამართლიანობა აღადგინეს.

> ბოლო ათწლეულში, ანუ 2001 წლიდან მოყოლებული, მსოფლიოს ჩემპიონატებზე სამჯერ დავრჩით ასე კინკილა მედლით

ცირეკიძის და **ავთანდილ ჭრიკიშვილის** (81) მსგავსად, ლომერ ჟორჟოლიანიც ფიზიკურად მშვენივრად გამოიყურებოდა. შეჯიბრებაც იმდენად ძლიერად დაიწყო, ვიფიქრეთ, რომ ევროპის პირველობაზე მოპოვებული ვერცხლი მისი შემობრუნების დასაწყისი გახდა. ლატვიელი **მარიუს ლაბალაუკისი** იოლად დააიპონა, ჰოლანდიელ ორგზის მსოფლიოს ვეცხლისა და ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელ **ჰენკ ხროლს** დასაწყისშივე აართვა ვაზარი, რაც მეტოქემ შეხვედრის შუაწელში გაქვითა. დამთავრებამდე 7 წამით ადრე ქართველმა ჩინებული მოგვერდით იუკო მოიპოვა, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაუთვალეს, თუმცა ჩვენებური დამატებითშიც აგრძელებდა მაღალ ტემპს, მეტოქე კვლავაც წნეხში ჰყავდა და მსაჯებმა ჰოლანდიელი სამართლიანად გააფრთხილეს. მესამე წრეში მეტოქედ ბოსნიელი **ამელ მეკისი** ჰყავდა, ვისთანაც წლეულს ევროპული ფინალი დათმო, რისთვისაც ახლა ღირსეული რევანში აიღო. ჟორჟოლიანი ძალიან მოტივირებული გავიდა საჭიდაოდ, ბოსნიელი ორივე ხელით აიტაცა და ისე გამეტებით დაახეთქა ტატამს, ძველი წყენაც თან გაატანა. აი, ამის შემდეგ მოიშალა ჩვენებური - დარვიშთან გაფრთხილებებით, სანუგეშოში კი მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან, ჩეხ **ლუკაშ კრპალეკთან** წააგო.

### ჩემი ფანდი, ჩემი მტერი

ძველ ჩვეულებას არც მძიმეწონოსანმა **ზვიად ხანჯალიაშვილმა** უღალატა - ამჯერადაც მკერდს ზემოთ მოინდომა მეტოქის გადაგდება და ისევ თავის ილეთზე მოჰყვა. პოლონელ **გრჟეგოჟ ეიტელს** ისღა დარჩენოდა, ბეჭებზე დაცემულ მეტოქეს ფორმალურად მაინც დასწოლოდა ზევიდან და იპონი დაეფიქსირებინა. არადა, ფიზიკურად ხანჯალიაშვილიც ადრინდელზე უკეთ გამოიყურებოდა - შედარებით ბევრს და თავისუფლად მოძრაობდა, მეტი მონდომებაც ეტყობოდა და მანამდე კორეელი **სოო-ვან კიმი კატგადაც** დააიპონა. **ადამ ოქრუაშვილს** ფილიპინელი **ტომოჰიკო ჰოშინა** ფეხში ხელით შესვლისთვის მოუხსნეს, ყირგიზ **იური კრაკოვეცკის** 14 წამით ადრე იუკო აუღო, კორეელმა მომავალმა ბრინჯაოს პრიზიორმა **სუნგ-მინ კიმმა** კი კისრულით იუკოზე გადმოიღო.

ამ წონაში შარშანდელი ფინალი განმეორდა და შედეგიც იგივე მივიღეთ, თუმცა ეს არც იყო გასაკვირი – 22 წლის ფრანგმა **ტედი რინერიმ** კვლავაც დაამარცხა გერმანელი **ანდრეას ტოლცერი.** რინერი მართლაც შეუჩერებელი გიგანტია და პირადთან ერთად გუნდური პირველობაც მოიგო. ამიერიდან ის უკვე 5-გზის მსოფლიოს ჩემპიონია. ამ წონაში მესამეზე გავიდა უბერებელი რუსი **ალექსანდრ მიხაილინი**, რომლის აქტივშიც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონობაა.

100 კილოგრამში რუსებმა ერთადერთი ოქრო მოიპოვეს - **ტაგირ ხაიბულაევი** ვერავინ შეაჩერა. მათ შორის - ვერც ყაზახმა მსოფლიოს ექსჩემპიონმა **მაქსიმ რაკოვმა** ფინალში.

რინერის მსგავსად, ქალებში შეუჩერებელია ჩინელი გოლიათი **ვენ ტონგი**, რომელიც მეექვსედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, პლუს ოლიმპიური ჩემპიონიცაა. ტონგიმ ყველა შეხვედრა იპონით მოიგო (მათ შორის რუსეთის სახელით მოასპარეზე **თეა დონღუზაშვილთანაც)**, უმეტესობა კი - მტკივნეულით. ფინალში მან თანამემამულე **ქიან ქინი** დაჯაბნა. აღსანიშნავია, რომ შარშან ტონგი დოპინგზე ჩავარდა, თუმცა დაამტკიცა, რომ დოპინგი შეგნებულად არ მიუღია და დისკვალიფიკაციაც მოუხსნეს.

გუნდური ასპარეზობა მთლიანად მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა - ფრანგებმა იმარჯვეს ვაჟებშიც და ქალებშიც. ჩვენი ვაჟთა ნაკრების პირველი მეტოქე გერმანია იყო, რომელსაც 3:2 სძლიეს, ნახევარფინალის საგზურისთვის ბრძოლა კი კორეელებთან 2:3 წააგეს და სანუგეშოში გადავიდნენ, სადაც ჯერ ჩინელებს მოუგეს მშრალი ანგარიშით - 5:0, მაგრამ ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლა იაპონელებთან დათმეს - 2:3.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**100 კგ.** 1. ტაგირ ხაიბულაევი (რუსეთი); 2. მაქსიმ რაკოვი (ყაზახეთი); **3. ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)**, ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი); **7. ლომერ ჟორჟოლიანი (საქართველო).**

**+100 კგ.** 1. ტედი რინერი (საფრანგეთი); 2. ანდრეას ტოლცერი (გერმანია); 3. სუნგ-მინ კიმი (კორეა), ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი).

**ქალები**

**+100 კგ.** 1. ვენ ტონგი; 2. ქიან ქინი (ორივე - ჩინეთი); 3. მიკა სუგიმოტო (იაპონია), ელენა ივაშენკო (რუსეთი).

**ირაკლი თავაძე**

## ავტოსპორტი

# ბათუმი რბოლებმაც გაახალისა

ბათუმში საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა Bridgestone Black Sea Cup 2011-ის ფორმატით გათვალისწინებული საქრთველოს ჩემპიონატის I ეტაპი წრიულ რბოლაში პროფესიონალთა შორის. შეჯიბრება ჩატარდა ორ კლასად: MONO და GTcc კლასში. ორივე კლასში დაძაბული და სანახაობრივი ბრძოლა წარიმართა. პირველობისთვის რბოლაში ბევრი დებიუტანტიც მონაწილეობდა. რამოდენიმე მათგანმა კი კარგადაც წარმოაჩინა თავი.



**კვარცხლბეკი**

***მონო კლასი:*** 1. ირაკლი ჩხეიძე, 2. დავით ჩხიკვიშვილი, 3. თენგიზ გოგილაშვილი.

***კლასი GTcc:*** 1. მევლუდ მელაძე, 2. არჩილ ბიძინაშვილი, 3. ლევან კვინიკაძე.

## კრივი

# ევროპული ვერცხლი დუბლინიდან

ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი კრივში. 52 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა საქართველოს წარმომადგენელმა **ვენტიკ ერანოსიანმა,** რომელმაც დუბლინში მხოლოდ ფინალური ბრძოლა დათმო რუს **ვასილი ვეტკინთან** - 9:16 და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

## ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობა



რამაზ დარჩიძე (მარჯვნივ) ფინალში

# ბერძნული ოქრო უნგრეთიდან

თითო ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო - ამ შედეგით დასრულა გამოსვლა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრებმა უნგრულ სომბათჰეიში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. ოქროს მედალი **რამაზ დარჩიძემ** (42) მოიპოვა, ვერცხლი - **ზურაბ გედეხაურმა** (100), ბრინჯაო - **ლაშა გობაძემ** (76). შეგახსენებთ, რომ სამი კვირის წინ ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში დარჩიძე მესამეზე გავიდა, გობაძემ ფინალი წააგო, გედეხაური კი ამ რანგის ტურნირზე პირველად ჭიდაობდა ეროვნულ ნაკრებში. აქვე გეტყვით, რომ ის ახლო წარსულის ცნობილი ფალავნის, მსოფლიოს ჩემპიონ **გურამ გედეხაურის** შვილია, რომელიც ერთი წელიწადი არცაა, რაც მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა საცხოვრებლად და ამ პერიოდში არა მარტო გუნდში დამკვიდრება, საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მოპოვებაც მოასწრო.

ტურნირში 41 ქვეყნის 219 ნორჩი მოჭიდავე მონაწილეობდა. საინტერესო მოვლენა მოხდა შეჯიბრების მეორე დღეს - კვირას, როცა ხუთი წონიდან პირველ სამში მიყოლებით იმარჯვეს ირანელებმა. ჩემპიონატში ორჯერ გაიმართა ქართულ-რუსული ფინალი, რომელთაგანაც პირველი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა დარჩიძემ, მთელი შეჯიბრება იმდენად დამაჯერებლად გაიარა. ყირგიზი **ნუზურბეკ კასუმოვი** იქნებ არცაა ძლიერი და იოლადაც მოუგო - 2:1; 8:0, მაგრამ ირანელი **მოჰამად რაიამანი** სუსტი არ იქნებოდა. მით უფრო, პირველ შეხვედრაში მან ბულგარელი მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხა. თუმცა იქნებ ინანა კიდეც ის მოგება, დარჩიძემ ისეთი დღე აყარა - 13:3 იმარჯვა ორ პერიოდში. ნახევარფინალში ჩვენებურმა მომავალი ბრინჯაოს მედალოსანი, სომეხი **არტურ სიმონიანი** ისევ ორ პერიოდში დაჯაბნა. ამ სომეხმა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოსთვის შეხვედრა წააგო აზერბაიჯანელ **რამიზ მამადოვთან,** რაც იმდენად განიცადა, იტირა, ახლა კი მამადოვს პირველივე წრეში დამაჯერებელი რევანში აუღო. ფინალში დარჩიძის მეტოქე რუსი **არიფ მირზაევი** აღმოჩნდა, რომელმაც დაუბრკოლებლად გაიარა ბადის მეორე მხარე. თან სულ ძლიერი საჭიდაო ქვეყნების წარმომადგენლებს მოუგო და დარჩიძესაც დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ ჩვენებური მოწოდების სიმაღლეზე იდგა - 5:4; 3:2, ასე დაძაბულ შეხვედრაში იმარჯვა მან და ოქროც დაიმსახურა.

მეორე ქართულ-რუსული ფინალი 100 კილოგრამში გაიმართა გედეხაურსა და ევროპის ჩემპიონ **სოსლან ტუსკაევს** შორის. ფინალამდე ჩვენებური დამაჯერებლად მივიდა, ყველა შეხვედრა ძირითად დროში მოიგო. პირველ წრეში ინდოელი **სუბოდჰ სუბოდჰი** დაამარცხა, არადა, ქართველი მწვრთნელების გამოზრდილი ინდოელები ბოლო წლებში უხერხულ მეტოქეებად გვექცნენ და ამ ჩემპიონატზეც რამდენიმე ფალავანი დაგვიმარცხეს. მომდევნო შეხვედრაში გედეხაურმა აზერბაიჯანელი **ჰაჯიმურად ჩოპსიევის** წინააღმდეგობა დასძლია, რომელმაც ევროპაზეც ბრინჯაო მოიპოვა და ახლაც იგივე შედეგი გაიმეორა. გედეხაურმა პირველ პერიოდში 5:0 იმარჯვა, მეორე კი 10:4 მოიგო. დაგვეთანხმებით, ერთ შეხვედრაში ამდენი ქულის გაკეთება შთამბეჭდავი რამეა! ყირგიზ **კამბარ ზორობეკოვს** ორივე პერიოდი მინიმალური უპირატესობით მოუგო და ფინალში გავიდა, სადაც ტუსკაევი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და ევროპულ დუბლი შეასრულა.

ლაშა გობაძე ნახევარფინალში თურქ მომავალ ვიცე-ჩემპიონ **მესუტ ოგუზან სარისოვთან** დამარცხდა, თუმცა პირველი პერიოდი 3:0 მოუგო. ამ ბიჭს ევროპის ფინალშიც ასე დაემართა - პირველი პერიოდი იქაც მოიგო (თანაც - 6:0), მაგრამ მომდევნოები წააგო. ნახევარფინალამდე გობაძემ აზერბაიჯანელი **ელმადინ რამაზანოვი** და ბელარუსი **ალიაკსეი ბელიაეუ** ძირითად დროში დამაჯერებლად დაჯაბნა, დამამშვიდებლის ფინალში კი ლიტველ **ეივიდას სტანკევიჩიუსს** დააყრევინა ფარ-ხმალი.

მედლამდე ერთი მოგება დააკლდა ევროპის ბრინჯაოს მედალოსან **შმაგი ბოლქვაძეს** (58), რომელიც ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ მაინც უმედლოდ დარჩა. სამწუხაროდ, ის ამჯერადაც აზერბაიჯანელ **ელმან მუხტაროვთან** დამარცხდა და კვლავ - ნახევარფინალში. ტუსკაევის მსგავსად, წლეულს აზერბაიჯანელმაც დუბლი შეასრულა. ოღონდ ევროპაზე ბოლქვაძემ ერთი პერიოდი თუ მაინც აჯობა მუხტაროვს, ახლა ძირითად დროში წააგო. არადა, მანამდე ძალიან ძლიერად იჭიდავა და დამაჯერებლად მოუგო ირანელ, რუს და სომეხ მეტოქეებს. ამათთან გამარჯვების შემდეგ, ალბათ, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მისი წაგება სრული მოულოდნელობა იყო თურქმენ **არსლან ორაშევთან.** არადა, მეტოქემ გვარიანი უპირატესობით - ორი პერიოდის ჯამში 7:1 იმარჯვა.

ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **კუკური კირცხალიამ** (85) პირველ წრეში იაპონელი **რიუტა იონაჰა** კი დაამარცხა და მეორეში სომეხ **კარენ აბგარიანთანაც** მოგებით დაიწყო შეხვედრა, მაგრამ მომდევნოები წააგო. ეტყობა, ევროპის პირველობის შემდეგ მან ძალების სრულად აღდგენა ვერ მოასწრო. ამ წონაში ფრიად უცნაურად განვითარდა მოვლენები - ჩემპიონი არა რომელიმე აღიარებული ლიდერი ქვეყნის, არამედ ფინეთის ნაკრების წევრი **მატტი ელიას კუოსმანენი** გახდა, ბრინჯაოს მედალი კი... ჰონდურასელმა **კევინ მეხია კასტილიომ** მოიპოვა, რომელმაც დამამშვიდებლის ფინალში ნახევარფინალიდან გამოვარდნილი აზერბაიჯანელი მეტოქე დაჯაბნა.

ევროპის მედალოსანთაგან ბრინჯაოს პრიზიორი **ედნარ შავაძეც** (50) უმედლოდ დაგვირჩა. ის მეორე შეხვედრაში ყაზახ მომავალ ჩემპიონ **მირამბეკ აინაგულოვთან** დამარცხდა, სანუგეშოში კი ინდოელ **სუნილ სუნილთან** წააგო.

მომავალმა ჩემპიონმა, ირანელმა **რამინ ტაჰერისარტანგმა** მოუგო **გიორგი ტოტიკაშვილსაც** (54), რომელმაც მანამდე ორი მეტოქე დაჯაბნა (იტალიელს 15:0 აჯობა). სამწუხაროდ, სანუგეშოში თავისი შანსი ვერ გამოიყენა - ყაზახ **აბილაი კარიპზანთან** დამარცხდა, რომელმაც მერე ბრინჯაოც მოიპოვა. ორი შეხვედრა მოიგო დებიუტანტმა **ნიკა მამარდაშვილმა** (63), მეორე დებიუტანტმა - **გიორგი ჩხარტიშვილმა** (69) კი პირველივე წრეში მომავალ ჩემპიონთან, რუს **ბისლან ასაკალოვთან** წააგო, თუმცა მერე ვერც სანუგეშოში იყოჩაღა. 46 კილოგრამში **ლეონ ხოზრევანიძეს** საერთოდ არ უჭიდავია.

**ირაკლი თავაძე**

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ნადალი; 4. აკვილანი; 8. რანგნიკი; 9. ზვიადი; 10. სკიაფინო; 13. გრიგოლ; 15. გაფრინდაშვილი; 18. ბლოკადა; 19. პინგისი; 20. აგირე; 21. ვინგერი; 22. რაიტი; 23. "ოდიში"; 25. ბილარდო; 28. იაშინი; 29. ბანდერილია; 30. ფიბა.

**შვეულად:** 1. ნორისი; 2. "დუნაივაროში"; 3. ილინი; 4. არიგო; 5. ვაზაგაშვილი; 6. ლეინი; 7. ნიდაო; 11. ფარვატერი; 12. ნინიაშვილი; 14. გოლკიპერი; 16. აბრამოვიჩი; 17. ზიგიჩი; 21. ვილანდი; 24. შტიხი; 25. ბიბა; 26. ომია; 27. ბაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ელიტამ დაიწყო, რუმინეთმა პერიგოსთან წააგო



ბექა შეყლაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული კლუბების აბსოლუტური უმრავლესობა მსოფლიოს თასზე მონაწილე მორაგბეებისგან დაცლილია, ჩემპიონატის მატჩები მაინც საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო ბრძოლებში წარიმართა.

მოულოდნელობად შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის ჩემპიონის „ტულუზის" მარცხი სტუმრად ბასკურ „ბაიონთან" - 13:18. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბაიონი" წლეულს სატრანსფერო ფანჯრისას სერიოზულად მოღონიერდა და გამორიცხული არ არის, ის ჩემპიონობის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტად მოგვევლინოს.

ელიტურ, პირველ დივიზიონში დებიუტი ჰქონდათ შერკინების ქართველ პირველხაზელებს **გურამ კავთიძესა** და **ირაკლი ნატრიაშვილს.** კავთიძის „ლიონი", რომელიც მეორე დივიზიონიდან წლეულს გადაბარგდა, სტუმრად ეთამაშა ფრანგული რაგბის გრანდს, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" და 13:22 დამარცხდა.

დებიუტანტებმა „ვულკანებს" პირველ ტაიმში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს და ტაიმი მხოლოდ ორი ქულის სხვაობით წააგეს - 10:12. მასპინძლებმა გადამწყვეტი უპირატესობა მეორე ტაიმის დასაწყისში მოიპოვეს და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს.

კავთიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო, ზირაქაშვილი კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის ემზადება.

ირაკლი ნატრიაშვილის, **დავით ხინჩაგიშვილისა და ვასილ კაკოვინის** „ბრივი" შინ დაუპირისპირდა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს" და მინიმალური სხვაობით 19:20 დამარცხდა. აღსანიშნავია, რომ 54-ე წუთისთვის მასპინძლები მეტოქეს 16 ქულის სხვაობით უგებდნენ 19:3. აჟენელებმა მატჩის დასრულებამდე დარჩენილ 25 წუთში პატარა სასწაული მოახდინეს. სტუმართა გუნდს გამარჯვება კოტდივუარელი ფულბეკის **სილვენ ტიანის** ლელომ მოუტანა.

შეყლაშვილი თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო, ნატრიაშვილი კი მოედანზე ხუთი წუთით გვიან გამოჩნდა, ხინჩაგიშვილი და კაკოვინი „ბორჯღალოსანთა" რიგებში არიან.

გასული ჩემპიონატის აღმოჩენამ, **მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიემ" სტუმრად გათამაშების ფავორიტთან, პარიზულ „მეტრო რასინგთან" 22:30 წააგო.

მონპელიელებმა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებში მივლინებული 9 მოთამაშე აკლდა, მეტოქეს სერიოზული ბრძოლა გაუმართეს და პირველ ტაიმში პარიზელები ფრეს დააჯერეს 19:19. „მეტრო რასინგმა" მეტოქეს პრობლემები მეორე ტაიმის ბოლოსკენ შეუქმნა და მგეზავი **ჯონათან ვიშნევსკის** ფეხჩუბინობის წყალობით მოუგო. ვიშნევსკიმ ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (18 ქულა).

ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 69-ე წუთზე შეცვალეს. გორგოძე და შველიძე საქართველოს ნაკრებში არიან გამოძახებულნი, ნარიაშვილი განაცხადში არ იყო.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" სტუმრად ეთამაშა კატალონიურ „პერპინიანს" და 6:25 დამარცხდა. ფეიქრიშვილი ტრავმირებულია და განაცხადში არ იყო.

**დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა" კი ბასკურ „ბიარიცს" უმასპინძლა და საკმაოდ იოლად სძლია - 30:5. ქუბრიაშვილი საქართველოს ნაკრებთან ერთად მსოფლიოს თასის გათამაშებისთვის ემზადება.



გიორგი ჟღენტი

### I დივიზიონი

### I ტური

**ბაიონი-ტულუზი 18:13, ბრივი-აჟენი 19:20, კლერმონი-ლიონი 22:13, სტად ფრანსე-ბორდო 41:20, პერპინიანი-კასტრი 25:6, მეტრო რასინგი-მონპელიე 30:22, ტულონი-ბიარიცი 30:5.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. სტად ფრანსე - 5 ქულა, 2. ტულონი - 4, 3. პერპინიანი - 4, 4. კლერმონი - 4, 5. მეტრო რასინგი - 4, 6. ბაიონი - 4, 7. აჟენი - 4, 8. ბრივი - 1, 9. ტულუზი - 1, 10. მონპელიე - 0, 11. ლიონი - 0, 12. კასტრი - 0, 13. ბორდო - 0, 14. ბიარიცი – 0.**

ამასობაში ბოლო საკონტროლო მატჩები გამართეს ელიტურ, მეორე დივიზიონში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდებმა. **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგომ" ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქეს, რუმინეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და 20:7 მოუგო.

მატჩი სამი 30-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა და რუმინელებმა სამივეში სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშეს. მიკროტრავმები აქვთ და განაცხადში არ იყვნენ **ოვიდიუ ტონიცა, დრაგოშ დიმა** და **იონელ კაზანი**. რუმინელთა ლიდერებმა **მარიუს ტინკუმ** და **ლუჩიან სირბუმ** მხოლოდ მესამე ოცდაათწუთეულში ითამაშეს.

რუმინეთის ნაკრები: **15. ფლორინ ვლაიკუ, 14. სტეფან ჩუნტუ, 13. ჩაბა გალი, 12. იულიან დუმიტრაში, 11. კატალინ ნიკოლაე, 10. იონუც დიმოფტე, 9. ვალენტინ კალაფეტეანუ. 1. მიჰაიტა ლაზარი, 2. ანდრეა რადოი, 3. სილვიუ ფლორეა, 4. ვალენტინ პოპირლანი, 5. ვალენტინ ურსაკე, 6. მიჰაი მაკოვეი, 7. დანიელ იანუსი, 8. დანიელ კარპო.**

**ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა და კარლენ ასეიშვილის** „ორიაკი" შინ „კოლომიეს" ეთამაშა და 15:12 მოუგო. **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლმა" სტუმრად დაამარცხა „ექსი" - 37:17.

„ალბიმ", რომელშიც ახლახან რუსთავის „ხარებიდან" **კახაბერ კობერიძე** გადაბარგდა, ფედერალ1 დივიზიონის „მონტობანს" 31:15 მოუგო.

### საწვრთნელი მატჩები

**ორიაკი-კოლომიე 15:12, პერიგო-რუმინეთი 20:7, მონტობანი-ალბი 15:31, ექსი-გრენობლი 17:37.**

მეტოქეები



მანუ ტუილაგი

# პომებმა ბოლო ტესტი მოიგეს

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ, ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ტესტ მატჩი დუბლინში, ირალანდიის ნაკრებთან გამართა და 20:9 დაამარცხა.

„პომების" თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად სათამაშოდ ძირითად შემადგენლობასთან მიახლოებული გუნდი გაიყვანა სათამაშოდ. კვლავ ძირითადი მგეზავი იყო **ჯონი ვილკინსონი,** რომელიც ჩვეულებისამებრ უძღვებოდა ინგლისელთა შეტევებს და დაცვაშიც შესანიშნავად გაისარჯა. „ვილკომ" საბოლოოდ ორი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (10 ქულა).

ჯონსონის სამწყსომ საქმეს მატჩის დასაწყისიდანვე მოჰკიდა ხელი და უკვე მე-4 წუთზე ლელო მიითვალა. „პომების" მრავალფაზიანი შეტევა მეტოქის ხაზის გარღვევით ახალგაზრდა შუამარბმა **მანუ ტუილაგიმ** დაასრულა. ვილკინსონმა გარდასახა. მანვე შვიდ წუთში საჯარიმოც გაიტანა და სტუმრები ათი ქულით დაწინაურდნენ - 10:0.

„სამყურებმა" ნელ-ნელა თამაში გაათანაბრეს და მათმა „ბებერმა" მგეზავმა **რონან ოგარამ** სამი საჯარიმო გაიტანა, რაზეც ვილკინსონმა ერთით უპასუხა. შესვენებაზე ინგლისელების უპირატესობა მხოლოდ ოთხი ქულა იყო - 13:9.

შესვენების შემდეგ ირლანდიელებს სახეირო ალარაფერი უქნიათ. „პომები" დაცვაში ყურადღებით ირჯებოდნენ და „სამყურებს" მონაგრის გაზრდის საშუალება არ მისცეს.

სტუმრებმა 45-ე წუთზე კიდევ ერთი შესანიშნავი შეტევა განახორციელეს, რომელიც შეცვლაზე შესული შუამარბის **დელონ არმითიჯის** ლელოთი დასრულდა, ვილკინსონმა ამჯერადაც გარდასახა - 20:9. თამაშის ბოლომდე ანგარიში ალარ შეცვლილა.

მარტინ ჯონსონმა 70-ე წუთზე მოედანზე შუამარბის პოზიციაზე თინდოლის ნაცვლად **ტობი ფლუდი** შეიყვანა და ორი მგეზავით თამაში სცადა.

*„დუბლინში თამაში ყოველთვის ძალიან ძნელია. ირლანდიელები ამაყნი არიან, როცა გვიგებენ. ზედ მსოფლიოს თასის წინ ეს გუნდიც სწორედ ამიტომ ავირჩიეთ მეტოქედ.*

*თამაშმა გვიჩვენა გარკვეული ხარვეზები, რის გამოსწორებაზეც ახალ ზელანდიაში წასვლამდე უნდა ვიზრუნოთ."* - თქვა ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ჯონსონმა.

ინგლისი **(15-9) ფოდენი, ეშტონი, ტუილაგი, თინდოლი (ფლუდი 74), კუეტო (არმითიჯი 23), ვილკინსონი, ვაიგლსვორსი. (1-8) შერიდანი (სტივენსი 51), თომპსონი (ჰართლი 51), კოლი, დიკონი (შოუ 62), ლავი, კროფტი, ფური (პალმერი 23), ჰესკელი.**

შვიდკაცა რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# ფინალური ათეული გარკვეულია

საქართველოში სარაგბო სეზონი შვიდკაცა რაგბის ჩემპიონატის მეორე ეტაპით განახლდა. შეჯიბრებაში, რომელიც „ავჭალის" სტადიონზე გაიმართა, ათმა ქართულმა კლუბმა იასპარეზა.

საინტერესოა, რომ მეორე ეტაპი შვიდკაცა რაგბის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისის „ყოჩებმა" მოიგო, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში შვიდიდან შვიდი წაგება აქვს და პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. „ყოჩებმა" ფინალში დაძაბულ ბრძოლაში „ლელოს" სძლია - 26:21.

გაირკვა იმ ათი გუნდის ვინაობა, რომლებიც მესამე, ფინალურ ეტაპზე ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს, ესენია: ბათუმი XV, ყოჩები, ლოკომოტივი, ლელო, ხულიგანა, თიბისი, ხარები, არმია, ბაგრატი, რაინდები.

### II ეტაპი

### A ჯგუფი

**ლოკომოტივი-რაინდები 0:34, თიბისი-რაინდები 12:12, ლოკომოტივი-თიბისი 0:31.**

### B ჯგუფი

**ბათუმი XV-არწივები 54:5, ხარები-არწივები 57:5, ბათუმი XV-ხარები 24:14.**

### C ჯგუფი

**ხულიგანა-ლელო 5:21.**

### D ჯგუფი

**ბაგრატი-ყოჩები 0:45.**

### IX ადგილისთვის

**ლოკომოტივი-არწივები 15:14.**

### მეოთხედფინალი

**ლელო-ბაგრატი 31:0, ყოჩები-ხულიგანა 28:7, რაინდები-ხარები 12:7, ბათუმი-თიბისი 21:7.**

### V-VIII ადგილები

**ხულიგანა-ხარები 12:17, ბაგრატი-თიბისი 7:19.**

### V ადგილისთვის

**ხარები-თიბისი 36:7.**

### I-IV ადგილები

**ლელო-ბათუმი 19:15, ყოჩები-რაინდები 31:0.**

### ფინალი

**ყოჩები-ლელო 26:21.**

### საბოლოო მდგომარეობა

**1. ბათუმი XV - 30 ქულა, 2. ყოჩები - 24, 3. ლოკომოტივი - 24, 4. ლელო - 24, 5. ხულიგანა - 22, 6. თიბისი - 22, 7. ხარები - 22, 8. არმია - 20, 9. ბაგრატი - 20, 10. რაინდები, 11. აია - 18, 12. აკადემია - 16, 13. არწივები - 6, 14. დევები - 2.**

**ფინალში გავიდნენ: ბათუმი XV, ყოჩები, ლოკომოტივი, ლელო, ხულიგანა, თიბისი, ხარები, არმია, ბაგრატი, რაინდები.**

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# ბალახიდან ჰარდზე გრუნტის გავლით

დღეს იწყება მიმდინარე სეზონში „დიდი სლემის“ ბოლო ტურნირი - ამერიკის ღია პირველობა. სატურნირო ბადესთან ერთად გთავაზობთ ამ ჩემპიონატის მოკლე ისტორიას.

„დიდი სლემის“ ოთხი ტურნირიდან თითოეულს თავის ხიბლი და განსაკუთრებული ატმოსფერო გააჩნია. რა თქმა უნდა, ჩოგბურთის მოყვარულს ამ ოთხეულიდან საყვარელი ტურნირიც აქვს ამორჩეული. ავსტრალიის ღია პირველობას იმის გამო აფასებენ, რომ ის სეზონში პირველი დიდი ტურნირია და ზამთრის არდადეგების შემდეგ დასვენებული ჩოგბურთელები ფიზიკურად კარგად გამოიყურებიან, რაც მატჩების ხარისხზე დადებითად აისახება. კიდევ, ეს არის ერთადერთი ტურნირი ღია სტადიონზე, სადაც მოძრავი სახურავით აღჭურვილია არა ერთი, არამედ ორი კორტი. და ამასთან, იქ ყოველთვის ყველაზე მეტი სენსაცია ხდება.

როლან გაროსი - მთავარი სათიხნარო სტადიონია, რომელიც ყველაზე მეტად უყვართ უკანა ხაზზე თამაშის მოყვარულებს. უიმბლდონი - ეს არის ტრადიციების დაცვა (მაგალითად, სათამაშო ფორმის თეთრი ფერი, მოთამაშეების კორტიდან გასვლის რიტუალი...) შეხამებული ინოვაციებთან და ტექნიკურ პროგრესთან. ორგანიზატორთა კონსერვატიზმი - მოჩვენებითია, რადგან მათი ტურნირი არასოდეს დარჩენილა ახალი ტექნოლოგიური მიღწევების მიღმა, იქნება ეს ტურნირზე პროფესიონალების მიწვევა, ტაი-ბრეიკის შემოღება, ბადესთან მიკროფონის დაყენება ან Hawk-eye-ის სისტემის დამონტაჟება. თუმცა როლან გაროსსა და უიმბლდონზე ადრე უკვე მოგიყევით, ასე რომ, ახლა გადავიდეთ წელს „დიდი სლემის“ ბოლო, რიგით მეოთხე ტურნირზე.


ჯიმი კონორსი

ამერიკის ღია პირველობა, უფრო მეტად, ვიდრე „დიდი სლემის“ სერიის სხვა ტურნირები, ჩოგბურთისგან შოუს ქმნის და ერგება ტელევიზიის ინტერესებს. კერძოდ, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ აქ გადამწყვეტ მეხუთე სეტში ტაი-ბრეიკი თამაშდება - ამ სერიის არც ერთ სხვა ტურნირზე ეს არ ხდება. გარდა ამისა, ამერიკის ღიას ორგანიზატორებმა პირველებმა მოიფიქრეს სათამაშო დღის დილისა და საღამოს სესიებად დაყოფა. დღეისთვის ამ ტურნირებიდან ასეთ სქემას მხოლოდ ნიუ იორკსა და მელბურნში იყენებენ. პარიზისა და ლონდონის კორტები კი არ იყო აღჭურვილი ხელოვნური განათებით (უიმბლდონის ცენტრალური კორტის გამოკლებით). ფინანსური თვალსაზრისით მომგებიანია თითო სესიაზე ცალკეული ბილეთების გაყიდვა. გარდა ამისა. სათამაშო დღის ორად გაყოფით ტელევიზიისთვის იოლია ტრანსლაციების დაგეგმვა.

გარდა ამისა, მხოლოდ ამერიკის ღია პირველობაზე არსებობს „სუპერშაბათი“. რა თქმა უნდა, „დიდი სლემის“ ყოველ ტურნირზე მატჩების ჩატარების განრიგი განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მხოლოდ ამერიკელები ატარებენ ერთ დღეს მამაკაცთა ნახევარფინალებსა და ქალების ფი-

## აშშ-ის ღია პირველობა. კაცების ბადე

1/64 – 1/32 – 1/16 – 1/8 – 1/4 – 1/2

**ზედა ნახევარი (1/64)**

ჯოკოვიჩი (სერ, 1)
კვალიფიკაცია
რიბა (ესპ)
ბერლოკი (არგ)
სტარაჩე (იტა)
ბერერი (გერ)
დავიდენკო (რუს)
დოდიგი (ხორ, 32)
დოლგოპოლოვი (უკრ, 22)
ჟილი (პორ)
ნიშიკორი (იაპ)
ჩიპოლა (იტა)
კარლოვიჩი (ხორ)
ფ. გონსალესი (ჩილ)
სტახოვსკი (უკრ)
გასკე (საფ, 13)
ბერდიხი (ჩეხ, 9)
კვალიფიკაცია
ფონინი (იტა)
სებალიოსი (არგ)
პეტცშნერი (გერ)
რამოსი (ესპ)
კვალიფიკაცია
ტიპსარევიჩი (სერ, 20)
გრანოლერსი (ესპ, 31)
მალისე (ბელ)
კუკუშკინი (ყაზ)
მონტანიესი (ესპ)
ანდუხარი (ესპ)
ფერერო (ესპ)
დიმიტროვი (ბულ)
მონფილსი (საფ, 7)
ფედერერი (შვეიც, 3)
ხირალდო (კოლ)
სელა (ისრ)
ბელუჩი (ბრა)
კვალიფიკაცია
ტომიჩი (ავსტრა)
ჰარისონი (აშშ)
ჩილიჩი (ხორ, 27)
შტეპანეკი (ჩეხ, 23)
კოლშრაიბერი (გერ)
მონაკო (არგ)
სეპი (იტა)
ჰაასი (გერ)
კვალიფიკაცია
ფალა (კოლ)
ტროიცკი (სერ, 15)
ცონგა (საფ, 11)
ლუ (ტაივ)
ჰაიდერ-მაურერი (ავს)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ნიემინენი (ფინ)
ვერდასკო (ესპ, 19)
ლოდრა (საფ, 29)
ჰანესკუ (რუმ)
ანდერსონი (ს.აფრ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
დე ბაკერი (ჰოლ)
კამკე (გერ)
ფიში (აშშ, 8)

**ქვედა ნახევარი (1/64)**

სიოდერლინგი (შვე, 6)
კვალიფიკაცია
ბოგომოლოვი (აშშ)
ჯონსონი (აშშ)
ჯინეპრი (აშშ)
კვალიფიკაცია
ბაღდატისი (კვიპ)
ისნერი (აშშ, 28)
დელ პოტრო (არგ, 18)
ვოლანდრი (იტა)
ხუნკეირა (არგ)
კ. ბეკი (სლოვაკ)
გარსია ლოპესი (ესპ)
ხიმენო ტრავერო (ესპ)
მელო (ბრა)
სიმონი (საფ, 12)
ვავრინკა (შვეიც, 14)
მ. გონსალესი (არგ)
იანგი (აშშ)
კვალიფიკაცია
ტურსუნოვი (რუს)
დარცისი (ბელ)
მატოშევიჩი (ავსტრა)
ჩელა (არგ, 24)
ფ. ლოპესი (ესპ, 25)
იტო (იაპ)
კვალიფიკაცია
როსოლი (ჩეხ)
მაშადო (პორ)
ჰაასე (ჰოლ)
დევარმანი (ინდ)
მიურეი (ბრიტ, 4)
ფერერი (ესპ, 5)
ანდრეევი (რუს)
ბლეიკი (აშშ)
კვალიფიკაცია
ო. როხუსი (ბელ)
კვალიფიკაცია
მანარინო (საფ)
ფ. მაიერი (გერ, 26)
როდიკი (აშშ, 21)
რასელი (აშშ)
სოკი (აშშ)
ჟიკელი (საფ)
ისტომინი (უზბ)
სვიტინგი (აშშ)
ბენეტო (საფ)
ალმაგრო (ესპ, 10)
იუჟნი (რუს, 16)
გულბისი (ლატ)
როჟე-ვასელენი (საფ)
ჟ. მიულერი (ლუქ)
ბახინგერი (გერ)
კუნიცინი (რუს)
პროდონი (საფ)
მელცერი (ავსტრია, 17)
ლუბიჩიჩი (ხორ, 30)
კავჩიჩი (სლოვენ)
რეინოლდსი (აშშ)
ნალბანდიანი (არგ)
მაუ (საფ)
კვალიფიკაცია
გოლუბევი (ყაზ)
ნადალი (ესპ, 2)

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(იმ შემთხვევაში, თუ განთესილები უპრობლემოდ გაივლიან პირველ ორ წრეს)

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ივან დოდიგი (ხორ, 32)
ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 22)-რიშარ გასკე (საფ, 13)
ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 9)-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 20)
მარსელ გრანოლერსი (ესპ, 31)-გაელ მონფილსი (საფ)(7)
როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)-მარინ ჩილიჩი (ხორ, 27)
რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 23)-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 5)
ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 11)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 19)
მიხაელ ლოდრა (საფ, 29)-მარდი ფიში (აშშ, 8)
რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6)-ჯონ ისნერი (აშშ, 28)
ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 18)-ჟილ სიმონი (საფ, 12)
სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14)-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 24)
ფელისიანო ლოპესი (ესპ, 25)-ენდი მიურეი (ბრიტ, 4)
დავიდ ფერერი (ესპ, 5)-ფლორიან მაიერი (გერ, 26)
ენდი როდიკი (აშშ, 21)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 10)
მიხაილ იუჟნი (რუს, 16)-იურგენ მელცერი (ავსტრია, 17)
ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 30)-რაფაელ ნადალი (ესპ, 2)

## ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

ნალს. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მომგებიანია კომერციის თვალსაზრისით, მაგრამ, ამავდროულად ძალიან ღლის ფინალისტებს, რადგან თეორიულად მათ შეიძლება ორი დღის განმავლობაში ორი ხუთსეტიანი მატჩის ჩატარება მოუწიოთ, რაც ხანდახან პირდაპირ გავლენას ახდენს მამაკაცთა ფინალის შედეგზე.

და კიდევ, ნიუ იორკში აშენებულია ყველაზე დიდი ღია საჩოგბურთო სტადიონი. **არტურ ეშის** სახელობის კორტი, რომლის მშენებლობა 254 მილიონი დოლარი დაჯდა, 22 547 კაცს იტევს და ტრიბუნები ისეთი მაღალია, რომ ზედა იარუსებიდან დურბინდის გარეშე შეუძლებელია კორტზე მიმდინარე პერიპეტიებისთვის თვალის დევნება. ეს არენა 1997 წელს აშენდა და ცენტრალური კორტის რანგში შეცვალა ლუი არმსტრონგის სახელობის კორტი. სამწუხაროდ, არტურ ეშის სტადიონის დაპროექტებისას გათვალისწინებული არ ყოფილა მოძრავი სახურავი, რის გამოც ბოლო ორი წელია წვიმის გამო მამაკაცების ფინალი ორშაბათს გაიმართა.

ამერიკის ღია პირველობა სათავეს 1881 წლიდან იღებს. ისევე, როგორც „დიდი სლემის" დანარჩენი ტურნირები, თავიდან იმ ადგილას არ ტარდებოდა, სადაც დღეს. ტურნირი, რომელიც ამერიკის „უმაღლესი საზოგადოების" შეჯიბრად მიიჩნეოდა და მასში ელიტური კლუბების წევრები იღებდნენ მონაწილეობას, ნიუპორტის ბალახის კორტებზე წარმოიშვა. ზუსტად იქ, სადაც უიმბლდონის შემდეგ იმართება ტურნირი და ჩოგბურთის საერთაშორისო დიდების დარბაზი მდებარეობს.

მამაკაცები ნიუპორტში 1914 წლამდე თამაშობდნენ, ქალთა ტურნირი კი იქ არასოდეს ჩატარებულა. ამერიკის ღია პირველობაზე ქალების ერთეულთა თანრიგი 1887 წელს გამოჩნდა და ის ფილადელფიის კრიკეტის კლუბში იმართებოდა - 1920 წლამდე. 1921 წელს ქალთა ტურნირი მამაკაცების შეჯიბრთან გაერთიანდა, რომელიც იმ მომენტისთვის ნიუ იორკში, ფორესტ გრინში იყო გადაბარგებული. ამ ადგილას ამერიკის ღია დიდი ხნით დარჩა. სწორედ იქ შეხვდა ამერიკის ჩემპიონატი „ღია ერას", რომელიც 1968 წელს დადგა და სწორედ იქ მოიპოვა ორივე „დიდი სლემი" **როდ ლეივერმა** (1962 და 1969 წლებში).

მაგრამ ოდესღაც ყველაფერი მთავრდება. 1975 წელს ტურნირმა საფარი შეიცვალა - ფორესტ ჰილში ბალახის ნაცვლად მწვანე გრუნტი (ასეთ საფარზე ტარდება ქალთა ტურნირი ჩარლსტონში) დააგეს. თუმცა ჩოგბურთელებმა ამერიკულ გრუნტზე მხოლოდ სამჯერ ითამაშეს. 1978 წელს ამერიკის ღია უკვე ახალ ადგილას ჩატარდა - USTA-ის (აშშ-ის საჩოგბურთო ასოციაცია) ახლადაშენებულ საჩოგბურთო ცენტრში, რომელიც იმავე ნიუ იორკში „ფლეშინგ მედოუზე" ჩატარდა. დღემდე სწორედ ეროვნული საჩოგბურთო ცენტრი (**ბილი ჯინ კინგის** სახელობის) მასპინძლობს აშშ-ის ღია პირველობას.

ისევე, როგორც ასეთი ისტორიის სხვა ნებისმიერი ტურნირი, ამერიკის ღია პირველობასაც ბევრი დიადი ჩემპიონი ჰყოლია. რა თქმა უნდა, გეოგრაფიულად შეზღუდულ საწყის ტურნირებში დამყარებული რეკორდები ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბოლო წლების მიღწევები, მაგრამ მათი ყურადღების მიღმა დატოვება არ შეიძლება. ასე მაგალითად, პირველი შვიდი (!) ტურნირი მამაკაცებს შორის **რიჩარდ სირსმა** მოიგო, რომელმაც ამ წლებში მეტოქეებს მხოლოდ სამი სეტი დაუთმო. რა თქმა უნდა, ზედიზედ შვიდი ტიტული დღემდე სარეკორდო მაჩვენებელია. ყველაზე ახლოს მის გამეორებასთან **ბილ ტილდენი** იყო, რომელმაც ორი ფინალის წაგების შემდეგ მიჯრით ექვსი ტიტული მიითვალა. მაგრამ შემდეგ, 1926 წელს ამერიკაში ფრანგი „მუშკეტერების" ოთხეული ჩავიდა და ტილდენს ზედიზედ მეშვიდე ტრიუმფის საშუალება არ მისცა. სამაგიეროდ, ბილმა სხვა რეკორდი დაამყარა - რვა ფინალი რვა წელიწადში. 64 წლის შემდეგ ამის გამეორება შეძლო **ივან ლენდლმა**.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამერიკის ღიას ბალახზე (ასევე უიმბლდონის) ავსტრალიელები ბატონობდნენ. აქ იგებდნენ **კენ როზუოლი, როი ემერსონი, ჯონ ნიუკომბი** და, რა თქმა უნდა, როდ ლეივერი. რაც შეეხება ჩოგბურთელს, რომლის სახელსაც ატარებს დღევანდელი ცენტრალური კორტი, აშშ-ის ღიაზე ტიტული მხოლოდ ერთხელ, 1968 წელს მოიგო.

უნიკალური მიღწევის ავტორია **ჯიმი კონორსი**. ამ ლეგენდარულმა ამერიკელმა ნიუ იორკში სამივე საფარზე მოგება შეძლო! 1974 წელს - ბალახზე, 1976 წელს - გრუნტზე, 1978, 1982 და 1983 წელს - ჰარდზე. სხვათა შორის, გრუნტის საფარზე გადასვლის წყალობით გახდნენ ჩემპიონები გრუნტის ისეთი მოყვარულები, როგორებიც იყვნენ **გილერმო ვილასი** და **მანუელ ორანტესი**.

„ღია ერაში" ზედიზედ მოპოვებული ტიტულების რაოდენობით ლიდერი **როჯერ ფედერერია**. გამარჯვებათა საერთო რაოდენობით კი შვეიცარიელი პირველ ადგილს იყოფს ჯიმი კონორსთან და **პიტ სამპრასთან** - სამივეს ხუთ-ხუთი ტიტული აქვს. ზედიზედ ხუთი მოგება კი მხოლოდ ფედერერმა მოახერხა. როჯერის სერია 2009 წელს **ხუან მარტინ დელ პოტრომ** შეწყვიტა, გასულ წელს კი შვეიცარიელმა ფინალში გასვლა ვერ შეძლო. სხვათა შორის, შარშანდელი ტურნირის შემდეგ ისტორიაში შევიდა **რაფაელ ნადალი**, ვინც კარიერული „დიდი სლემი" გაიფორმა (სხვადასხვა წლებში მოიგო „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირი).

ქალებს შორის საერთო გამარჯვებათა რიცხვით ლიდერია ჩოგბურთელი, ვინც პირველი ტიტულის მოგების მომენტში 30 წელს იყო გადაცილებული. ეს არის ნორვეგიელი **ანა-მარგარეტ ბიორსტედტი**, რომელმაც ამერიკის მოქალაქეობა მიიღო და ისტორიაში **მოლა მელორის** სახელით შევიდა. ის გასული საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში რვაჯერ ეუფლებოდა მთავარ პრიზს, მათ შორის, ოთხჯერ ზედიზედ. მიჯრით ოთხი ტიტული დღემდე რეკორდია: ეს მიღწევა 1935 წელს **ჰელენ ჯეიკობსმა** და 1978 წელს **კრის ევერტმა** გაიმეორეს. მთავარი „უიღბლო" კი, ალბათ, **ივონ გულაგონგია**. ავსტრალიელი ოთხი წელი ზედიზედ გადიოდა ფინალში (ორჯერ ბალახზე, ორჯერ - გრუნტზე), მაგრამ მოგება მაინც ვერ შეძლო.

**გია თვალაბეიშვილი**

## აშშ-ის ღია პირველობა. ქალების ბადე




**1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები**

(იმ შემთხვევაში, თუ განთესილები უპრობლემოდ გაივლიან პირველ ორ წრეს)

კაროლინ ვოზნიაცკი (დან,1)-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 29)
დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 21)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 15)
ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 10)-რობერტა ვინჩი (იტა, 18)
კაია კანეპი (ესტ, 31)-ნა ლი (ჩინ, 6)
ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)-სერენა უილიამსი (აშშ, 28)
შაარ პეერი (ისრ, 23)-ანა ივანოვიჩი (სერ, 16)
ელენა იანკოვიჩი (სერ, 11)-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 17)
მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 32)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 7)
პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 5)-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 27)
იანინა ვიკმაიერი (ბელ, 20)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)
შუაი პენგი (ჩინ, 13)-ჯულია გორჯესი (გერ), 9)
ფლავია პენეტა (იტა, 26)-მარია შარაპოვა (რუს, 3)
მარიონ ბარტოლი (საფ, 8)-მარია კირილენკო (რუს, 25)
ნადია პეტროვა (რუს, 24)-სამანტა სტოსური (ავსტრა, 9)
დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 14)-საბინ ლისიცკი (გერ, 22)
ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 30)-ვერა ზვონარევა (რუს, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი


ბოლტი ფალსტარტის შემდეგ

# შოკი ტეგუში

შაბათს, სამხრეთ კორეის ქალაქ ტეგუში მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატი დაიწყო. ექსპერტების შეფასებით, იქაურ არენაზე შედარებით ნელი სარბენი ბილიკია, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ის ასეთი უიღბლო იქნებოდა პლანეტის უსწრაფესი ადამიანისთვის, იამაიკელი **უსაინ ბოლტისთვის**.

„მოკლე" და „გრძელ" სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენს ჩავარდნა შარშანდელ სეზონში დაეწყო, რომელიც ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა. წელსაც უსაინმა მისი საზომით საკმაოდ მოკრძალებული შედეგები აჩვენა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტეგუში 100 მეტრზე მთავარი ფავორიტი იყო, მით უმეტეს, რომ ტრავმების გამო კორეაში ვერ ჩავიდნენ **ტაისონ გაი** და **ასაფა პაუელი**.

გუშინ, იამაიკელმა წინასწარ გარბენებში საუკეთესო დრო აჩვენა და ფინალში მეოთხე ბილიკი ერგო. არავის სჯეროდა, რომ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს ვინმე სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა. როგორც აღმოჩნდა, ასეთი ადამიანი არსებობს და ეს თავად ბოლტი გახლავთ. კუნძულელს ბრწყინვალე სტარტი გამოუვიდა, მაგრამ ერთ წამში მეორე გასროლა გაიგონა, რაც ფალსტარტს ნიშნავდა. უსაინი ყველაფერს მიხვდა, მაისურა გაიხადა და სარბენ ბილიკზე დააგდო. არც მას და არც არავის არ სჯეროდა მომხდარის. ბოლტი საკუთარ თავს უყვიროდა, კედელს ხელს ურტყამდა, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეეძლო - ასეთია ახალი წესები, რომელიც შეცდომის დაშვების უფლებას არ იძლევა. ახლა ბოლტს ისლა დარჩენია, რევანში 200 მეტრზე აიღოს.

ადვილი წარმოსადგენია, რა აზრები ტრიალებდა სხვა ფინალისტების გონებაში - დარჩენილ შვიდ სპრინტერს გამარჯვების რეალური შანსი გაუჩნდა. მეორე ცდიდან ფინალი დაიწყო. 75 მეტრის შემდეგ ლიდერი **კიმ კოლინზი** იყო. სენტ-კიტსის 35 წლის წარმომადგენელს რვა წლის წინ, პარიზში ჰქონდა მოგებული პლანეტის პირველობა, მაგრამ ამჯერად წარმატება ვერ გაიმეორა, რადგან ბოლო მეტრებზე მას გვერდი აუარა მეორე იამაიკელმა **იოჰან ბლეიკმა**, მეორე ადგილი კი **უოლტერ დიქსმა** წაართვა. ბლეიკის საბოლოო შედეგია 9.92 წამი, დანარჩენი ფინალისტები კი 10 წამიდან ვერ გამოვიდნენ, რამაც დაამტკიცა, რომ ტეგუში მართლაც ნელი სარბენი ბილიკია. იოჰანმა თავის ცხოვრებაში საუკეთესო შანსი გამოიყენა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ლონდონის ოლიმპიადაზე ბოლტი ეცდება ისევ დაიბრუნოს პლანეტის უსწრაფესი ადამიანის სახელი.

■ ■ ■

ორი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა მოიპოვა კენიამ. ჩემპიონატის პირველ დღეს ქალებს შორის მარათონში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა - პოდიუმის სამივე საფეხური ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიკავეს. მსოფლიოს ჩემპიონატზე მარათონში აქამდე ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. დიდი ბრძოლა გამართეს ერთმანეთში კენიელებმა - **კიპლაგატმა, ჯეპტუმ** და **ჩეროპმა**. საბოლოოდ, პირველსა და მესამე ადგილებს შორის სხვაობა მხოლოდ 31 წამი იყო. პირველობა კიპლაგატმა მოიპოვა.

კენიელმა ქალებმა მეორე ოქრო 10 ათას მეტრზე სირბილში მოიპოვეს. **ვივიან ჩერუიოტმა** ორი წლის წინ, ბერლინში ოქრო მოიგო 5 ათას მეტრზე, რომელიც მისი საყვარელი და პრიორიტეტული სახეობაა, თუმცა ამჯერად ეს კენიელი დუბლს უმიზნებს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ აქაც პოდიუმის სამივე საფეხური კენიის ნაკრებს ერგო.

პირველად ბოლო 18 წლის განმავლობაში ტექნიკურ სახეობაში ოქრო მოიგო ჩინეთმა - ქალებს შორის ბადროს ტყორცნაში გაიმარჯვა **იანფენ ლიმ**. ამერიკის ნაკრებს პირველი ოქრო მოუტანა ქალებს შორის სიგრძეზე მხტომელმა **ბრიტნი რიზმა** - ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მან ექვსიდან ხუთი ცდა გააფუჭა და მხოლოდ ერთი კარგი ნახტომის (6,82 მ) წყალობით გახდა ჩემპიონი. ლეგენდარული **კენენისა ბეკელე** გამოდიოდა 10 ათას მეტრზე სირბილში. ეთიოპიელი ორი წელია არ გვინახავს ოფიციალურ ტურნირებზე და ეს მის ფორმას დაეტყო - ბეკელე მეექვსე კილომეტრზე ჩამოშორდა გარბენს. ამის შემდეგ ფავორიტი **მო ფარა** გახდა, მაგრამ ბრიტანელსაც ხელი მოეცარა, რადგან ბოლო მეტრებზე წააგო 22 წლის ეთიოპიელ **იბრაჰიმ ჯელაინთან**.

## კაცები

### 20 კმ სიარული

1. **ვალერი ბორჩინი** (რუს) - 1:19.56; 2. **ვლადიმირ კანაიკინი** (რუს) - 1:20.27; 3. **ლუის ფერნანდო ლოპესი** (კოლ) - 1:20.38...

### 10 000 მ

1. **იბრაჰიმ ჯელაინი** (ეთი) - 27.13,81; 2. **მოჰამედ ფარა** (ბრიტ) - 27.14,07; 3. **იმეინ მერგა** (ეთი) - 27.19,14...

### 100 მ

1. **იოჰან ბლეიკი** (იამ) - 9,92; 2. **უოლტერ დიქსი** (აშშ) - 10,08; 3. **კიმ კოლინზი** (სტ. კიტს) - 10,09...

### ათჭიდი

1. **ტრეი ჰარდი** (აშშ) - 8607 ქულა; 2. **ეშტონ იტონი** (აშშ) - 8505; 3. **ლიონელ სუარესი** (კუბ) - 8501...

## ქალები

### მარათონი

1. **ედნა კიპლაგატი** (კენ) - 2:28.43; 2. **პრისკა ჯეპტუ** (კენ) - 2:29.00; 3. **შარონ ჯემუტაი ჩეროპი** (კენ) - 2:29.14...

### 10 000 მ

1. **ვივიან ჯეპკემოი ჩერუიოტი** (კენ) - 30.48,96; 2. **სალი კიპიეგო** (კენ) - 30.50,04; 3. **ლიპეტ ჩეპკვემიო მასაი** (კენ) - 30.53,59...

### სიგრძე

1. **ბრიტნი რიზი** (აშშ) - 6,82; 2. **ოლგა კუჩერენკო** (რუს) - 6,77; 3. **ინეტა რადევიჩა** (ლატ) - 6,76...

### ბადრო

1. **იანფენ ლი** (ჩინ) - 66,52; 2. **ნადინ მიულერი** (გერ) - 65,97; 3. **იარელის ბაროისი** (კუბ) - 65,73...

ფორმულა 1. ბელგიის გრანპრი

# ფეტელის მეშვიდე, რედ ბულის მეორე

ერთთვიანი პაუზის შემდეგ ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატი „რედ ბულის" დუბლით განახლდა. ავსტრიულმა საჯინიბომ განიმტკიცა ლიდერობა კონსტრუქტორთა თასზე, **ლუის ჰემილტონის** („მაკლარენი") გამოვარდნის შემდეგ კი **სებასტიან ფეტელმა** („რედ ბული") თითქმის გაინაღდა ზედიზედ მეორე საჩემპიონო ტიტული.

რბოლა მშრალ ამინდში მიმდინარეობდა, მაგრამ კვალიფიკაციის დროს წამოსულმა წვიმამ პილოტები რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. ბევრ მათგანს სერიოზულად ჰქონდა დაზიანებული წინა საბურავები, რომლის შეცვლაც მოითხოვეს, მაგრამ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ამ ნაბიჯზე არ წავიდა და გამონაკლისი მხოლოდ **ვიტალი პეტროვზე** („ლოტუს-რენო") დაუშვა.

სტარტი ჩააგდო **მარკ უებერმა** („რედ ბული") - ავსტრალიელი შეყოვნდა და მესამე პოზიციიდან პირველი ათეულის ბოლოში ჩამოვარდა. აბსოლუტურად განსხვავებული დასაწყისი ჰქონდა **ნიკო როსბერგს** („მერსედესი"), რომელმაც ჯერ მეორე ადგილი მოიპოვა, შემდეგ კი სებასტიან ფეტელსაც გაუსწრო. სანამ წინ პირველობისთვის ბრძოლა მიდიოდა, უკან **მიხაელ შუმახერი** („მერსედესი") აქტიურობდა. მიხაელმა, რომელიც კვალიფიკაციიდან ავარიის გამო გავარდა, რამდენიმე პოზიცია მოიგო და ბოლოდან მე-14 ადგილზე გადავიდა.

იყო ერთი ავარიაც. „ლოტუს-რენოში" **ნიკ ჰაიდფელდის** შემცვლელ **ბრუნო სენას** პირველ მოსახვევში კონტაქტი ჰქონდა **ხაიმე ალგერსუარისთან** („ტორო როსო"), რომელმაც, თავის მხრივ, კინაღამ ტრასიდან გადააგდო **ფერნანდო ალონსო** („ფერარი"). ორი ესპანელის შეჯახებისას ხაიმე დაზარალდა: წინა მარცხენა დაკიდების დაზიანებამ რბოლის გაგრძელების საშუალება არ მისცა. რაც შეეხება სენას, მან პიტლეინზე საჯარიმო შესვლა მიიღო.

სლიპ-სტრიმის წყალობით ფეტელმა როსბერგს გაუსწრო და ლიდერობა დაიბრუნა, ამ წყვილის უკან კი „ფერარის" პილოტებისა და ლუის ჰემილტონის ბრძოლა მიდიოდა. სტარტზე **ფელიპე მასამ** („ფერარი") და ალონსომ ბრიტანელს გაუსწრეს, შემდეგ ფერნანდომ ლუისთან ერთად უკან ჩამოიტოვა ბრაზილიელი, რომელმაც, თავის მხრივ, მანამდე როსბერგის გასწრება სცადა.

მეოთხე წრეზე უებერმა და **ჯენსონ ბატონმა** („მაკლარენი") პიტ-სტოპების პირველი ტალღა გახსნეს. მალე მათ ბოქსებში ფეტელიც მიყვა. ამასობაში, მეშვიდე წრეზე ალონსო როსბერგს დაეწია და მას ლიდერობისთვის ბრძოლაში აჯობა, სულ მალე კი გერმანელმა ჰემილტონიც გაატარა. ახალი საბურავით ფეტელს ფანტასტიკური ტემპი ჰქონდა, ამიტომაც მალე ალონსოც შევიდა ბოქსებში და იქედან დაბრუნებული უებერის წინ აღმოჩნდა.

ამასობაში, ბოქსებში ჰემილტონიც და როსბერგიც მოხვდნენ, ლიდერობა ფეტელმა დაიბრუნა, მაგრამ მას სწრაფი ტემპით ეწეოდა ალონსო.

მე-13 წრეზე ჰემილტონმა **კამუი კობაიაშის** („ზაუბერი") ბოლიდზე მიიტანა იერიში და ეს ორთაბრძოლა შეჯახებით დასრულდა: „მაკლარენი" გაჩერდა და ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა. მაშინვე პილოტების უმრავლესობა, მათ შორის ლიდერი ფეტელი ბოქსებში შევიდა - პელოტონს სათავეში ალონსო ჩაუდგა.

რესტარტი შესანიშნავად გამოუვიდა ფეტელს. „რედ ბულის" პილოტი შეტევაზე გადავიდა, პოზიციას პოზიციაზე იგებდა და მალე მოქმედი ჩემპიონი ალონსოს წინ აღმოჩნდა. მე-18 წრეზე წარმატებული მანევრი გამოუვიდა **ჯენსონ ბატონს** - ბრიტანელმა **ადრიან სუტილი** („ფორს ინდია") და ვიტალი პეტროვი ჩამოიტოვა უკან. იმ მომენტისთვის ბატონი ყველაზე სწრაფი იყო ტრასაზე. მალე ის მიხაელ შუმახერსა და ფელიპე მასას დაეწია და გაუსწრო მათ შემდეგ იგივე გააკეთა როსბერგთან ბრძოლაში და მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა.

30-ე წრეზე ალონსომ და ფეტელმა პიტ-სტოპები შეასრულეს და ხისტი საბურავები მიიღეს, ბატონი აგრძელებდა სწრაფი წრეების ჩვენებას, 31-ე წრეზე საბურავები გამოცვალეს როსბერგმა, მასამ და უებერმა. ერთი წრის შემდეგ ფეტელმა ბატონს გაუსწრო ლიდერობისთვის ბრძოლაში, ჯენსონი კი 33-ე წრეზე ბოქსებში შევიდა და იქიდან მეოთხე ადგილზე დაბრუნდა.

ფინიშამდე ცხრა წრით ადრე შუმახერმა მეექვსე პოზიციისთვის ბრძოლა მოუგო სუტილს, იმ დროს, როცა მეორე ადგილისთვის ერთმანეთს შეებნენ უებერი და ალონსო - ამ დუელში უფრო სწრაფი „რედ ბულის" პილოტი აღმოჩნდა. არანაკლებ საინტერესო იყო ბრძოლა პირველი ათეულის ბოლოში - თავიდან მასამ **პოლ დი რესტას** („ფორს ინდია") გაუსწრო, შემდეგ მეცხრე ადგილი წაართვა **პასტორ მალდონადოს** („უილიამსი"). სანამ ბრაზილიელი წინ მიიწევდა, მისი თანაგუნდელი ალონსო სერიოზულ ზეწოლას განიცდიდა. ესპანელისთვის შეიძლება მესამე ადგილი წაერთმია ბატონს, რომელიც ელვის სისწრაფით ეწეოდა ფერნანდოს.

საინტერესო იყო მეხუთე ადგილისთვის ბრძოლა თანაგუნდელებს - შუმახერსა და როსბერგს შორის. ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 41-ე წრეზე ნიკოს საწვავის ეკონომია მოსთხოვეს, რამაც ამ სეზონში იშვიათი შემთხვევა დააფიქსირა - მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი როსბერგზე მაღლა აღმოჩნდა. უებერი ეწეოდა ფეტელს, ბატონი ალონსოს უახლოვდებოდა - ბოლო წრეებზე თითქმის ყველა პოზიციისთვის იყო ბრძოლა.

ფინიშამდე ორი წრით ადრე „მაკლარენმა" მაინც აჯობა „ფერარის" - ჯენსონ ბატონმა ფერნანდო ალონსოს გაუსწრო და მარკ უებერს გამოეკიდა, თუმცა „რედ ბულს" დუბლის შესრულებაში ხელი ვერ შეუშალა.

საბოლოოდ, ფეტელმა სეზონში მეშვიდე რბოლა მოიგო, „რედ ბულმა" კი მეორე დუბლი შეასრულა, რამაც ისინი კიდევ ერთი ნაბიჯით მიაახლოვა 2011 წლის ჩემპიონატში დამსახურებულ ტიტულს.

*„რბოლის წინ პრობლემები მრავლად იყო, მათ შორის კვალიფიკაციის დროს დაზიანებული საბურავები. გვჯეროდა კარგი შედეგის, მაგრამ არავინ იცოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები ტრასაზე, ამიტომაც მე და მარკმა ადრე შევასრულეთ პირველი პიტ-სტოპი.*

*იმ მომენტში შედეგზე ბევრს არ ვფიქრობდი, მაგრამ მანქანა ძალიან სწრაფი იყო და კომფორტულად ვიყავი - დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია იმისთვის, რომ სიტუაცია გამეკონტროლებინა და ლიდერობა დამებრუნებინა.*

*უსაფრთხოების მანქანის გასვლის შემდეგ ფერნანდოს გასწრება და კომფორტული ჰანდიკაპის შექმნა იყო საჭირო, რათა რბოლის ფინიშზე დამაჯერებლად მეგრძნო თავი. უნდა გითხრათ, რომ მანქანა დღეს ბრწყინვალე იყო. სპაზე წინა გამოსვლებისგან განსხვავებით, „რედ ბული" ამჯერად საკმაოდ კონკურენტუნარიანი იყო. კმაყოფილი ვარ რბოლითა და შედეგით",* - განაცხადა ფინიშის შემდეგ ფეტელმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ფეტელი მალე ტიტულს იზეიმებს

## ბელგიის გრან-პრი. XII ეტაპი

### სპა (44 წრე. 308.052 კმ)

| | |
|---|---|
| 1(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 1:26.44,893 |
| 2(3). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +3,741 |
| 3(13). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +9,669 |
| 4(8). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +13,022 |
| 5(24). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +47,464 |
| 6(5). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | +48,674 |
| 7(15). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +59,713 |
| 8(4). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +1.06,076 |
| 9(10). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | +1.11,917 |
| 10(16). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | +1.17,615 |
| 11(18). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | +1.23,994 |
| 12(12). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | +1.31,976 |
| 13(7). ბრუნო სენა (ლოტუს-რენო, ბრაზილია) | +1.32,985 |
| 14(20). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 1 წრე |
| 15(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 1 წრე |
| 16(14). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 1 წრე |
| 17(21). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 1 წრე |
| 18(20). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 1 წრე |
| 19(22). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 1 წრე |
| 20(9). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 16 წრე |
| 21(23). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრა) | 30 წრე |
| 22(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 31 წრე |
| 23(11). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 37 წრე |
| 24(6). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 44 წრე |

### საერთო ჩათვლა

1. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 259 (7 მოგება); 2. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 167; 3. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 157 (1); 4. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 149 (2); 5. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 146 (2); 6. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 74; 7. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 56; 8. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 42; 9. **ნიკ ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო, გერმანია) - 34; 9. **ვიტალი პეტროვი** (ლოტუს-რენო, რუსეთი) - 34; 11. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 27; 12. **ადრიან სუტილი** (ფორს ინდია, გერმანია) - 24; 13. **სებასტიან ბუემი** (ტორო როსო, შვეიცარია) - 12; 14. **ხაიმე ალგერსუარი** (ტორო როსო, ესპანეთი) - 10; 15. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 8; 15. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 8; 17. **რუბენს ბარიკელო** (უილიამსი, ბრაზილია) - 4; 18. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 1.

### კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 426 ქულა; 2. **მაკლარენი** - 295; 3. **ფერარი** - 231; 4. **მერსედესი** - 98; 5. **ლოტუს-რენო** - 68; 6. **ზაუბერი** - 35; 7. **ფორს ინდია** - 32; 8. **ტორო როსო** - 22; 9. **უილიამსი** - 5.